F 75 N 839

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 13—80
ექსპედიციის 5—43.

დღიური

- ლენინგრადის საგუბერნიო არქივში იპოვეს პოლიციის დეპარტამენტის დოკუმენტები ვ. ი. ლენინის შესახებ.
- რუმინეთში იზრდება უკმაყოფილება გენერალ ავერესკუს პარლამენტის წინააღმდეგ.
- ჩინეთში დაიწყო გლეხთა მოძრაობა რეაქციონერების წინააღმდეგ.
- საფრანგეთის ფრანკის კურსი დღითი-დღე ეცემა.
- ბრიანის მთავრობის დეკლარაციამ ვერ დააკმაყოფილა პოლიტიკური პარტიები.
- მექსიკაში შავი ჭირი ფართო ხასიათს ღებულობს.
- სირიაში გრძელდება აჯანყებულთა შეტაკება საფრანგეთის ჯარებთან.

პარასკევი, 2 ივლისი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 149 (1604)

„კომუნისტი"
მიიღებს ხელისმოწერა
ივლისისათვის

უახლოესი სამეურნეო ამოცანები

ჩვენ ფეხი შევსდგით სამეურნეო წლის უკანასკნელ მეოთხედში (კვარტალში), ამასთან ახლოვდება ახალ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, პირველ ყოვლისა პურეულის დამზადების სეზონი. ამ კვარტალში წლიური მრეწველობის პროგრამის მთლიანად შესრულება, ერთი მხრივ, ხსენებული სეზონისათვის მომზადებულად შეხვედრა, მეორე მხრივ—ასეთია ჩვენი უახლოესი ამოცანა.

როგორც გუშინწინ ჩვენ გაზეთში გამოქვეყნებულ საკავშირო ხალხო კომისართა და შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილებიდან დაინახავდა მკითხველი, მთელი სახელმწიფო მრეწველობის 1925—26 წ. საერთო მრეწველობის გეგმა აღნიშნული წლის პირველ ნახევარში განხორციელებულია [illegible]0 პროცენტით. წლის მესამე კვარტალი (აპრილ—მაის—ივნისი) ცნობებით, წარმოების ზრდა ამ ხნის განმავლობაში წარმატებით გაგრძელდებოდა. ჩვენ გვაქვს ყველა საფუძველი დარწმუნებული ვიყოთ, რომ წლიური სამრეწველო პროგრამა განაღდებული იქნება მთელი ასი პროცენტით, თუ მეტად არა.

რა თქმა უნდა, ეს თავის თავად არ მოხდება. საჭიროა მთელი ძალღონის დაჭიმვა, ყველა საშუალებათა გამოყენება ამ მიზნის მისაღწევად. აქ დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის ნაყოფიერების აწევას. ამ მხრივ ბოლო დროს ერთგვარი მიღწევები უკვე გვაქვს. არც თუ შეჩერებულია შრომის ნაყოფიერების დაცემა, რაც შემჩნეული იყო გასული წლის უკანასკნელ და მიმდინარე წლის პირველ თვეებში, არამედ თვალსაჩინო ნაბიჯებიც გადავდგით წინ. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. შრომის ნაყოფიერების ზრდა მაინც ნელა მიმდინარეობს. თავის დროზე ჩვენ გამოქვეყნებულ გვქონდა შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილება სამეურნეო წლის დარჩენილი პერიოდისათვის შრომის ნაყოფიერების ათი პროცენტით მაინც გადიდების შესახებ. ეს დადგენილება უნდა ჩავატაროთ ყოველი მიზეზის გარეშე.

როგორც ვიცით, შრომის ნაყოფიერება ორ მომენტზეა დამოკიდებული: ერთია შრომის ინტენსივობის ზრდა, შრომის დისციპლინის განმტკიცება, განაცდენების (სამუშაოზე მუშათა გამოუცხადებლობის) მინიმუმამდე დაყვანა, მეორეა წარმოების რაციონალიზაცია და მისი მომარაგება ნედლეულით და სხვა საჭირო საგნებით. ორივე ამ მიმართულებით გადაჭრილი ზომები უნდა იქნას მიღებული.

შრომის ნაყოფიერებასა და წარმოების რაციონალიზაციასთან მჭიდროთაა დაკავშირებული მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულების დაწევა. მრეწველობის თვითღირებულების გაიაფებას აქვს ადგილი, მაგრამ არა იმ ტემპით და მასშტაბით, როგორც ეს გათვალისწინებულია გეგმით. ამ მხრივ უნდა იქნეს გაძლიერებული მუშაობა, რომ შესაძლებელი გახდეს საქონლის მეტი მასსის გამოშვება და საცალო ფასების დაკლებაზე დამატებითი გავლენის მოხდენა.

ჩვენ ვიცით, რომ ყველა ამ მოცანების გადასაჭრელად მრეწველობას არ გააჩნია საკმაო ფინანსიური საშუალებები. ეს საშუალებები მან უნდა გამონახოს უთავბოლო ხარჯების მოსპობის და უკიდურესი მომჭირნეობის დაცვის გზით. ამავე დროს მრეწველობას უნდა მიეცეს კრედიტები სამეურნეო წლის წარმატებით დამთავრებისათვის, სამრეწველო პროგრამის მთლიანად განხორციელებისათვის.

უკანასკნელი უნდა იქნას გაკეთებული, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი სახელმწიფო ფინანსიურ ხელმოკლეობას განიცდის და ვალიუტის კურსის განმტკიცება მოითხოვს კრედიტების შეკვეცას. თავის მხრივ სახელმწიფოს ფინანსიური გაძლიერებისათვის უნდა იქნეს მიღებული შესაფერი ზომები. ერთ-ერთ საშუალებად ამისათვის უნდა ჩაითვალოს საგადასახადო დისციპლინის განმტკიცება. სააქციზო შემოსავალი ფაქტიურად იმდენი არ შემოდის, რამდენიც გათვალისწინებულია ბიუჯეტით. წარმოებებს პირნათლად არ შეაქვთ სახელმწიფო სალაროში ხვედრი ფული. წარმოება - დაწესებულებებზე დიდძალი საგადასახადო ნარჩენები ირიცხება. ცხადია, ყველაფერ ამას მარტო „ობიექტიურ მიზეზებს" ვერ დავაბრალებთ,—ბევრ შემთხვევაში აიხსნება სამეურნეო ორგანოების უნარიანობის და საგადასახადო დისციპლინის სისუსტით, ერთი მხრივ, ზოგან საგადასახადო აპარატის არა ენერგიული მუშაობით, მეორე მხრივ. ამ მოვლენას გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო. სახელმწიფო სალაროში თავის დროზე და მთლიანად უნდა შევიდეს ნავარაუდევი შემოსავალი. ამით სახელმწიფო შესძლებს ქვეყნის საჭიროებათა რიგიანათ დაკმაყოფილებას, სხვათა შორის, მრეწველობისათვის სათანადო ფინანსიურ დახმარების აღმოჩენას.

შემდეგ ამოცანას წარმოადგენს ბრძოლის გაძლიერება საცალო ფასების დაკლებისა და მომხმარებლისათვის იაფი საქონლის მიწოდებისათვის. ამ მხრივ მდგომარეობა ბოლო დროს რამდენიმედ შეიცვალა ჩვენდა სასარგებლოდ. როგორც სამრეწველო საგნების, ისე პურის ფასებში მოხდა ერთგვარი გარდატეხა, ორივეს ეტყობა დაკლების ნიშნები. ამავე დროს ბაზარზე შედარებით სიწყნარე დამყარდა. დღეს იქ ადგილი არა აქვს წინანდელ აჟიოტაჟს და სპეკულიაციას. ასეთ მდგომარეობის შექმნაზე გავლენა იქონიეს მთელ რიგ ფაქტორებმა. მრეწველობა საქონლის მეტ მასსას უშვებს და მოსახლეობა დარწმუნდა, რომ ის უსაქონლოდ არ დარჩება. შესაფერ ღონისძიებების გზით საქონელზე საცალო ფასებმა იწყეს დაკლება. ასეთივე ზომებით შემცირდა პურის ფასები, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა ბაზრის გაჯანსაღებაზე. თვით სეზონი ხელს არ უწყობს ვაჭრობის გამოცოცხლებას: გლეხობის საშუალებები მეტ წილად დაბანდებულია სოფლის მეურნეობაში, ახალი სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის დამუშავება-დამზადების საქმეში.

ეს გარემოება უფრო ხელსაყრელ და დამშვიდებულ პირობებს ქმნის მრეწველობის ზრდისა და საცალო ფასების შემდეგი დაკლებისათვის. ეს პირობები სავსებით უნდა გამოვიყენოთ. საქონლის რაც შეიძლება მეტი მასსის გამოშვება, საცალო ფასების შემდგომი შემცირება, საქონლის მიწოდება მოსახლეობისათვის უმოკლესი გზით, კოოპერაციის აპარატის გაჯანსაღება და საქონლის დროული და სწორი განაწილება ახალი სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის დამზადების რაიონებში—აი საითკენ უნდა იქნას მიმართული მთელი ჩვენი მუშაობა უახლოეს თვეებში. ყველაფერი ეს საშუალებას მოგვცემს სათანადოთ შევხვდეთ პურის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების ახალი მოსავლის და დამზადების პერიოდს.

ასეთია უმთავრესი სადღეისო სამეურნეო ამოცანები, რომელნიც დგანან ჩვენს წინაშე. მათი წარმატებითი გადაჭრა მოითხოვს ჩვენგან მუშაობის გაორკეცებას.

ევროპიული და ამერიკული ხალხთა ლიგა

ბოლო დროს თანდათან უფრო კონკრეტულ სახეს ღებულობს ამერიკის ხალხთა ლიგის დაარსების იდეა. ამ იდეის გაცხოველებას განსაკუთრებით ხელი შეუწყო ბრაზილიის ამოსვლამ ხალხთა ლიგიდან.

შეერთებული შტატებისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების მიერ დამოუკიდებელი ლიგის დაარსება შეიძლება საბედისწერო გახდეს ჟენევის სამშვიდობო დაწესებულებისთვის. ამ დაწესებულების ავტორიტეტი ისედაც საკმაოდ შებღალულია, ის აუცილებელ კოტრებას უახლოვდება.

ამ გარემოების მიუხედავათ, ჟენევის ხალხთა ლიგის მმართველნი მაინც ოპტიმიზმს იჩენენ. ისინი ცხადებენ, რომ ბრაზილიის საკითხში თითი არაფერი მომხდარა, რის გამოსწორებაც არ შეიძლებოდეს, მიტომ რომ, ხალხთა ლიგის წესდების თანახმად, სახელმწიფოს გამოსვლა ლიგიდან შეიძლება მოხდეს მხოლოდ ორი წლის შემდეგ პირველი განცხადების დღიდან.

მაგრამ ამ ოპტიმიზმს რეალური ფაქტები ეწინააღმდეგებიან.

რიოდეჟანეიროდან მიღებული ცნობების თანახმად, ბრაზილიის განცხადებამ ჟენევის ლიგიდან გამოსვლის შესახებ, დიდი სიხარული გამოიწვია შეერთებულ შტატებში. შეერთებული შტატების ელჩმა ბრაზილიის მთავრობას მიულოცა ამ გადაწყვეტილების მიღება. ეს მილოცვა შეიძლება გავიგოთ მხოლოდ როგორც დემონსტრაცია ვაშინგტონის პოლიტიკისა ჟენევის პოლიტიკის წინააღმდეგ, ის გამოხატავს შეერთებული შტატების ოპოზიციის გაძლიერებას ხალხთა ლიგის წინააღმდეგ.

ამ ოპოზიციის საბაბი პაციფისტური (მშვიდობიანობის) იდეოლოგია: ხალხთა ლიგას უსაყვედურებენ, რომ ის კაცობრიობას საკმაოდ არ უზრუნველჰყოფს ომების წინააღმდეგ და განიარაღების საქმეს სერიოზულად აყენებს.

ამ საბუთების თანახმად შეერთებულმა შტატებმა გუშინწინ უკან გაიწვია თავისი წარმომადგენელი განიარაღების კონფერენციიდან, რომელიც უკვე რამდენიმე კვირაა, რაც გაიხსნა. განიარაღების კონფერენციის უნაყოფობისა და ამერიკის წარმომადგენლის უკან გაწვევის გამო ამერიკული მსხვილი ბურჟუაზიის გაზეთი „ფინანსიური და კომერციული ქრონიკა" შემდეგსა სწერს: „ხალხთა ლიგის პრესტიჟი იმდენად დაეცა, რომ სახელმწიფო მოღვაწეს, რომელიც შეეცდებოდა ეს დაწესებულება დაეცვა, როგორც სამშვიდობო იარაღი, დიდი გამბედაობა დასჭირდებოდა... თუ დღემდე შეერთებულ შტატებში კიდევ არსებობდა საზოგადოებრივი აზრი, რომელსაც უნდოდა, რომ ჩვენი ქვეყანა ხალხთა ლიგის წევრი გამხდარიყო, დღეს ჩვენი საზოგადოება იმედ გაცრუებულია, მიტომ რომ ლიგაში მხოლოდ ეროვნულ კინკლაობას ხედავს და მეტს არაფერს..."

ეს ხმა ამერიკის ბურჟუაზიის ბანაკიდან ამტკიცებს, რომ შეერთებული შტატები შეტევას ამზადებს ხალხთა ლიგის წინააღმდეგ. არავინ არ უნდა შეაცდინოს იმ გარემოებამ, რომ ეს მზადება მშვიდობიანობის ლოზუნგის ნიღაბქვეშ ხდება. შეერთებული შტატების პაციფიზმი ისეთივე უპატიოსნოა, როგორც ხალხთა ლიგის პაციფიზმი. ამერიკის ოპოზიციის ნამდვილი საფუძველია არა შეერთებული შტატების მშვიდობიანობის სიყვარული, არამედ შიში, რომ ხალხთა ლიგა შეიძლება ინგლისისა ან საფრანგეთის ხელმძღვანელობით ანტიამერიკულ ორგანიზაციათ იქცეს, ევროპიელ მევალეების ორგანიზაციათ კრედიტორის წინააღმდეგ, და, ამ შემთხვევაში, შეაფერხოს კი შეერთებული შტატების ძლიერების გავრცელება.

ამიტომ ამერიკის პოლიტიკური წრეები მიესალმნენ ბრაზილიის გამოსვლას, როგორც ხალხთა ლიგის დაშლის მაჩვენებელს, ამიტომ აგრეთვე შეერთებული შტატები ცდილობს ახალი ხალხთა ლიგა, ამერიკულ სახელმწიფოების ლიგა დაარსონ.

ამერიკული ხალხთა ლიგის მიზანი იქნება საშუალო და სამხრეთ ამერიკა სავსებით შეერთებული შტატების გავლენას დაემორჩილოს და მსოფლიო პოლიტიკის ხელმძღვანელობა ამერიკას გადაეცეს. ამ მიზნის მისაღწევად შეერთებული შტატების ეკონომიური სიმდიდრე სათანადო იარაღს აძლევს ხელში ამერიკულ ბურჟუაზიას. შეერთებულმა შტატებმა შუა ამერიკა სავსებით დაიმორჩილა და ახლა თავის გავლენას სამხრეთ-ამერიკაზეც ავრცელებს. შუა ამერიკის სტრატეგიულად და ეკონომიურად მნიშვნელოვანი პუნქტები, პანამის არხი, კუბა, სან დომინგო და სხვ. უკვე შეერთებული შტატების ხელშია. მექსიკა ჩრდილოეთით, სამხრეთით და აღმოსავლეთით შეერთებული შტატების პოზიციებითაა გარშემორტყმული. თვით მექსიკის შუაგულში უზარმაზარი ტერიტორიები და უმდიდრესი ნედლი მასალის წყაროები, განსაკუთრებით ნავთი, შეერთებული შტატების კაპიტალისტების ხელშია.

სხვანაირი მდგომარეობაა სამხრეთ-ამერიკის უმთავრეს სახელმწიფოებში. აქ კიდევ გავლენისთვის იბრძვიან დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოები, განსაკუთრებით ინგლისი შეერთებული შტატები.

ამ ცოტა ხნის წინათ კიდევ სამხრეთი ამერიკა ეკონომიურად თითქმის აუცილებლად ინგლისელი კაპიტალისტების საექსპლოატაციო საგანს წარმოადგენდა. მაგრამ უკანასკნელ წლებში შეერთებული შტატები წარმატებულ საკონკურენტო ბრძოლას აწარმოებს დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ. ამის მაჩვენებელია ის გარემოება, რომ დიდი ბრიტანეთის ექსპორტი სამხრეთ ამერიკიდან, რომელიც 1924 წელს 461 მილიონ გირვანქა სტერლინგს უდრიდა, გასულ წელს 451 მილ. სტერლინგზე ჩამოვიდა. ამავე დროს აკლო დიდი ბრიტანეთის იმპორტმაც სამხრეთ ამერიკაში, ის 193 მილიონიდან 184 მილიონზე ჩამოვიდა. პირიქით, შეერთებული შტატების აღებ-მიცემობა სამხრეთ ამერიკასთან, განსაკუთრებით ბრაზილიასა, არგენტინასა და ჩილისთან, წლიდან-წლამდე მატულობს. მაგალითად, შეერთებულმა შტატებმა შარშან წინ სამხრეთ ამერიკაში 655 მილიონი დოლარის საქონელი შეიტანა, შარშან კი 771 მილიონისა, იქიდან შარშან წინ 1051 მილიონი დოლარისა გამოიტანა, შარშან კი 1060 მილიონისა.

ეს ციფრები ამტკიცებს, რომ სამხრეთ ამერიკის დამოკიდებულება შეერთებულ შტატებთან თანდათან უფრო მჭიდრო ხდება. და ვაშინგტონის გეგმის შემდგენელთ სურთ ეს გარემოება გამოიყენონ შეერთებულ შტატების მსოფლიო პოლიტიკურ მიზნებისათვის, მსოფლიო ბატონობის დასამყარებლად.

ამ მიზნებს უნდა ემსახუროს ამერიკის ხალხთა ლიგამ. ვაშინგტონელი პოლიტიკოსების მშვენიერი ფრაზები ნამდვილი მშვიდობიანობის შესახებ, რეალურად მხოლოდ იმის მომასწავებელია, რომ ამერიკის კაპიტალი იმპერიალისტურ ბრძოლას იწყებს მთელი ქვეყნის მოსადრეკად და საკუთარ კოლონიად გადასაქცევად.

გეზა გოლდი.

ინგლისის ბურბონები

(„პრავდას" მოწინავე)

საფრანგეთის ბურბონები დიდი ხანია აღგავა სცენიდან ისტორიის ცოცხმა, მაგრამ მათი ჯიში, ჯიში იმ ადამიანთა, რომლებმაც არაფერი არ დაივიწყეს და ვერც ვერაფერი ისწავლეს, კვლავ განაგრძობს არსებობას და მოქმედებას.

ამ ჯიშის ადამიანებს ეკუთვნიან ინგლისელი „შუბლმაგრები", რომელთა სახელებით აჭრელებულია ჩვენი გაზეთების ფურცლები. აქაა ბირკენხედი, რომელიც ოდესღაც უფრო ცნობილი იყო ფრედერიკ სმიტის, ირლანდიელ „ოლსტერელების" ბელადის სახელით, რომლებიც აშკარად ამზადებდნენ შეიარაღებულ აჯანყებას იმ შემთხვევისათვის, თუ დანარჩენ ირლანდიაშიც შემოიღებდნენ თვითმართველობას.

აქაა ლოკერ ლემპსონი,—ჯავშნოსან რაზმის უფროსი რუსეთის მხარეზე გერმანიასთან ომის დროს, რომელიც შემდეგ კოლჩაკს მიემხრო. აქაა ჯოინსონ ხიკსი, რომელიც დიდხანს ასრულებდა თემთა პალატაში ჩვენი, სახელმწიფო სათათბიროს ნეტარხსენებულ პურიშკევიჩის როლს. აქაა დაბოლოს, თვითონ უინსტონ ჩერჩილი, რიგ-რიგობით—კონსერვატორი, ლიბერალი და ისევ კონსერვატორი, განთქმული იმით, რომ სიდნეი სტრიტზე სახლს შემოარტყა ალყა, რომელსაც თავი შეაფარა ორმა ლატვიელმა „ექსპროპრიატორმა", პოლიციის პროვოკაციის მსხვერპლმა და რომლისაკენაც გულადმა ჩერჩილმა, შინაგან საქმეთა მინისტრმა, მიმართა მთელი თავისი ლონდონის ქვეითი ჯარი, ცხენოსანი ჯარი და არტილერია და ლონდონის ისტ-ენდი საოკუპაციო ქალაქად გადააქცია. აგრეთვე, ანტვერპენში საზღვაო ექსპედიციის, იმპროვიზაციის წერით წინამძღოლი, რომელსაც სურდა გერმანელების განდევნა ანტვერპენიდან და რომელიც იქიდან დაბრუნდა ისეთი მარცხით, რომ მთელი ინგლისის ფლოტი წყევლა-კრულვით იხსენიებდა. აგრეთვე სულის ჩამდგმელი და ხელმძღვანელი არა ნაკლებ სენსაციურ და ისეთივე გამარჯვებით დამთავრებულ დარდანელის ექსპედიციისა, რომელმაც იმსხვერპლა ათი-ათასობით ახალგაზრდა ინგლისელები. აგრეთვე მეთაური, სულის ჩამდგმელი და ხაზინადარი კოლჩაკის, დენიკინის და მთელი ინგლისის პირდაპირი და არა პირდაპირი ინტერვენციის—არხანგელსკიდან-პერეკოპამდე და ომსკიდან-ვარშავამდე. აგრეთვე, დაბოლოს, ლივერპულში გაფიცულ მემაღაროეთა და ტრანსპორტელთა მასსიურ დახვრეტების მეთაური.

ვისი კარიერა შეიძლება შეედაროს ამ ხალხის სახელოვან წარსულს?

როგორ შეიძლება განცვიფრება იმის გამო, რომ ისინი ცდილობენ თავიანთი მოღვაწეობა ისეთი კეთილ-შობილი და ბრწყინვალე ექტით დაამთავრონ, როგორიცაა ურთიერთობის შეწყვეტა ჩვენთან და გამოცხადება ჩვენს წინააღმდეგ, თუ შესაძლოა, ომისაც კი.

როგორც ბურბონები, საუკეთესო კეთილშობილ სისხლის მქონენი, თუმცა ცოტაოდნად იბნევიან ქრონოლოგიაში და 26 წელი 19 წელი ჰგონიათ, როდესაც ეპიტეტები ჩვენის მისამართით, როგორც მაგალითად, „საძაგელი", ეპიტეტები, რომელიც ამ დღეებში განიმეორა ჩერჩილმა, აღფრთოვანებას იწვევდნენ არა მარტო ინგლისში, არამედ ევროპაშიაც.

მათ, კერძოდ, ვერ შეითვისეს 1923 წლის კერზონის ულტიმატუმის გაკვეთილი, რომელმაც ნათლად დაამტკიცა, რომ ინგლისის კაბინეტის ანტისაბჭოთა დიპლომატიის ყველაზედ უსაშინელეს იერიქონის საყვირსაც კი არ შეუძლიან რაიმე რეზონანსი ჰპოვოს. ისინი ხომ, როგორც ჭეშმარიტი ბურბონები, ყოველგვარ გამოცდილებაზე მაღლა სდგანან, როგორც ოდესღაც გერმანიის იმპერატორი სიგიზმუნდი ლათინურ გრამატიკის მაღლა იდგა, და წარსული საბედისწერო ავანტიურისტების განმეორება მათ არა მარტო სასურველად მიაჩნია, არამედ შესაძლებლადაც.

მაგრამ ვიყუნეთ სამართლიანი მათ მიმართ. ისინი არა მარტო განსაზღვრული ჯიშის ადამიანებია, არამედ განსაზღვრული კლასის ადამიანებიც არიან. მათი ბაგით მეტყველებს არა მარტო საკუთარი შინაგანი „ხლესტაკოვშჩინა", არამედ მეტად რეალური კლასობრივი ინტერესი. უნდა გვახსოვდეს, რომ ამ გმირებმა ეხლახან გაიმარჯვეს თავიანთ მუშათა კლასზე, ჩაშალეს [illegible]ბის დიდი გაფიცვა, რომელიც არაჩვეულებრივი იყო თავისი სიდიადით და მსოფლიო პროლეტარიატის აღფრთოვანებით. როგორ შეიძლება ზიზღით არ აღივსო და არ გაცოფდე იმის დანახვაზე, რომ საძაგელ ქვეყნის—ბოლშევიკების ძლიერმა პროფკავშირებმა ხელში აიღეს ინგლისის მუშათა კლასის ლიდერების მიერ გადაგდებული ამ სოლიდარობის დროშა და მხნედ უდგებიან მხარში სამთამადნო მუშებს. „შუბლმაგართა" თვალსაზრისით საბჭოთა პროფკავშირების სოლიდარობა ძალიან საშიშია თავის თავად და იმით, რომ მაგალითს აძლევს სხვა ქვეყნის მუშებს და რომელშიაც იგი ჰპოულობს გამოხმაურებას.

განა ცხადი არაა, რომ ეს პროლეტარულ აღშფოთების კერა უნდა დაინგრეს? განა ცხადი არაა, რომ მის დასანგრევად უნდა აღსდგეს მთელი მსოფლიო და ჯვაროსნული ომი უნდა დაიწყონ ყველა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა ბოლშევიკურ ხელისუფლების წინააღმდეგ? სწორედ ის ელემენტები, ის „შუბლმაგარნი", რომელთა გადამჭრელი სტრატეგია ბრწყინვალედ გამართლდა შინაურ ომში, ეხლა იმავე მოტივებით ყველაზე უფრო თავ-გამოდებული ადვოკატები არიან საგარეო ომის საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, რომელმაც ყველა ქვეყნის პროლეტარიატის მისწრაფებანი და ნებისყოფა განახორციელა.

ჩვენ ვიცით, რომ ეს წამქეზებელი ინგლისის მთავრობაში უმცირესობას წარმოადგენენ. ვიცით, რომ უფრო ზომიერ ელემენტებს მათზე არა ნაკლებათ ვძულვართ ჩვენ, მაგრამ მაინც სცნობენ მათ ტაქტიკას შემცდარად. მათ არა სწამთ, რომ სასურველ შედეგს მიაღწევენ ასეთი ტაქტიკით და ამჯობინებენ მოუცადონ მათთვის უფრო ხელსაყრელ საერთაშორისო კონიუნქტურას. მაგრამ ჩვენ ვიცით წარსულის მაგალითებიდან, თუგინდ იმპერიალისტურ ომის დასაწყისის გამოცდილებიდან, თუ როგორ ადვილად შეუძლია უმცირესობას, ბურჟუაზიულ წრების საზოგადოებრივ აზრზე საჭირო ზეგავლენის მოხდენით, საკმაოდ დაჟინებულ, ხანგრძლივ და უსინდისო აგიტაციის საშუალებით, აიძულოს უმრავლესობა, რომ მტრული მოქმედების გადამჭრელი კურსი აიღოს.

ის გარემოება, რომ ეგრედწოდებულმა ზომიერმა უმრავლესობამ აშკარად არ მოახდინა დეზავუაცია, არამედ, პირიქით, ოფიციალურად ფარავს ამ წამქეზებელს და სანქციაც კი მისცა ინგლისის კომპარტიის შენობიდან გატაცებულ საბუთების გამოქვეყნებას; ამ საბუთებს არავითარი კავშირი არა აქვთ საბჭოთა მთავრობასთან, მაგრამ მათი საშუალებით სურთ გააძლიერონ პანიკა „ობივატელურ" წრეებში;—ეს გარემოება უკვე წარმოადგენს დათმობას ავანტიურისტულ ელემენტების წინაშე და პირველი ნაბიჯს ბოლდუინების და ჩემბერლენების მიერ გადადგმულს დაქანებული გზით. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ჩვენს წინააღმდეგ აგიტაციას კვლავ გააგრძელებენ მთელი თავისი ენერგიით ყოვლად უსინდისო მეთოდებით ჩერჩილები და ჯონსონ ხიკსები პრესისა და საორატორო ტრიბუნის საშუალებით, და რომ მათი უფრო დამშვიდებული კოლეგების კაპიტულიაციის საფრთხე განუწყვეტლივ იწყებს ზრდას.

ჩვენს საზოგადოებრიობას არც „შუბლმაგართა" მუქარის შეეშინდება და არც თავს მოიტყუებს ზომიერთა ყალბი მშვიდობიანობის მოყვარულობით. იგი იცნობს თავის საკუთარ ძალებს და თავის მოკავშირეებს თვითონ ინგლისის პროლეტარული მასსების ძალებს. იგი ენერგიულ პასუხს გასცემს წამქეზებელთა ყოველგვარ გამოლაშქრებას, მაგრამ ამასთან ერთად შეეცდება მხარი დაუჭიროს საბჭოთა მთავრობის ცდას, რომ ამ გამოლაშქრებებს დაუპირისპიროს დაჟინებითი წინადადება ყველა სადავო საკითხების მშვიდობიანის გზით გადაწყვეტისა და ისეთი ურთიერთობის დამყარებისა, რომელიც საშუალებას მისცემს ორთავე მხარის ხალხს და მთელი დანარჩენი ევროპის ხალხებს, რომ მშვიდობიანად იშრომონ და სამეურნეო დახმარება აღმოუჩინონ ერთმანეთს.

გადმოცემულია ტელეგრაფით.

ინგლისის პროლეტარიატი დახმარებას თხოულობს

კუკი აღფრთოვანებულია საბჭოთა კავშირის მუშების თანაგრძნობით

გერმანიის და ჰოლანდიის რევოლიუციონური მუშები ეხმარებიან გაფიცულებს.—ინგლისის ბევრი მუშები [illegible] მიდიან.—მუშებმა შეურიგებელი პოზიცია დაიჭირეს 8 საათის სამუშაო დღის კანონის მიმართ

კომუნისტი საკლატვალა ჯონსონ ხიგსის წინააღმდეგ

მიმართვა საბჭ. კავ. მუშებისადმი

ლონდონი, 30 ივნისი. კუკმა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს სთხოვა უკანასკნელს, რომ მან **გულითადი სალამი და მადლობა გადასცეს საბჭოთა კავშირის მშრომელებს იმ უდიდეს და სამაგალითო მატერიალური დახმარებისათვის, რომელიც მათ ინგლისელ სამთამადნო მუშებს აღმოუჩინეს**".

„საბჭოთა კავშირის მუშებმა თავისი გამოხმაურებით — განაცხადა კუკმა— უდიდესი პატივისცემა დაიმსახურეს სამთამადნო მუშების ფედერაციის წევრების, მათი ცოლების და ბავშვების გულში.

ინგლისის მთავრობის საქციელი, რომელიც სამუშაო დღის გასადიდებლად მთელს სახელმწიფო აპარატს იყენებს, კიდევ უფრო აძლიერებს ბრძოლას. სამთამადნო მუშებს გადაწყვეტილი აქვთ იბრძოლონ უკანასკნელ წუთამდე და მოსპონ კონსერვატიული მოძრაობა, რომელიც ჩვენი მოსისხლე მტრის კაპიტალიზმის მთავარ დასაყრდენს წარმოადგენს.

მაგრამ სამთამადნო მუშები ვერ გაიმარჯვებენ, თუ მათ ფართო დახმარება არ აღმოუჩინეს.

მილიონობით მებრძოლ მუშების გაჭირვება დიდია. მოგმართავთ თქვენ, საბჭოთა ამხანაგებო, როგორც ჩვენ მივმართეთ მთელი მსოფლიოს მშრომელებს იმ იმედით, რომ თქვენ მომავალშიაც განაგრძობთ ჩვენს დახმარებას".

მუშების სოლიდარობა

ბერლინი, 30 ივნისი. გრძელდება ჰამბურგის ნავთსადგურის მუშების ბრძოლა ტრანსპორტელთა კავშირის რეფორმისტულ ხელმძღვანელთა წინააღმდეგ და ინგლისის სამთამადნო მუშებისადმი ნამდვილი სოლიდარობის განსახორციელებლად.

ჰამბურგის ნავთსადგურის მუშების სასექციო კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ტრანსპორტის მუშათა კავშირის პრეზიდიუმმა ჯერ-ჯერობით უყურადღებოთ დასტოვა ნავთსადგურის მუშების მიერ წამოყენებული მოთხოვნილება ინგლისის მუშებისათვის ნახშირის მიწოდების შეწყვეტის შესახებ.

— ნავთსადგურის მუშები — ნათქვამია რეზოლიუციაში — **აღშფოთებული არიან შტრეიკბრეხერობით და მოითხოვენ, რათა ტრანსპორტელთა კავშირის ხელმძღვანელებმა ყველა შემთხვევებში გარკვეული დირექტივები აძლიონ.**

სასექციო კრება სოლიდარობას უცხადებს ინგლისის სამთამადნო მუშებს და ავალებს ნავთსადგურის მუშების სექციის წევრებს უარი სთქვან შტრეიკბრეხერობის შესრულებაზე. კრება მოითხოვს გერმანიის პროფკავშირთა საყოველთაო გაერთიანებისაგან, რათა მან დაუყოვნებლივ მოიწვიოს ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების ყრილობა და დაიწყოს ფართო კამპანია **ინგლისის სამთამადნო მუშებისათვის დახმარების შესაკრებათ.**

ვიჯვუდ ბენის შესწორება

ლონდონი, 30 ივნისი. საპარლამენტო კომისიაში, რომელიც 8 საათის სამუშაო დღის შესახებ კანონპროექტს იხილავს, ლიბერალმა ვიჯვუდ ბენმა შეიტანა შესწორება, რომლის მიხედვით კანონპროექტის მოქმედება შესაძლოა დროებით გაუქმებულ ან შეჩერებულ იქნას ორივე პალატის გადაწყვეტილებით.

ვიჯვუდ ბენმა განაცხადა, რომ კანონპროექტით გათვალისწინებული 8 საათის სამუშაო დღის 5 წლის ვადით არსებობა ამ ზომას არსებითად მუდმივად ხდის. ვიჯვუდ ბენის სიტყვით, სავსებით დასაბუთებულია ის სანახშირო კომისიის მიერ გათვალისწინებული საფრთხე, რომ მუშათა ცხოვრების პირობების გაუარესება ინგლისში, ასეთსავე მოვლენას გამოიწვევს საზღვარგარედ.

ვიჯვუდ ბენის შესწორება კომისიამ უარჰყო.

პალესტინის მუშების დახმარება

ანგორა, 1 ივლისი. **პალესტინის კომპარტიამ მოწოდებით მიმართა პალესტინის მუშებს, რომ მათ მხარი დაუჭირონ ინგლისის მემაღაროებს.** მუშათა ფრაქციამ რკინის გზის მუშებს შორის გაატარა დადგენილება ერთი დღის ხელფასის ინგლისის მემაღაროებისათვის გადაგზავნის შესახებ. პირველად შეგროვილი თანხები უკვე გაიგზავნა ინგლისში.

კუკის განცხადება

ლონდონი, 30 ივნისი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში კუკმა განაცხადა:

„სამთამადნო მუშათა ფედერაციის აღმასკომმა დაწვრილებით და ყოველმხრივ განიხილა მოხსენებები ადგილებიდან და მთავრობის უკანასკნელი ღონისძიებები, რის შემდეგ დაადგინა: სამთამადნო მუშათა ფედერაციის აღმასკომი სცნობს, რომ მთავრობის კანონპროექტს მაღაროების რეორგანიზაციის შესახებ არ შეუძლია იმ ქაოტიური მდგომარეობის შეცვლა, რომელიც თანდათან უფსკრულისაკენ მიაქანებს ნახშირის მრეწველობას. კანონპროექტი არსებითად ვერ ასწევს ნახშირის მრეწველობის ნაყოფიერებას და განახორციელებს მეფის კომისიის მიერ დასახულ გეგმის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს. **სამთამადნო მუშათა ფედერაციის აღმასკომი ზიზღით უარყოფს კანონპროექტს 8 საათის სამუშაო დღის შესახებ** და აღნიშნავს, რომ ეს კანონპროექტი წამოაყენეს იმისთვის, რომ სასოწარკვეთილებამდე მიიყვანონ სამთამადნო მუშები და შეუძლებლად გახადონ კონფლიქტის სამართლიანი მოწესრიგება; ამისგამო **აღმასკომი ადგენს კანონპროექტის მიმართ დაიჭიროს შეურიგებელი — მტრული პოზიცია, როგორც ამჟამად, ისე მომავალშიაც მიიღოს ყოველგვარი ზომები, რომ არარაობათ აქციოს ახალი კანონის პრაქტიკული გამოყენების შედეგები და კვლავ დაადასტუროს სამუშაო დღის გადიდებაზე და სამუშაო ხელფასის შემცირებაზე უარის თქმის წინანდელი პოლიტიკა.**

დასასრულ კუკმა განაცხადა, რომ აღმასკომმა დიდის კმაყოფილებით აღნიშნა **სამთამადნო მუშების მტკიცე სოლიდარობა**, რომელიც ბრძოლის ენერგიას მისცემს სამთამადნო მუშათა ფედერაციის წევრებს.

მუშების პოზიცია

ლონდონი, 30 ივნისი. სამთამადნო მუშათა ფედერაციის აღმასკომმა ნახშირის მრეწველობის მდგომარეობის განხილვის შემდეგ, რომელიც მთელ დღეს გაგრძელდა, **ერთხმად დაადგინა წინანდებურათ წინააღმდეგობა გაუწიოს სამუშაო დღის გადიდებას და სამუშაო ხელფასის შემცირებას.**

ჰოლანდიის მუშების დახმარება

ამსტერდამი, 1 ივლისი. ჰოლანდიის **რევოლიუციონურმა პროფკავშირებმა 10.000 გულდენზე მეტი შეაგროვეს ინგლისელ სამთამადნო მუშების სასარგებლოდ. ჰოლანდიის რეფორმისტული პროფკავშირები წინანდებურად საბოტაჟს უცხადებენ თანაგრძნობის კამპანიას.**

ჰოლანდიაში მომქმედმა მთლიანობის კომიტეტმა, რომელშიაც გარდა კომუნისტებისა, მონაწილეობას იღებენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის და პროფკავშირების მემარცხენე მუშაკები—ფიმინი, შმიდტი და სხვ.,—უნდობლობა გამოუცხადა ჰოლანდიის რეფორმისტულ პროფკავშირების ბელადებს და კავშირი დაიჭირა მუშათა საერთაშორისო დახმარების კომიტეტთან.

სამუშაო დღე

პარიზი, 1 ივლისი. კანონპროექტი რვა საათის სამუშაო დღის შესახებ ძალაში შევა მომავალი სამშაბათიდან.

წყლის ნაყვა

ლონდონი, 1 ივლისი. დღეს რამზეი მაკდონალდმა სასტიკი შენიშვნა მისცა თავის მომხრეებს, რომელნიც ცდილობდნენ თემთა პალატის პრესტიჟის დაცემას.

„მე მსურს — განაცხადა მაკდონალდმა — ინდივიდუალურად და ოფიციალურათ გავიმიჯნო იმისაგან, რაც სახელს უტეხს თემთა პალატას ქვეყნის თვალში, ან, ყოველ შემთხვევაში, გავიმიჯნო ყველაფერისგან, რაც ამცირებს სიტყვის თავისუფლებას და პატივისცემას ყოველგვარ, თუ გინდ მოპირდაპირე პარტიის, აზრისადმი.

[illegible]

ფინანსიური წელი

ლონდონი, 1 ივლისი. ინგლისის საფინანსო წლის პირველი მეოთხედი დამთავრდა 1 ივლისს.

შემოსავალი არის 22.340.416 გირ. სტერლინგით ნაკლები, ვინემ იყო წარსულ წელს ამავე პერიოდის განმავლობაში.

მიდიან ამერიკაში

ლონდონი, 1 ივლისი. „დეილი მეილი" იუწყება, რომ 6,000-ზე მეტმა ინგლისელმა მისცა თხოვნა შეერთებულ შტატებში შესვლაზე ნებადართვის შესახებ. ნებართვას მისცემენ მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს.

მუშათა პარტიის პოზიცია

ლონდონი, 30 ივნისი. მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის წარმომადგენლებს **კლაინსს** და **გენდერსონს** თათბირი ჰქონდათ სამთამადნო მუშათა ფედერაციის აღმასკომთან. ამ თათბირიდან გამოირკვა სამთამადნო მუშათა ფედერაციის აღმასკომის შეხედულება იმაზე, თუ როგორი პოზიცია უნდა დაიჭიროს მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ თემთა პალატაში 8 საათის სამუშაო დღის კანონპროექტის გატარების დროს.

ფედერაციის აღმასკომმა წინადადება მისცა მუშათა პარტიას არ შეიტანოს შესწორებები კანონპროექტში, რადგან შესწორებები შეიძლება ახსნან როგორც პრინციპიალური თანხმობა საკითხის კომპრომისულ გადაწყვეტაზე და ხმა მისცეს კანონპროექტის წინააღმდეგ მთლიანად.

როგორც იტყობინებიან, **მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქცია დასთანხმდა ასეთი ტაქტიკის დაცვაზე.**

საკლატვალას განცხადება

ლონდონი, 1 ივლისი. თემთა პალატის სხდომაზე კომუნისტ დეპუტატმა საკლატვალამ შემდეგი განაცხადა პირადი საკითხის გამო:

„ამას წინად, შინაგან საქმეთა მინისტრმა პალატაში წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც ცდილობდა დაემტკიცებია, თითქოს მე ფულებს ვღებულობდი რუსეთიდან საარჩევნო კამპანიისათვის. **ვაცხადებ, რომ ეს თავიდან ბოლომდე სიყალბეა, სამივეჯერ, როცა ჩემი კანდიდატურა წამოყენებული იყო საყოველთაო არჩევნებში, მე არც მითხოვია და არც მიმიღია არც არაპირდაპირ, არც უშუალოდ არცერთი პენსი**, თუმცა პრინციპიალურად ასეთი საქციელი მე შემცდარად არ მიმაჩნია.

როგორც უკანასკნელ, ისე წინანდელ საყოველთაო არჩევნების დროს, მე არავისგან, გარდა ინგლისის კომუნისტური პარტიისა, დახმარება არ მიმიღია. ჩემი საკუთარი რესურსები, ჩემი მომხრეების, ინდოელ მეგობრების და ნათესავების დახმარება არ აღმოჩნდა საკმარისი".

შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯონსონ ხიკსმა საკლატვალას გამოსვლის საპასუხოდ განაცხადა:

„როცა საკლატვალა, ან თუნდაც დაუშვათ მუშათა პარტიის სხვა რომელიმე წევრი, აცხადებს, რომ ის მართლაც ფულს არ ღებულობდა, მე უეჭველად მჯერა ეს განცხადება".

კანონპროექტი 8 საათის სამუშაო დღის შესახებ

ლონდონი, 1 ივლისი. საადმირალოს პირველმა ლორდმა ბრიჯმენმა თემთა პალატაში შეიტანა 8 საათის სამუშაო დღის შესახებ კანონი მესამე წასაკითხად.

ბრიჯმენმა აღნიშნა, რომ სანახშირო მრეწველობის რეორგანიზაციის კანონის გარდა, მთავრობა განიხილავს სხვა ნაბიჯებსაც და ყოველის ღონისძიებით სცდილობს, რომ ეს საქმე მოგვარდეს. მთავრობა იძულებულია ანგარიში გაუწიოს მომენტს და ამის გამო შექმნილ მდგომარეობას უპასუხებს დღეს პალატაში შეტანილი კანონპროექტით. ცხადია, რომ კანონპროექტის მიზანია, ნება დართოს მრეწველობაში მონაწილეთ, რომ მათ გამოარკვიონ, რა შეიძლება იქმნას გაკეთებული რვა საათის სამუშაო დღის შემოღებით სამუშაო ხელფასის და პროდუქციის გაიაფების მიმართ, რომ საშუალება მიეცეს ინგლისს დაკარგული ბაზრის უკან დაბრუნებისა.

ბრიჯმენს სიტყვას ხშირად აწყვეტინებდენ მუშათა ფრაქციიდან და ხანდახან სიტყვის გაგრძელების საშუალებას არ აძლევდენ.

ხარტშორმა, მემაღაროეთა ერთ-ერთმა დეპუტატმა განაცხადა, რომ თუ ეს კანონპროექტი ძალაში შევიდა, **იგი ხელს შეუწყობს სანახშირო მრეწველობაში გაფიცვის გაგრძელებას.**

„მე დარწმუნებული ვარ, სთქვა ხარტშორმა, რომ მუშათა პარტიის ყოველი წევრი სრულიად გულწრფელად ჩაუდგება ოპოზიციაში ყოველგვარ გარდაწყვეტილებას, როგორი ფორმითაც არ უნდა იყოს, რომელიც კანონპროექტის დებულებების მიღებას მოითხოვს. რამდენადაც საქმე მეხება პირადად მე, დავრწმუნდი, რომ **როცა კუკი ან სხვა ვინმე გამოსთქვამს აზრს დათმობის სასარგებლოდ, ამის წინააღმდეგ უნდა გავილაშქროთ**".

ორატორმა გამოსთქვა კმაყოფილება, **რომ მემაღაროენი არ იწყებენ მოლაპარაკებას და არც რაიმე ცდას ახდენენ 8 საათის სამუშაო დღის ნიადაგზე შეთანხმების მიღწევისათვის. სანახშირო მრეწველობაში მეტად უნუგეშო მდგომარეობა შეიქნა.**

საბჭოთა კავშირი და ინგლისი

მოსკოვი, 1 ივლისი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს ვაჭრობის სახ. კომისარის მოადგილემ **ფრუნკინმა** საბჭოთა კავშირის და ინგლისის ეკონომიურ ურთი-ერთობის შესახებ განაცხადა:

„კატეგორიულად უარყოფ კონსერვატიული პარტიის მემარჯვენე ელემენტების ინსინუაციებს ჩვენი სავაჭრო ორგანოების ინგლისის საშინაო საქმეში ჩარევის შესახებ.

ჩერჩილი თავის გამოსვლაში ინგლისის საქმიან წრეებს მოუწოდებდა საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთი-ერთობის შეწყვეტისაკენ და აშინებდა მათ რომ ისინი მოტყუებული დარჩებიან.

შეიძლება ითქვას, რომ ინგლისის საქმიან წრეებს, რომელნიც 5 წლის განმავლობაში სავაჭრო ურთი-ერთობაში არიან ჩვენთან, აქვთ საფუძველი სკეპტიკურად შეხედონ ჩერჩილის არგუმენტებს. **ინგლის - საბჭოთა ვაჭრობა უკანასკნელ წლებში თანდათან ფართოვდებოდა.** საბჭოთა კავშირის დაკვეთები ლონდონის ბაზარზე 1923—24 წელს აღწევს 103.000.000 მანეთს, 1924—25 წელს — 224 მილ. მან., ხოლო 1925—26 წლის პირველ ნახევარში — 109 მილ. მანეთს.

საბჭოთა საქონლის რეალიზაცია ინგლისში გამოიხატა შემდეგ ციფრებში: 1923—24 წელს 145 მილ. მანეთი, 1924—25 წ. 227 მილ. მან. და 1925—26 წლის პირველ ნახევარში 106 მილ. მან. სავაჭრო ბალანსი საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის დაუახლოვდა ნეტტობალანსს; ცალკე წლებში გამოდის მცირედი პასივი ან საბჭოთა კავშირის ან ინგლისის მხარეზე.

ჩვენი გამოანგარიშებით, უკანასკნელ 4—5 წლის განმავლობაში ჩვენმა საანგარიშო ბალანსმა მოგვცა სალდო ინგლისის სასარგებლოთ 17 მილ. გირ. სტერლინგამდე. ჩვენ არასოდეს არ ვმალავდით და არც ვმალავთ, რომ საბჭოთა კავშირი დაინტერესებულია ინგლისის ბაზრით; იმავე დროს ინგლისის მრეწველობის მთელ რიგ წარმომადგენელთა განცხადების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ინგლისი დაინტერესებულია საბჭოთა კავშირთან ეკონომიური ურთიერთობის გაფართოებით და განვითარებით.

საბჭოთა კავშირის გასვლამ პურის ბაზრიდან შარშან გამოიწვია ის, რომ პურის ფასი ინგლისში გაიზარდა 3 გირ. სტერლინგამდე ტონაზე. პურის გაძვირებას ადგილი ჰქონდა აგრეთვე შარშან ზამთარში, როცა საბჭოთა კავშირმა რამოდენიმეთ შეამცირა პურის გატანა.

გარდა ამისა ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა კავშირის გამოსვლამ ტყის ბაზარზე გამოიწვია ფასების მნიშვნელოვანი შემცირება როგორც მსოფლიო, ისე, განსაკუთრებით, ინგლისის ბაზარზე.

გადაჭრით ვაცხადებთ, რომ ინგლისთან სავაჭრო ურთი-ერთობის დაწყებიდან დღევანდლამდე თამასუქის გასაჩივრების არც-ერთ შემთხვევას არ ქონია ადგილი. ჩერჩილმა კარგათ იცის, რომ ინგლისის სავაჭრო და სამრეწველო ფირმების პორტფელებში მრავლად მოიპოვება სხვა ქვეყნების წარმოებათა განსაჩივრებული თამასუქები.

ჩვენ სისწორით და კეთილსინდისიერათ ვასრულებთ ვალდებულებებს არა მარტო თამასუქების შესახებ, არამედ სავაჭრო ხელშეკრულებით დაკისრებულ ყველა ვალდებულებებს.

ინგლისის საქმიანმა წრეებმა ეს კარგათ იციან და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეკონომიური ინტერვენციას, რომლის გატარებას ცდილობდა ჩერჩილი, ისეთივე ბედი ეწევა, როგორც წილად ხვდა სამხედრო ინტერვენციას, რომლის სულის ჩამდგმელი იგივე ჩერჩილი იყო.

ინგლისის მთავრობა, თითქოს, უარყოფს კონსერვატორების უკიდურეს მემარჯვენე ფრთის გზას, მაგრამ ეს საფრთხე მაინც რჩება, რაც ეწინააღმდეგება ორივე ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობას და მრეწველობას.

საბჭოთა პრესა

საერთო კრებების შესახებ

ეჭვი არ არის, რომ მასიური მუშაობა უშუალოდ მუშებს შორის ჯერ კიდევ მოიკოჭლებს. მასიური განმარტებითი მუშაობის კარგად დაყენება კი ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა მშრომელთა უფრო დასაახლოვებლად პარტიასა და ხელისუფლებასთან, მათ ჩასაბმელად მშენებლობაში, მათი საზოგადოებრივი შეგნების და აქტივობის ასაწევად. საჭიროა დაწვრილებით იქნეს შესწავლილი მასიური მუშაობის პრაქტიკა, მისი ცალკე ფორმები, რათა მიღწევები ამ დარგში იქნეს განზოგადოებული და ფართოდ გამოყენებული, ხოლო ნაკლულევანებები აცილებული.

მასიურ მუშაობის ფორმებ შორის პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს მუშა-მოსამსახურეთა და საერთოდ მშრომელთა საერთო კრებები. „რაბოჩაია მოსკვა" ეხება ასეთი კრებების ნაკლულევანებებს:

„ზოგად ნაკლულევანებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვახერხებთ ჩვენი საერთო კრებებით ფართე უპარტიო მასსის ღრმად დაინტერესებას. ამ კრებებს ჩვენ ჯერ კიდევ ცუდად ვაწყობთ, ცუდათაა დაყენებული წინასწარი ინფორმაცია მათ შესახებ, საკმაო განმარტებითი მუშაობას არ ვატარებთ კრების მოწვევამდე, რომ მის დღის წესრიგში მდგარი საკითხი გასაგები იყოს ყველასათვის, მათ შორის მუშების უფრო ჩამორჩენილ ჯგუფებისათვისაც.

თვით მოხსენება ხშირად არ იკიდება ისეთ საკითხებზე, რომელნიც მასსას აღელვებენ და განსაკუთრებით საჭირბოროტო ხასიათს [illegible]. მომხსენებელი ძალიან ხშირად არა საკმაო სიცხადით და ყურადღებით უპასუხებს წერილობითი თუ სიტყვიერ შეკითხვებზე. კრების ხელმძღვანელი ხშირად ვერ ახერხებს მის ისე წაყვანას, რომ ჩააბას მასსა საკითხების განხილვაში, გამოიწვიოს აზრთა ცოცხალი გაცვლა-გამოცვლა, და რადგან „უსიამოვნების" შიშით ცდილობს მის რაც შეიძლება „მწყობრად" ჩატარებას. რეზოლიუციები, რომლებსაც იღებენ კრებებზე მეტის მეტად ზოგადი, განყენებული ხასიათისა არიან, ამიტომ ისინი შესაძლებლობას არ იძლევიან ვინმესთვის რაიმე მოთხოვნის წაყენებისა და შესრულების მეთვალყურეობისათვის; ადგილი არ აქვს რეზოლიუციების შემუშავებასა და შედგენაში კოლექტიურ მონაწილეობას".

ცხადია, რომ ასეთი კრებები ინტერესს ვერ გამოიწვევენ მასსებში და საერთოდ კრებების ავტორიტეტს სცემენ მათ თვალში. საერთო კრებების სათანადო მომზადებას და ჩატარებას უნდა მიექცეს მეტი ყურადღება. კრებების მოწვევის წინ შესაფერი განმარტებითი კამპანია უნდა ჩატარდეს. მათი დღის წესრიგი არ უნდა იყოს ზედმეტად დატვირთული. დიდი მნიშვნელობა აქვს მომხსენებელს და მოხსენებისათვის თემის შერჩევის საკითხს. მუშებისათვის საინტერესო თემა, საკითხისადმი კონკრეტიულად მიდგომა, გასაგები ენით და მოკლედ ლაპარაკი, შეკითხველთა დაკმაყოფილება, კრებისათვის გამოცდილ ხელმძღვანელის არჩევა, რომ მის მუშაობაში აქტიურად ჩააბას მთელი აუდიტორია,—აი რაა საჭირო საერთო კრებების გამოსაცოცხლებლად.

მუსოლინის სამფლობელოში

ლონდონი, 1 ივლისი. გუშინ ფაშისტურმა მთავრობამ იტალიის ხალხი დააყენა ეკონომიურ რეფორმების და მომჭირნეობის ფართე გეგმების წინაშე, რომელიც უშუალოდ თითქმის თვითეულ მოქალაქეს ეხება.

გეგმა ძალაში შედის დღეს, დილიდან.

მუსოლინის გადამჭრელი ზომების მიზანია იმპორტის შემცირება და პროდუქციის გადიდება.

ახალი დეკრეტით 12 თვის განმავლობაში აკრძალულია დიდი კერძო სახლების აგება და ახალ კაფეების და კლუბების გახსნა.

ყოველდღიურ გაზეთების გვერდების რიცხვი მცირდება ექვსამდე.

დეკრეტი აწესებს 9 საათის სამუშაო დღეს.

გარდა ამისა მთავრობა აწარმოებს მოლაპარაკებას საამშენებლო მრეწველობის ნედლი მასალის ღირებულების შესამცირებლათ.

მუშათა დელეგაციები

ავსტრიის მუშათა დელეგაცია

ვენა, 30 ივნისი. ავსტრიის რკინისგზელთა პროფკავშირის აღმასკომი დაჟინებით უმალავს თავის წევრებს საბჭოთა რკინისგზელების წინადადებას— საბჭოთა კავშირში ავსტრიის პროფკავშირების დელეგაციის გამოგზავნის შესახებ.

ამის გამო ავსტრიის კომპარტიამ ფართო კამპანიის წარმოება დაიწყო საბჭოთა კავშირში დელეგაციის გაგზავნისათვის და მიტინგებზე და პრესაში ამხილებს რეფორმისტების არაკეთილსინდისიერებას და საბოტაჟს.

ამერიკის მუშათა დელეგაცია

ნიუ-იორკი, 30 ივნისი. ამერიკის შრომის ფედერაციის აღმასკომმა გამოაქვეყნა განცხადება ამერიკის მუშათა დელეგაციის საბჭოთა კავშირში გაგზავნის შესახებ. განცხადებაში გამოთქმულია იმედი, რომ „არც ერთი წარმომადგენელი იმ ორგანიზაციების, რომლებიც ამერიკის შრომის ფედერაციაში შედიან, არ დასთანხმდება ასეთ დელეგაციაში მონაწილეობის მიღებაზე".

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრანგეთი კატასტროფის წინ

ფრანკის კურსი ეცემა

ლონდონი, 1 ივლისი. დღეს ლონდონში ფრანკი დაეცა 174-მდე, გუშინ გირვანქა სტერლინგი ღირდა $171\frac{3}{4}$.

კრიზისის შედეგი

პარიზი, 1 ივლისი. პარიზში ადგილი აქვს საერთო დეპრესიას, როგორც **საფინანსო და პოლიტიკურ კრიზისის შედეგს.** შიშობენ, რომ მთავრობის ძლიერი ოპოზიცია გადაეღობება წინ.

იმედების გაცრუება

ბერლინი, 1 ივლისი. პირველმა კონტაქტმა საფრანგეთის კაბინეტსა და პარლამენტს შორის სავსებით იმედგაცრუებული დასტოვა ორივე მხარე.

„ეკო დე პარი“ სწერს: „ჩვენ მოველოდით პატ[illegible] მოჭრილ ლითონის ფულს, ა[illegible]რამდე საქა[illegible] კი ქაღალდის ფულს გვაძლევე[illegible] 800 ვაგ[illegible] [illegible]

ყველა უკმაყოფილოა

პარიზი, 30 ივნისი. მთავრობის დეკლარაციამ ვერ დაამშვიდა ვერც პოლიტიკური და ვერც საქმიანი წრეები.

პირიქით დეკლარაციის ზოგიერთი ადგილის გამო შიშს გამოსთქვამენ, რომ **მთავრობა მზად არის დაემორჩილოს ინგლის-ამერიკის ბანკირების მოთხოვნილებებს.**

მემარჯვენე წრეების შიში გამოხატა ტარდიემ, რომელმაც მთავრობისაგან პირობა მოითხოვა, რომ ის ინგლის-ამერიკის ბანკირებთან შეთანხმებას არ დასდებს მანამდე, სანამ ბრიანი დეპუტატთა პალატას არ წარუდგენს ფინანსიური გაჯანსაღების გეგმას.

ბრიანის ბუნდოვანმა პასუხმა და გავრცელებულმა ხმებმა, რომ საფრანგეთის ბანკმა უკვე დაიწყო მოლაპარაკება ინგლის-ამერიკის ბანკირებთან, გააძლიერა შიში და ბირჟაზე კვლავ დაიწყო ფრანკის კურსის დაცემა.

გლეხთა მოძრაობა ჩინეთში

პეკინი, 30 ივნისი. **შან-სის პროვინციაში ბრძოლა სწარმოებს გლეხებსა და უ-პეი-ფუს არმიის იმ ნაწილებს შორის, რომელთაც ლუ-ჩენ-ხუნი უფროსობს.**

გლეხები შეიარაღებულნი, ზოგი თოფით, ზოგი კეტით, სოფლებიდან ერეკებიან ლუ-ჩუნ-ხუნის ჯარისკაცებს. ვეინანის ოლქში დაბანაკებულ რაზმებს ალყა შემოარტყეს გლეხებმა და ამოჟლიტეს. **ბევრ ადგილებში შესდგა გლეხთა თავდაცვის კავშირები.**

ლუ-ჩუნ-ხუნმა 4 სპეციალური პოლკი გამოიყვანა აჯანყების ჩასაქრობათ.

ჰინდენბურგის რესპუბლიკაში

კომუნისტი დეპუტატები

ბერლინი, 30 ივნისი. რეიხსტაგის საპარლამენტო კომისიამ უარყო მთავარი პროკურორის მოთხოვნილება კომუნისტების დეპუტატ **მეკერტის, მერკლეს, პფიეფერის, რემელეს, შტეკერის** და სხვებისათვის ხელშეუხებლობის უფლების ჩამორთმევის შესახებ. კომისიამ უარყო აგრეთვე კომუნისტების წინადადება ხსენებულ პირების წინააღმდეგ აღძრული საქმის მოსპობის შესახებ.

სოციალ-გამცემლების როლი

ბერლინი, 30 ივნისი. ყოფილ მეფის გვარეულობათა პრეტენზიების კომპრომისულ მოწესრიგებისათვის მთავრობის მიერ წარმოდგენილ კანონპროექტის მეორედ წაკითხვის შემდეგ, მდგომარეობა ისევ გამოურკვეველი რჩება. კანონპროექტის მუხლების უმრავლესობას ხმა მისცა მხოლოდ ცენტრის პარტიებმა. კომუნისტებმა ხმა მისცეს წინააღმდეგ, ხოლო ნაციონალისტებმა და სოც. დემოკრატებმა თავი შეიკავეს. გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება სოც. დემოკრატიულ ფრაქციის პოზიციას. მემარჯვენე სოც. დემოკრატების ერთ ჯგუფს მთავრობის კანონპროექტი მისაღებათ მიაჩნია უმნიშვნელო შესწორებებით, მაგრამ, სოც. დემოკრატიულ მასების ზეგავლენა თანდათან ძლიერი ხდება, რაც განსაზღვრავს მემარცხენე სოც. დემოკრატების ფრაქციის პოზიციას. მემარცხენე სოც.-დემ. შორის კომპარტიის ლოზუნგი რეიხსტაგის დათხოვნის შესახებ, თანდათან სიმპატიას პოულობს.

ანაზღაურების საკითხი

ბერლინი, 1 ივლისი. **ყოფილ პრინცების ქონების ანაზღაურების საკითხი საბოლოოდ უნდა გადაიჭრას** დღეს, რეიხსტაგის სოციალისტური ფრაქციის სადამოს სხდომის შემდეგ.

თუ სოციალისტების პრესას დავაკვირდებით, საეჭვოა მთავრობის კანონპროექტის გარშემო შეთანხმების მიღწევა.

პილსუდსკის „რეფორმები“

მთავრობის პროექტები

ვარშავა, 1 ივლისი. პოლონეთის მთავრობის ეკონომიური პროექტი პირველ ყოვლისა ითვალისწინებს დახმარების აღმოჩენის მიწათმოქმედებისათვის.

ყურადღება მიექცევა აგრეთვე მრეწველობასაც, განსაკუთრებით მრეწველობის იმ დარგებს, რომელთაც შეუძლიათ საექსპორტო საქონლის დამზადება და რომელნიც ამავე დროს ქვეყნის მოთხოვნილებასაც აკმაყოფილებენ.

მრეწველობის ასეთ კატეგორიას ეკუთვნის სამთა-მადნო, ლითონის და სატყეო მრეწველობა.

პირველი ნაბიჯი ქვეყნის ფინანსიური მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის—ეს არის პოლონეთის ბანკის აღრიცხვითი პროცენტის შემცირება 1 ივლისიდან.

უმუშევრობის აღმოსაფხვრელად მთავრობას განზრახული აქვს პროდუქციის განვითარება და საზოგადოებრივ სამუშაოების ჩატარება, მაგალითად: გდანსკის ნავთსადგურის აგება და იმ რკინისგზების გაყვანა, რომელნიც სამრეწველო ცენტრებს ზღვის ნაპირებს შეუერთებენ.

საგარეო ვაჭრობის შესახებ მინისტრმა (?) განაცხადა: „ჩვენ მზად ვართ აღვადგინოთ ნორმალური ეკონომიური ურთიერთობა ჩვენს ორ მეზობელთან და დარწმუნებული ვართ, რომ ურთიერთობის მოგვარება გააადვილებს ჩვენს მიწის მუშებს და მრეწველებს თავიანთი პროდუქციის გასაღებას“.

დასასრულ მინისტრმა განაცხადა, რომ ის ეწინააღმდეგება მაღალ ტარიფებს.

ფრანგები სირიაში

ფრანგების ცნობა

პარიზი, 1 ივლისი. აჯანყებულ დრუზების მეთაურმა სულთან ატრაშმა ღამით დასტოვა ინდსა-სოილი.

დრუზების ბევრმა ოჯახმა მორჩილება გამოაცხადა.

ახალი ჯარები

ანგორა, 30 ივნისი. რადგან სირიელი აჯანყებულები განაგრძობენ გამოსვლებს, **საფრანგეთის კომისარმა სირიაში დე-ჟუვენელმა მოითხოვა 30,000 კაცისაგან შემდგარი ახალი არმიის გადაგზავნა მაროკოდან სირიაში.**

გენერ. ავერესკუს პარლამენტი

ოპოზიციის პროტესტი

ვენა, 30 ივნისი. დეპუტატთა მანდატების შემოწმების გამო, რუმინეთის ყველა ოპოზიციონურმა პარტიებმა პარლამენტში შეიტანეს საპროტესტო რეზოლიუცია საარჩევნო ტერორის წინააღმდეგ. ნაციონალურ საგლეხო პარტიის წარმომადგენლებმა გამოაქვეყნეს დეკლარაცია, რომელიც პარლამენტს უკანონო დაწესებულებათ აცხადებს.

ბოიკოტი

ვენა, 30 ივნისი. ვინაიდან ავერესკუმ აკრძალა კორესპონდენტების შესვლა პარლამენტის კულუარებში, კორესპონდენტებმა გადასწყვიტენ თავის ანგარიშებში ბოიკოტი გამოუცხადონ მინისტრების უმრავლესობას.

შეთქმულების აღმოჩენის შემდეგ

ანგორა, 1 ივლისი. ბრალდებულმა, ყოფილმა მაორმა **ედიბემ** განაცხადა, რომ ქემალ-ფაშას მოკვლის ორგანიზაციის პროექტი მან შუქრი-ბეისაგან მიიღო.

ედიბემ დაადასტურა ზია-ხურშიდის ჩვენება შეთქმულებისათვის მზადების შესახებ.

ყოფილმა პოლკოვნიკმა **ასიმმა** აღიარა, რომ ის შეთქმულების ორგანიზაციის პროექტს ექვსი თვის განმავლობაში იცნობდა და ხელი მოაწერა წერილს, რომელიც ზია-ხურშიდმა ედიბეს გადასცა.

დეპუტატმა სარუხანა **აბდინმა** განაცხადა, რომ მან უარი სთქვა მოკვლის განზრახვის შესრულების ორგანიზაციის საჭირო საშუალებათა მიწოდებაზე და თავისი დუმილი. შეთქმულების გამო იმით ახსნა, რომ მან არ იცოდა შეთქმულების განვითარების ეტაპები.

სხვადასხვა

აპარატი ყრუთათვის

ქალაქ გულლის სამოქალაქო ინჟენერმა კოლორმა გამოიგონა შესანიშნავი აპარატი სმენის გასაძლიერებლად. აპარატის გამოყენების ცდები საუკეთესო შედეგებს იძლევა.

ყრუთა და ბრმათა ინსტიტუტში ბავშვების 80 პროცენტმა ამ აპარატის შემწეობით პირველად მოისმინა სიტყვა და მუსიკა. აპარატს აქვს უბრალო რადიო-მიმღების სახე.

— **უბედურება ჰაერში.** ინგლისის საჰაერო მიმოსვლის სამინისტრო იტყობინება, რომ სუეცის (ეგვიპტე) მახლობლად ჰაეროპლანის დამტვრევის დროს მოკვდა პილოტი, ოფიცერი ნონდერსონი და მფრინავი გრეგმი.

— **შავი ჭირი მექსიკაში.** ქალაქ ლეონიდან მიღებული ცნობით, წყალდიდობის შემდეგ გაჩენილი ჭირი დიდ ზარალს აყენებს ქალაქ ლეონს (მექსიკა).

6000 ოჯახი უსახლკაროდ და ულუკმაპუროდ დარჩა.

დაღუპულთა საერთო რიცხვი 250 კაცს აღემატება.

— **იტალიური გაფიცვა.** გუაზენის (საფრანგეთში) ლითონის ქარხნიდან პარიზში დაითხოვეს 1,200 მუშა, რომლებმაც იტალიური გაფიცვა გამოაცხადეს იმის გამო, რომ ადმინისტრაციამ უარი სთქვა სამუშაო ხელფასის გადიდებაზე.

— **ეგვიპტის პარლამენტში.** ეგვიპტის პარლამენტის სამანდატო კომისიამ დეპუტატობის მანდატი ჩამოართვა ტეფიკ-დუმ-ფაშას, რომელიც ერთად ერთი კანდიდატი იყო მეფის პარტიისა. ის დეპუტატად გავიდა ბოროტმოქმედების საშუალებით.

— **იტალია-სამხრეთ-სლავიის შეთანხმება.** სამხრეთ-სლავიის პარლამენტმა (სკუპშჩინამ) დაამტკიცა სამხრეთ-სალვიის შეთანხმება იტალიასთან.

— **პარიზში.** დეპუტატთა პალატის კომისია იხილავს საკითხს საარჩევნო რეფორმის შესახებ.

— **ტერორი ფინეთში.** აბოს სასამართლომ გამოიტანა დადგენილება რევოლიუციონურ ახალგაზრდობის საქმეზე. 45 კაცს მიესაჯა სამსამი წელიწადი ციხე. ახალგაზრდათა 200 კავშირი გამოცხადებულია დახურულად.

— **ესპანელ მუშათა დატუსაღება.** „იუმანიტე“ იტყობინება, რომ პარიზში მრავალი ესპანელი მუშა დააპატიმრეს. დაპატიმრების საბაბად ასახელებენ იმ მიზეზს, რომ ვითომც ამ საშუალებით სურთ ესპანეთის მეფის ალფონსის წინააღმდგ შეთქმულობის აღმოჩენა.

— **აკად. დრამის დაბრუნება.** გუშინ კახეთიდან თბილისში დაბრუნდა ქართული აკადემიური დრამა. დრამამ დაასრულა თვისი საგასტროლო მოგზაურობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

მელითონეთა კავშირში

მოსკოვი, 1 ივლისი. შესდგა მელითონეთა ცეკას პლენუმის უკანასკნელი სხდომა.

პლენუმმა თავის რეზოლიუციაში აღნიშნა, რომ ვენის ინტერნაციონალის მოთხოვნილებები მელითონეთა რევოლიუციონური ორგანიზაციის გაშვების შესახებ, უნდა განვიხილოთ როგორც ინტერნაციონალის ხელმძღვანელ ინსტანციის ახალი ცდა, რათა ხელი შეუშალონ მელითონეთა საერთაშორისო მოძრაობაში მთლიანობის დამყარებას. პლენუმმა უარყო საკითხის გადაჭრა ვენის ინტერნაციონალის თვალსაზრისზე და დაადასტურა ის გარემოება, რომ **მელითონეთა კავშირი ისწრაფვის, რათა მელითონეთა საერთაშორისო მოძრაობის მთლიანობა აღდგენილ იქნას როგორც საერთაშორისო მასშტაბით, ისე ცალკე ქვეყნებში.** რომ ინტერნაციონალის წარმომადგენლებთან ერთად განხილულ იქნას ყოველგვარი წინადადებანი, რომელიც ხელს შეუწყობს მხარეების ურთიერთ შეთანხმებას.

მფრინავი გარდენერი

მოსკოვი, 1 ივლისი. მოსკოვში ბერლინიდან მოფრინდა ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტი, ძველი საავიაციო ჟურნალის „ავიეშიონის“ გამომცემელი **გარდენერი.** უკანასკნელ სამი კვირის განმავლობაში, გარდენერი მგზავრობდა უმთავრესათ თვითმფრინავებით; მან 20,000 კილომეტრი გაიარა ლონდონი — პარიზი — ბერლინი — ვენა — ვენეცია — ბუქარესტი — პრაღა— ბელგრადი—სოფია — სტამბოლი—იერუსალიმი — ბაბილონი — ალექსანდრიას და ბაღდათის ხაზით.

გარდენერმა მწუხარება გამოსთქვა იმის გამო რომ მას მცირე ხანს უხდება ს. ს. რ. კ.-ში დარჩენა; ის აღტაცებულია საბჭოთა ავიაციით. მან განაცხადა, რომ რუსეთის ხაზზე საფრთხეს თითქმის სრულებით არ გრძნობდა. განთიადისას გარდენერი უკანვე გაფრინდება შემდეგი მარშრუტით: ბერლინი — მაროკო— შერბურგი — ნიუ-იორკი.

ამერიკელი ჟურნალისტი

მოსკოვი. 1 ივლისი. მოსკოვში ჩამოვიდა ცნობილი ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწე, ერთ-ერთი გამოჩენილი წევრთაგანი ამერიკის ფერმერთა და მუშათა პარტიისა, ვექილი **პარკორ ხორსტენსონი.**

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს, ხორსტენსონმა სთქვა, რომ ის ჭეშმარიტი მომხრეა ამერიკის მიერ ს. ს. რ. კავშირის საჩქაროთ ცნობისა, რადგანაც რუსეთის ხალხს, როგორც ყველა სხვას, სრული უფლება აქვს დამოუკიდებლათ გადასწყვიტოს თავისი ბედი და ის მთავრობა იყოლიოს, რომელიც მას სურს.

ტეხნიკურ მუშაკების აღრიცხვა

მოსკოვი, 1 ივლისი. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ საკავშირო ცაკს დასამტკიცებლათ წარუდგინა დადგენილება, ყველა ინჟენერის, ტეხნიკურ ძალთა და სპეციალისტების აღრიცხვის შესახებ. აღრიცხვაში გატარდებიან ისინი, ვინც მუშაობენ როგორც სახელმწიფო, საზოგადოებრივ, ისე კერძო დაწესებულებებში, წარმოებებში და მეურეობებში.

უკანასკნელი ცნობები

კანადის ახალი კაბინეტი

ოტავა, 30 ივნისი. კონსერვატიულ პარტიის ლიდერი მეიგენი დასთანხმდა კანადის პრემიერის თანამდებობის დაჭერაზე და კონსერვატიული მთავრობა შეადგინა.

მოსავალი შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 30 ივნისი. სასოფლო მეურნეობის დეპარტამენტის ცნობებით მიმდინარე წლის მოსავალი შეერთებულ შტატებში გაცილებით ნაკლები იქნება უკანასკნელ ათი წლის მოსავალთან შედარებით.

დატუსაღებული კომუნისტები

ანგორა, 1 ივლისი. რვა თვის წინედ დატუსაღებული 7 კაცი, რომლებსაც ბრალდებათ კომპარტიის წევრობა, სამხედრო ციხეში გადაიყვანეს. ბრალდებულებისათვის ჯერ არავითარი ბრალდება არ წარუდგენიათ.

მომგებიანი სესხი

მოსკოვი, 1 ივლისი. 1 ივლისს ლენინგრადში იწყება პირველი მომგებიანი სესხის მე-8-ე ტირაჟის გათამაშება.

პენსიები

მოსკოვი, 1 ივლისი. **1 ივლისიდან დაწესებულია საინვალიდო პენსიების ახალი ნორმები. ახალი ნორმები საგრძნობლათ** ადიდებს პენსიის რაოდენობას, როგორც თვით ინვალიდზე, ისე გარდაცვალებულ მუშის და მოსამსახურის ოჯახის წევრებზედაც.

ყოფილ თავადებისთვის ანაზღაურების მიცემის საკითხი

ბერლინი, 1 ივლისი. ხუთშაბათს რეიხსტაგის სხდომაზე კანცლერმა მორქსმა წარადგინა კანონპროექტი, რომლის მიხედვით ყოფილ თავადებისათვის ანაზღაურებისათვის მიცემის საკითხის გამო ყოველი ნაბიჯის გადადგმა ამა წლის დასასრულამდე უნდა გადაიდოს.

კანცლერის სურვილის მიხედვით კანონპროექტის მესამე წაკითხვა გადაიდო იქამდე, სანამ გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული ანაზღაურების კანონპროექტის შესახებ.

ამასთან ერთად, კანცლერი აღნიშნავს ფაქტს, რომ გერმანიის მთავრობას მტკიცეთ აქვს გადაწყვეტილი, რომ ანაზღაურების საკითხი საბოლოდ გადასწყვიტოს საზაფხულო სესიის დალოუდ გადასწყვიტოს საზაფხულო სესიის დახურვამდე.

დამატებითი კრედიტები

ბერლინი, 1 ივლისი. როგორც პარიზიდან გვატყობინებენ, დეპუტატთა პალატაში და სენატში 12 საათის კამათის შემდეგ, მიღებულ იქნა დადგენილება 1926 წლის საბიუჯეტო წლისათვის დამატებითი კრედიტების შესახებ.

პური!

ბერლინი, 1 ივლისი. პურის ფასის ზრდამ საფრანგეთის ქალაქებში მანიფესტაციები გამოიწვია. მოსახლეობა მოითხოვს, რომ მთავრობამ კონფისკაცია მოუხდინოს პურის მთელ მარაგს.

პურის ფალსიფიკაციამ ისეთ დონემდე მიაღწია, რომ პოლიციის უფროსს სურთ, შემოიღონ პურის სპეციალურ კონტროლიორთა თანამდებობა.

ცარიელი ფარსი

ბერლინი, 1 ივლისი. შეერთებულ შტატების პრესა სასტიკად აკრიტიკებს სამხედრო ქვეკომისიის ჟენევაში მიღებულ გარდაწყვეტილებას და ამბობს, რომ საუკეთესო კურსი, რომელიც შეუძლია ამერიკას აიღოს განზე გადგომაა.

იმ წრეებშიაც კი, რომლებიც მჭიდრო კონტაქტში ირიცხებიან მთავრობასთან, განიარაღების კონფერენციას ფარსს უწოდებენ.

ესპანეთის რევოლიუციის საფრთხის წინაშე

ბერლინი, 1 ივლისი. ესპანეთი სერიოზული რევოლიუციის საფრთხის წინაშე სდგას.

პარიზის „ევრში“ გამოქვეყნებულ დეპეშების თანახმად ლიბერალთა ყოფილი ბელადი გრაფ რომანონესი საფრანგეთში გაიქცა. დატუსაღებულია 400-ზე მეტი ოფიცერი.

აბისინიის დანაწილება

პარიზი. 1 ივლისი. ჩემბერლენმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ ინგლის-იტალიის კონვენცია აბისინიის შესახებ არა შემთხვევაში არ აიძულებს ეკონომიურ დანაწილების მოხდენას.

განხეთქილების ასაცილებლად

პარიზი, 1 ივლისი. ხენის რადიკალებისა და რადიკალ-სოციალისტების ფედერაციამ განიხილა რა ერიოს საქციელი კაბინეტის შედგენის დღიდან, განაცხადა, რომ იგი ისწრაფვის აიცილოს ყოველგვარი განხეთქილება და რჩევას იძლევა, რომ მხარი დაუჭიროს კაიოს.

ავტონომიური მოძრაობა ელზას-ლოტარინგიაში

პარიზი, 1 ივლისი. ელზასის სოციალისტურმა პარტიამ გამოაქვეყნა მანიფესტი სეპარატიულ გამოსვლების წინააღმდეგ, გადაჭრით გამოსთქვა აზრი ეროვნულ გაერთიანების სასარგებლოდ.

ოსმალეთი უარს აცხადებს ლიგაში შესვლაზე

პარიზი, 1 ივნისი. „დეილი მეილის“ ცნობით, ოსმალეთმა აცნობა ჟენევას, რომ მას ამჟამად განზრახვა არა აქვს ერთა ლიგაში შესვლა ითხოვოს.

შეთქმულებანი ესპანეთში

პარიზი, 1 ივლისი. მადრიდიდან მიღებული ცნობით, პოლიცია ახდენს გამოძიებას—არის თუ არა კავშირი ალფონს მე-13-ის მოკვლის განზრახვის გეგმისა და მადრიდში აღმოჩენილ შეთქმულების შორის.

დოკუმენტები ლენინის შესახებ

ლენინგრადი. 1 ივლისი. ლენინგრადის საგუბერნიო არქივში იპოვეს პოლიციის დეპარტამენტის დოკუმენტები, რომელიც ლენინის ძებნას და მარიამ ილიას ასულ ულიანოვზე ფარულ მეთვალყურეობას შეეხება.

გუბერნატორებს, ქალაქის თავებს და საზღვრების დამცველ რაზმს დაუგზავნა მკაცრი ბრძანება ამ დამნაშავეების პოლიციის დეპარტამენტმა ყველა დაჭერის შესახებ“.

დოკუმენტს მარჯვენა მხრიდან მიწერილი აქვს: „მოიძებნოს, დაპატიმრებულ იქნას და დეპეშით ეცნობოს პოლიციის დეპარტამენტს, შემდეგი ბრძანების მისაღებათ“.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

სომხეთი

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

ლენინაკანი, 1 ივლისი. ლენინაკანის სამაზრო აღმასკომის გაფართოებულმა პლენუმმა დაადგინა, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადი სამ ვადაში იქნეს შეკრეფილი: 1 ოქტომბრამდე—50 პროც., 1 ნოემბრამდე—35% და 1 დეკემბრამდე—15 პროც.

1 ოქტომბრამდე შემოსული გადასახადი 1926—27 საბიუჯეტო წლის ანგარიშში ჩაირიცხება.

რემედასის მუშაობა

ერევანი, 1 ივლისი. იანვარ-ივნისის პერიოდის განმავლობაში რემედასის ცენტრალურმა კომიტეტმა სომხეთის მაზრებიდან მიიღო 4.051 მანეთი.

აბრეშუმის სართავი ქარხნები

ერევანი, 1 ივლისი. სახ. საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა აუცილებლად სცნო, რომ რესპუბლიკაში არსებული აბრეშუმის სართავი ქარხნები გაფართოვდეს იმ ნორმამდე, რამდენიც საჭიროა სომხეთში მიღებულ აბრეშუმის ნედლეულის გადასამუშავებლად.

ტელეფონიზაცია

ლენინაკანი, 1 ივლისი. სოფელი კაპტარლუ,—ლენინაკანის მაზრის მეორე უბნის ცენტრი ტელეფონით შეუერთდება ქალაქ ლენინაკანს.

კურორტი არზნი

ერევანი, 1 ივლისი. კურორტ არზნის სეზონი უკვე გაიხსნა. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა გაგზავნა ავადმყოფთა პირველი ჯგუფი—45 კაცი.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

მომჭირნეობა კურორტებში

წელს კურორტების მოწყობა-შეკეთების საქმე საგრძნობლად გაუმჯობესდა. მოხდა კაპიტალური შეკეთება თითქმის ყველა სამკურნალო-დაწესებულების. მრავალ ადგილას გაყვანილია წყალსადენი, ელექტრონის განათება, შეკეთებულია აბანოები, წყაროები, საბინაო სახლები ზოგიერთ ადგილას (წყალტუბო) გაყვანილია ახალი გზატკეცილი და სხვ. ამ დიდ საქმიანობის გატარებისათვის დახარჯულია საკმაო თანხა. შედარებით წინა წლებთან მეტ ენივრად არის მოწესრიგებული ავადმყოფების გადაყვანა კურორტებზე და აგრეთვე სურსათ-სანოვაგის და მედიკამენტების მიწოდებაც. კვების საკითხიც კარგად არის დაყენებული.

მაგრამ მიუხედავად ყველა ამისა კურორტებით სარგებლობის საქმე მაინც კრიზისშია! პირველი და უმთავრესი მიზეზი ამ შემთხვევაში უსათუოდ უნდა ვეძიოთ ზოგიერთ ჩვენი ორგანოების მხრივ ეკონომიის რეჟიმის ე. წ. „გადამეტებულად“ დაცვას. ცხადია, რომ მომჭირნეობა გატარებულ უნდა იქნეს მთელი თავისი სისასტიკით იქ, სადაც ამას მოითხოვენ ჩვენი წარმოების და მეურნეობის ინტერესები. მაგრამ, როცა საკითხი სდგას ავადმყოფ ადამიანის ჯანმრთელობაზე, აქ ყოველგვარი ღონისძიება უნდა იქნას [illegible] დასასვენებელ სახლში ისედაც ცოტაა ადგილები და თუ მით ვერ ისარგებლა დასნეულებულმა მუშა-მოსამსახურემ, ძნელი იქნება შრომის უნარიანობის დაცვა.

ამჟამად უსარგებლოდ სდგას რამოდენიმე მოწყობილი და შეკეთებული სანატორიუმები. ჩვენი მინერალური აბანოები და წყაროებიც შედარებით ძლიერ ცოტაა გამოყენებული წელს.

არის კიდევ მეორე დიდი ორგანიზაციული მიზეზი, რომელიც საერთოდ დიდ ზიანს აყენებს კურორტების მოწყობის საქმეს.

კურორტებს, სანატორიუმს, დასასვენებელ სახლებს და სხ. „აშენებს“ ყველა, ვისაც კი ეს მოეპრიანება საკურორტო სამმართველოს გარეშე. „მუშავდება“ აურებელი გეგმები ცალკე სპეციალისტების მიერ, იხარჯება დიდი თანხები, არის გაჩაღული ე. წ. უწყებური კონფერენცია.

ერთგვარი გეზი კურორტების მშენებლობისა ერთხელ დასამუდამოდ უნდა იქნას მიღებული და მტკიცედ დაცული.

ამ გარემოებას დროზე უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

ექიმი გ. მჟავანაძე.

ა-კ. ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოში

ამიერ - კავკასიის ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველომ გამოიკვლია თავისი ადმინისტრატიულ - სამეურნეო აპარატი და ამის მიხედვით გამოიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებებისა მომჭირნეობის გასატარებლად.

პირველ ყოვლისა უმთავრესი ყურადღება აქვს მიქცეული ა.-კ. ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს და რესპუბლიკანურ გზატკეცილთა სამმართველოების მუშაობათა გაჯანსაღებას, საკანცელარიო ნივთების მომჭირნეობით ხარჯვას, ავტომობილების მიზანშეწონილად ექსპლოატაციას და სხვა.

განსაკუთრებით სერიოზული ყურადღება სამმართველოს მიერ ექცევა სარევიზიო და გამოკვლევით მუშაობის შემცირებას.

ყურადღება ექცევა აგრეთვე შემდეგ გარემოებას: სწორი ინსტრუქციების უქონლობა ამჟამად იწვევს დაუმთავრებელ მიმოწერებს და თანამშრომლების მივლინებებს.

სამმართველოს მასთანავე საჭიროდ მიაჩნია ფინანსიურ და ტეხნიკურ ანგარიშიანობის ფორმების გამარტივება.

ყოველგვარი, წარმოებისათვის გათვალისწინებული აღმშენებლო ოპერაცია წარმოებულ უნდა იქნეს მტკიცედ შემუშავებულ გეგმის მიხედვით, რადგან დაყოვნება მუშაობაში იწვევს ზედმეტ ხარჯებს და მუშაობათა გაძვირებას.

საჭიროდ არის აგრეთვე ცნობილი გზებზე ტეხნიკური თვალ-ყურის დევნების გაძლიერება, ტეხნიკურ პერსონალისთვის სათანადო სკოლების გახსნით კვალიფიკაციის ამაღლებით.

სამმართველოს საჭიროდ მიაჩნია საწვავ და სხვა მასალების საექსპლოატაციო მტკიცე ნორმების დაწესება, ავტო-მანქანების ტონაჟის სწორი და მიზანშეწონილი გამოყენებისათვის თვალყურის დევნება, ზედმეტ ხარჯების შესამცირებლად ცალკე დაწესებულებათა გარაჟების გაერთიანება და ა.-კ. ადგ. ტრანსპ. სამმართველოს საინსპექციო მუშაობის გაძლიერება.

ა-კ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

ტრაქტორების გამოცდა

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე წარმოდგენილია მრავალი სხვადასხვა უცხო ფირმების და სხვადასხვა ტიპის ტრაქტორები. ამიერ-კავკასიაში, სადაც ცალკე რაიონების სამეურნეო, კლიმატიური და ნიადაგის პირობები სხვადასხვაა. არ შეიძლება ყველა ამ ტიპის ტრაქტორების გამოყენება. აუცილებელი ხდება ყოველი ცალკე რაიონისათვის ტრაქტორის ინდივიდუალურად შერჩევა.

სწორედ ამას ისახავს მიზნად ტრაქტორების საკონკურსო გამოცდა, რომელიც დაიწყება ახლო ხანში. გამოცდის დანიშნულებაა, სხვადასხვა რაიონებისთვის და სპეციალურ მიზნებისათვის გამოსადეგ ტრაქტორების ტიპების შერჩევა. ამას გარდა, ტრაქტორების გამოცდის დროს მხედველობაში იქნება მიღებული სხვადასხვა სამუშაოებიც, რომლებიც უნდა შეასრულოს ტრაქტორმა. დაწვრილებით გათვალისწინებული იქნება ის, თუ რამდენად შეიძლება ამა თუ იმ ტიპის ტრაქტორის გამოყენება სატრანსპორტო მუშაობისათვის, ელსადგურების მოსაწყობად და სხვა.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენას და, კერძოდ, ტრაქტორების გამოცდას უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა იმ მხრივ, რომ იგი თავიდან აიცილებს ჩვენს სამეურნეო ორგანიზაციების თანხების დახარჯვას ისეთ სასოფლო-სამეურნეო იარაღებზე, რომლების გამოყენება არ შეიძლება ჩვენში ან შეიძლება მხოლოდ ნაწილობრივად.

გამოფენის მომწყობ კომიტეტს განზრახული აქვს ფართოდ დააყენოს ჩვენში სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების გამოცდის საქმე; ამ მხრივ განზრახულია მომავალში სპეციალური გამოსაცდელი სადგურების მოწყობა ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებში.

ყველა გამოფენილი მანქანები წინასწარ შესწავლილია საექსპორტო კომისიის მიერ, რომელშიაც შედიოდენ ადგილობრივი და მოწვეული სპეციალისტები. კომისიამ გამოარკვია გამოფენილი მოტორების კონსტრუქტიული დეფექტები და ღირსება.

კომისიის აზრით, საჭირო იქნებოდა ზოგიერთი კონსტრუქტიული ცვლილებების შეტანა ზოგიერთ მანქანებში.

ვ.

გამოფენის ქრონიკა

საექსკურსიო ბიურო

თბილისში მოეწყო რუსეთის განათლების კომისარიატის ბიურო ექსკურსანტების მისაღებად და მათთვის ხელმძღვანელობის გასაწევად.

ტრაქტორების გამოცდა

ტრაქტორების სატრანსპორტო ღირსების გამორკვევის მიზნით, განზრახულია ტრაქტორების ვადარბენის მოწყობა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ყველა ტრაქტორები.

სად მოხდება გადარბენა

განზრახულია ტრაქტორების გამოცდა დ. გადარბენა მოწყობილი იქნეს თბილისის ახლო-მახლო რაიონებში.

გუთნების გამოცდა

ტრაქტორების გარდა, გამოფენის მომწყობ კომიტეტს განზრახული აქვს მოაწყოს გუთნების გამოცდაც.

მანქანების დემონსტრაცია

კვირას სინდიკატ „სილმაშ“-ის პავილონში გაიმართება მანქანა-იარაღების დიდი დემონსტრაცია.

ინტერესი გამოფენისადმი

ინტერესი გამოფენისადმი თანდათან ძლიერდება: გამოფენას ყოველდღე ათვალიერებს რამოდენიმე ათასი კაცი.

პროფ. სოკოლოვის ჩამოსვლა

პროფ. სოკოლოვისაგან მიღებულია ცნობა, რომ ის ჩქარა გამოემგზავრება თბილისში მანქანების გამოცდაზე დასასწრებლად.

ჟურნალისტის წერილები

ქართული მენშევიზმი და მისი სოციალური საფუძვლები*)

მენშევიკური მოღვაწეობის უმთავრესი პერიოდები

ჩვეულებრივად ჩვენში პარტიას აფასებენ მისი განცხადებისა და პროგრამის მიხედვით. ეს არ არის სწორი მიდგომა კითხვისადმი. რასაკვირველია, პარტიის დაფასების დროს ხელთ უნდა გვქონდეს მისი პროგრამა და მთავარი დებულებებიც; მაგრამ ეს საკმარისი არ არის საკითხის ნათელსაყოფად. ყოველი პარტია ფასდება თავისი პრაქტიკით, თავისი მოღვაწეობით. პროგრამა უბრალო ქაღალდის ნაგლეჯი არის, თუ იგი ცხოვრებას არ უახლოვდება და არ ლამობს ხორცის შესხმას, რეალურ სინამდვილეთ გადაქცევას. პარტია პრაქტიკაა, პარტიის ცხოვრება უმთავრესად საქმიან მოქმედებაში გამოიხატება, პარტიაც ამ მხრივ უნდა იქნეს შეფასებული; უკეთ, იგი უნდა ფასდებოდეს იმ საზომით, **თუ როგორ როლს თამაშობს ეს, თუ ის პარტია საზოგადოებრივ ურთიერთობაში, როგორ მისიას აკისრებს მას ისტორიული-ცხოვრების განვითარება და სოციალური პირობები.** მარქსი ამბობდა: დიუჟინ პროგრამას ერთი სწორი, ნამდვილი მოძრაობა სჯობიაო. ეს რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ სწორ პროგრამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ლენინი კი ხანია ამბობდა: **„რევოლიუციონური თეორიის გარეშე შეუძლებელი არის რევოლიუციონური მოძრაობაო**[1]). სწორი თეორია სწორ პროგრამას იძლევა, ხოლო ამ თეორიის დანიშნულება, ამ პროგრამის მთავარი რევიზორი ცხოვრებაა, პრაქტიკული სინამდვილეა. ამიტომ მართალი იყო ნ. ჟორდანია, როდესაც ის ამბობდა: **სოციალ - დემოკრატიული პროგრამა რას გიშველით, თუ საქმე ბურჟუაზიული გაქვთ“-ო**[2]). მარტო რევოლიუციონური პროგრამა არას გიშველით, თუ მისი პრაქტიკა ამის საწინააღმდეგოა.

როდესაც მენშევიზმის შესახებ გვიხდება სჯა-ბაასი, არ უნდა გვავიწყდებოდეს შემდეგი გარემოება: წვრილი ბურჟუაზია თავისი ეკონომიური მდგომარეობით და სოციალური პირობებით მერყევია და ოპორტიუნისტი. იგი განსაზღვრულ პერიოდში გარკვეული ისტორიულ პირობების ზეგავლენით სხვადასხვა სოციალურ კლასებს შორის ქანაობს. ირყევა სოციალურ რადიკალიზმსა და სოციალურ ოპორტიუნიზმს შორის. განსაზღვრულ ისტორიულ პერიოდში მისი მოღვაწეობა პოლიტიკურ ოპორტიუნიზმით ხასიათდება, მეორე პერიოდში კი პოლიტიკური რადიკალიზმითა და ფრაზების რევოლიუციონიზმით. ასეთ პირობებში წვრილ ბურჟუაზიის შესასწავლად აუცილებელი არის ორი ფაქტის ცოდნა: წვრილი ბურჟუაზიის სოციალური ბუნების (ოპორტიუნიზმის) და გარკვეულ ობიექტიურ პირობების. ამ უკანასკნელი გარემოების გაცნობა საშუალებას იძლევა იმის გასაგებად, თუ რატომ გაიზიარა წვრილმა ბურჟუაზიამ ესა თუ ის პოლიტიკური ორიენტაცია.

მენშევიზმი, როგორც წვრილბურჟუაზიულ ფენებზე აღმოცენებული და მათი იდეოლოგიის მატარებელი პარტია, დასნეულებული არის წვრილბურჟუაზიის ოპორტიუნიზმისა და მერყეობის სენით: თავის მოღვაწეობის პერიოდში იგი ქანაობს, ირყევა პოლიტიკურ პოზიციებს შორის: ხან მარჯვნით სდგას და ლიკვიდატორობს, ხან მარცხნით და რევოლიუციონურად ფრაზიორობს. ყველა ამ **პოლიტიკური ექსკურსიების** დროს იგი ერთგული რჩება თავის ბუნების. თავის წვრილბურჟუაზიულ განწყობილების. 1905 წელში ნ. ჟორდანია ამბობდა:

> „ინტელიგენცია არის არა მარტო წვრილი ბურჟუაზია, როგორც სხვა მისი მოძმენი, არამედ განათლებული წვრილი ბურჟუაზია. მისი ცხოვრების იარაღი—განათლება, სწავლა, ცოდნაა და ამიტომ სადაც კი შედის—შედის არა როგორც ჯარისკაცი, არამედ როგორც სარდალი. აქედან მისი დამახასიათებელი თვისებაა მდგომარეობა ბურჟუაზიული, ხოლო ფსიქოლოგია, სულიერი განწყობილება ღენერალური, ე. ი. მიილტვის რამენაირად „ჯარის“ მეთაური გახდეს. ორივე ამ ძირითად კლასიურ თვისებას ის ხანდახან ჩრდილავს მესამე თვისებით—იდეურით სხვა კლასის, პროლეტარიატის, მიკედლებით. მაგრამ რადგანაც მდგომარეობა ჰქმნის იდეას, ამიტომ მისი პროლეტარული იდეია მუდმივ რყევაშია და დაუდგრომლობას განიცდის. მას თავისი მდგომარეობა მუდამ მის შეუმჩნევლად უკან ეწიწება თავის კლასისაკენ და მის მოღვაწეობას პროლეტარულ გზას აშორებს. აქედან წარმოსდგება ის, რომ ხშირად ის პროგრამას წმინდა სოციალ-დემოკრატიულს იღებს. ორგანიზაციასა და პრაქტიკას კი წვრილბურჟუაზიულს ალიარებს. მის სიტყვა და საქმე ერთმანეთს არ ეთანხმება. მაშასადამე ინტელიგენციის სოციალ-დემოკრატიაში მრავლად შემოსვლა ნიშნავს ყველა ამ თვისებების შემოტანას და ასე პარტიისათვის ახალი განსაცდელის დაგებას“[3]).

მკითხველს ნუ გაუკვირდება: ამას სწერდა ნ. ჟორდანია 1905 წელს ბოლშევიკებისა და ლენინელთა დასახასიათებლად რასაკვირველია, ნიჭიერმა პუბლიცისტმა აქ მოხდენილად **თავისი პარტიისა და მისი ლიდერების ავტოპორტრეტი დახატა.** ამას უფრო ნათლად ქვევით დავინახავთ. ახლა გადავიდეთ დასმულ კითხვაზე.

ქვემოდ აღნიშნულ პერიოდების განსაზღვრის დროს ჩვენ ვისარგებლებთ თვით ნ. ჟორდანიას დებულებებით, ხოლო პირველი პერიოდის განსაზღვრაში ჩვენ შევიტანეთ მცირედი ცვლილება.

პირველი პერიოდი. ეს პერიოდი განისაზღვრება 1892-1901 წლებით (ჟორდანიას განმარტებით 1893-7 წლებით). ამ პერიოდს ახასიათებს საზოგადოებრივი ძალების ამოძრავება: მუშათა კლასის ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის გაფიცვები, წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციის აქტივობა. იდეოლოგიურად ჩვენი ცხოვრების ფონს ბატონობს **თავად-აზნაურული ლიბერალიზმი,** ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, ხოლო გამოცოცხლება ეტყობა ნაროდნიკულ მიმდინარეობას (ლალი, ვ. წ. ალ. ნ—ლი, ი. ფანცხავა). ეკონომიურად ჩვენი ცხოვრება უკვე განიცდის კაპიტალისტურ ურთიერთობის მშობიარობის მძიმე ტკივილებს. ამ პერიოდში ისახება ჩვენში სოციალ-დემოკრატიული მიმდინარეობა, მარქსიზმი; მაგრამ ამ ორგანიზაციაში თავს იყრიან როგორც რევოლიუციონური პროლეტარიატის წარმომადგენელნი, ისე წვრილ ბურჟუაზიის იდეოლოგები. **ეს არის, ასე ვსთქვათ, წვრილი ბურჟუაზიის პირველი მეუღლება ერთ ორგანიზაციის ქვეშ პროლეტარიატთან.** რა იწვევს ამ შეუღლებას? ერთი საერთო სოციალური მდგომარეობა: ორივეს სტანჯავს კაპიტალიზმის განუვითარებლობა და პოლიტიკური უუფლებლობა. ამ ნიადაგზე მათ ბრძოლა უხდებათ მოწინააღმდეგე მიმართულებასთან და თვითმპყრობელობასთან. რას იცავს და როგორ ახალ დებულებას აყენებს ეს ჩვენი ცხოვრების ახალი პოლიტიკური მიმდინარეობა? ნ. ჟორდანია 1920 წელს სწერდა: „ამ 25 წლის წინად **ჩვენი საზოგადოების ყურადღებას იქცევდა ერთი კითხვა—არსებობს ჩვენში კაპიტალიზმი თუ არა.** სოციალ-დემოკრატების პირველი ნაბიჯი მწერლობაში გამოიხატა ამ კითხვის დადებითად გადაჭრაში, რამაც გამოიწვია დიდი დავა ყველა სხვა ჯგუფებთან და პარტიებთან[4]).

უნდა აღინიშნოს, რომ აქ მხოლოდ ერთი მომენტი არის აღნიშნული; ის მომენტი, რომლითაც დაინტერესებული იყო აგრეთვე ქალაქის წვრილი ბურჟუაზია. მაგრამ კაპიტალიზმის არსებობის კითხვასთან ღრმად იყო დაკავშირებული მეორე კითხვაც—**პროლეტარიატის წარმოშობის და მისი როლის საკითხი.** ეს საკითხი, **როგორც აქტუალური პრობლემა** ნ. ჟორდანიასათვის არ არსებობდა და ამიტომ მას ეს არ შეუტანია თავის მოღვაწეობის აქტივში. სამაგიეროდ ამ საკითხის წამოყენება, სათანადოდ გაშუქება და პროლეტარიატის კლასიური თვითშემცირების განვითარება წილად ხვდათ მარქსიზმის იმ პიონერებს, რომელნიც იმავე ორგანიზაციაში მოღვაწეობდენ, მაგრამ წვრილბურჟუაზიულ თვალსაზრისზე კი არ იდგენ, არამედ პროლეტარულ ნიადაგზე (ფ. მახარაძე, მ. ცხაკაია და სხვა). როგორც ზევით დავინახეთ, ნოე ჟორდანია ამ პერიოდში აყენებს **არა პროლეტარიატის დარაზმვის პლატფორმას, არამედ ფართო დემოკრატიის ორგანიზაციას**[5]). დემოკრატიზმი და ნაციონალიზმი მისი პლატფორმის მთავარ ფუძეებს წარმოადგენენ. მან უკუ აგდო მარქსიზმის რევოლიუციონური მხარეები (კლასთა ბრძოლის პრინციპი, პროლეტარიატის დიქტატურა და სხ.), სამაგიეროდ რამოდენიმედ შეითვისა მისი ეკონომიური მოძღვრება. ამ თვალთახედვით მან საკმაო დასაბუთებით დაამტკიცა კაპიტალიზმის აუცილებლობა ჩვენში[6]). წვრილმა ბურჟუაზიულმა იდეოლოგიამ პროლეტარიატის ხელმძღვანელებთან ერთად გამანადგურებელი მახვილი ჩასცა ძველ პოლიტიკურ მიმდინარეობას. ამ პერიოდისათვის პროგრესიული წვრილი ბურჟუაზიის გამოსვლა პოლიტიკურ ფრონტზე უაღრესად პროგრესიული მოვლენა იყო ჩვენში საზოგადოებრივი სინამდვილისათვის; ამიტომ მოხდა ასეთი უმტკივნეულო შეუღლება პროლეტარიატისა და მისი ხელმძღვანელების წვრილ ბურჟუაზიულ ფენებთან და მათ ხელმძღვანელებთან ერთ პოლიტიკურ ჭერ ქვეშ. მათ ავიწროვებდა ერთი საერთო მტერი—ბიუროკრატიული სახელმწიფო, თითქმის ერთნაირი სოციალური ყოფა, პატრიარქალური სივიწროვე და იდეურად ებრძოდენ ერთი და იგივე მტრები—თავად-აზნაურული ლიბერალიზმი და რეაქციონური.

მეორე პერიოდი. ეს პერიოდი იწყება 1901-2 წლიდან და თავდება პირველი რევოლიუციით—1905 წ. (ნ. ჟორდანიას დებულებით—1898-1905 წლებით). ეს პერიოდი ხასიათდება ჩვენი ცხოვრების ღრმა რევოლიუციონური კრიზისით. მე-19-ე საუკუნის დასაწყისი და მის ფონზედ ამოვარდნილი პოლიტიკური და სოციალური ხასიათის ფაქტორები გარკვევით მიუთითებენ, თუ საით მიექანება საზოგადოებრივი მოძრაობა, როგორც რუსეთში, ისე ამიერ-კავკასიაში. ცხოვრების კალაპოტი შეირყა და საზოგადოებრივი ძალები ამოძრავდენ. საზოგადოებრივი ცხოვრება დიდი რევოლიუციონური მოძრაობის მშობიარობის პროცესში იმყოფებოდა. რევოლიუციონური მდგომარეობა ნათლად ისახებოდა. .....მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს და მეოცე საუკუნის დასაწყისში ამიერ-კავკასიაში მუშების მოძრაობაში ხდება **ძირითადი გარდატეხა...** ამგვარად, როგორც თბილისის, ისე საერთოდ მთელი ამიერ-კავკასიის ჟანდარმერიისათვის მუშათა მოძრაობა სრულიად უეცრად წამოიჭრა და მთავრობა ფაქტის წინაშე დარჩა დაყენებული... მოძრაობა ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა ელვის სისწრაფით, ერთი ქარხნიდან მეორე ქარხანაში, ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქში, ქალაქიდან სოფელში“[7]).

გამოფხიზლება დაეტყო გლეხობასაც, განსაკუთრებით გურიის გლეხობას.

„1902 წელი უაღრესი მნიშვნელოვანი იყო ქუთაისის მუშებისათვის. მან მრავა ლადგილას დაარღვია ძველი სამარისებური მყუდროება. დღემდე მშვიდი და მოკრძალე მცხოვრებნი გადაიქცენ სიმართლის, თავისუფლებისა და სახელის დაუცხრომელი, გაბედული შეურიგებელ მებრძოლად“[8]).

ასეთი იყო საერთო რევოლიუციონური განწყობილება ამიერ-კავკასიის გლეხებსა და მუშებში 1905 წლის წინა ხანებში. ეს რევოლიუციონური დუღილი აშკარა და გარკვეულ სახალხო აჯანყებამდე უნდა მისულიყო. ეს ჩვენ მივიღეთ 1905 წელში. ამ წლის საერთო სურათს მოგვცემს ერთი კორესპონდენცია, რომელიც მოთავსებული არის სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანო „საქართველო“-ში, რომელიც პარიზში გამოდიოდა. აქ ჩვენ ვკითხულობთ:

„გურიის გლეხობა ამნაირია: მემამულენი გარბიან, სტოვებენ თავიანთ სახლკარს, მათი გაქცევა იმით აიხსნება, რომ გლეხები ემუქრებიან და მამულების ექსპროპრიაციის სურვილს აცხადებენ. ხალხი მთავრობის სამსახურში აღარ დადის და ბევრმა ხალხის შიშით სახივრებზე ხელი აიღო. ოზურგეთის მსაჯულს გამოეცხადებინა, არავითარი საქმე არა მაქვს, ხალხი ჩემთან აღარ დადისო, ყველა საქმეებს თურმე ხალხის მიერ ამორჩეული სამსჯავრო სწყვეტს...“[9]).

ამ ფაქტებთან ერთად უნდა აღინიშნოს კიდევ შემდეგი გარემოებაც: ძველი ლიბერალურ-თავად-აზნაურული მიმდინარეობა და ნაროდნიკული პარტია დამარცხდა ბრძოლაში ჯერ კიდევ მე-19-ტე საუკ. მიწურულებშივე. პოლიტიკური ჰეგემონიის საქმე ჩაუვარდათ ჩვენში სოციალ-დემოკრატებს. ფაქტიურად დემოკრატიისა და პროლეტარიატის შეერთებულმა ძალამ დაამარცხა ძველი თაობა. ეს იყო ფართე დამოკრატიის იდეური და ფაქტიური გამარჯვება, მაგრამ ამ გარემოებას აუცილებლად უნდა გამოეწვია თვით გამარჯვებულთა ოჯახში—დემოკრატიულ და პროლეტარულ ელემენტებს შორის შეხლა-შემოხლა მოძრაობის **პოლიტიკურ ხელმძღვანელობის** გარშემო. სოციალ-დემოკრატიულ ოჯახში შეხიზნულ წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიას და მის ინტელიგენციას არ შეეძლო არ გამოეჩინა თავისი არსებითი ბუნება.

რაში გამოიხატა მისი არსებითი ბუნება აღნიშნულ პერიოდში? ამ წვრილბურჟუაზიის ბუნება გამოიხატა **სიტყვიერ რევოლიუციონიზმსა და პრაქტიკულ ოპორტიუნიზმში**, ე. ი. სიტყვით რევოლიუციონური რადიკალიზმის პოზიცია დაიჭირეს, ფაქტიურად კი მისი ტაქტიკა პროლეტარიატს ლიბერალური ბურჟუაზიის მაჩანჩალად უპირებდა გადაქცევას; სიტყვით რევოლიუციონერი, საქმით ოპორტიუნისტი,—ასეთი იყო მენშევიზმი აღნიშნულ პერიოდში. ამ პერიოდში მენშევიზმმა ობიექტიურ რევოლიუციონური პირობების ზეგავლენით, შეითვისა რევოლიუციონური ფრაზეოლოგია, მარქსისტული თერმინოლოგია—და მარქსიზმის ეკონომიურ კონცეპციასთან ერთად პროლეტარული საზომის შეთვისებაც მოინდომა. ან თვით ნ. ჟორდანიის სიტყვით, რომ გამოვსთქვათ: **პროგრამა წმინდა სოციალ-დემოკრატიული მიიღო, ხოლო ორგანიზაცია და ტაქტიკა კი წვრილბურჟუაზიული.** ამ ტაქტიკურმა და ორგანიზაციულმა საკითხებმა გახეთქა საქართველოს სოც.-დემოკრატია ორ მიმდინარეობად. აქედან მენშევიზმი ცდილობდა წვრილბურჟუაზიულ იდეოლოგიის გაბატონებას პარტიაში, ხოლო ბოლშევიზმი პროლეტარულ მსოფლ მხედველობის განმტკიცებას. ეს ბრძოლა იყო ბრძოლა წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციისა პროლეტარული პარტიისა და პროლეტარიატის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. ამხ. **მახარაძე** თავის ნარკვევში სწერს:

> „მენშევიკები უარყოფდენ იმას, რომ პროლეტარიატი გამხდარიყო რუსეთის რევოლიუციის ხელმძღვანელად. მათი აზრით ეს როლი პროლეტარიატს ლიბერალური ბურჟუაზიისათვის უნდა დაეთმო. თავისთავად იგულისხმება, რომ ის, რაც ახასიათებდა მენშევიზმს რუსეთში—სავსებით გადმოღებულ იქნა ჩვენშიაც. რევოლიუციის მოსაწყობად წინდაწინ გეგმის შედგენის უარყოფა შეიარაღებულ აჯანყების და ამისათვის მზადების უარყოფა, პროლეტარიატის მოთხოვნის შეკვეცა, რათა ლიბერალური ბურჟუაზია არ დამფრთხალიყო, შეთანხმება ლიბერალებთან, ქალაქის თვითმმართველებთამ და სხვადასხვა. ყველა ეს სათნოებანი გადმოტანილ იქნა ჩვენშიაც“[10]).

ასეთი იყო მენშევიზმის ტაქტიკა 1905 წელში; არსებითად ეს ტაქტიკა მიმართული იყო რევოლიუციონური პროლეტარიატის წინააღმდეგ და რევოლიუციის დამარცხებას უწყობდა ხელს. როგორი იყო მათი სიტყვა, მათი ასე ვსთქვათ სიტყვიერი პროგრამა.

ყური ვათხოვოთ ისევ **ნ. ჟორდანიას.** 1905 წელში იგი სწერდა:

> „სოციალისტ-რევოლიუციონერი, პროგრესისტი, ავტონომისტი, ფედერალისტი, რადიკალი,—აი ვის ამხანაგობას გვირჩევს „ვპერიოდი“ (ბოლშევიკური ორგანო), აი ვისთან ერთად უნდა შევადგინოთ „დემოკრატიული დიქტატურა“. სოციალ-დემოკრატი მინისტრი. ეს ნიშნავს სოციალ-დემოკრატ გუბერნატორს, სოციალ-დემოკრატ პოლიციელს, სოციალ-დემოკრატ ჟანდარმს. ერთი სიტყვით სოციალ-დემოკრატ ბიუროკრატს. თუ კი უმრავლესობამ მინისტრის პორტფელი ხელთ იგდო, მაგ. შინაგან საქმეთა მინისტრს, რადგან ამას ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს, უეჭველია ის თავის ამხანაგთ განაწესებს ყველა საპოლიციო თანამდებობაზე და ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი გუშინდელი ამხანაგები ახალ ბატონებად მოგვევლინებიან, როგორც ეს **1848 წ.** საფრანგეთში გამინისტრებული ლუი ბლანი და როლენი მუშებს მოევლინათ. და თუ მუშები არ დაკმაყოფილდენ დემოკრატიული რეფორმებით და მოინდომეს ბურჟუაზიული ბატონობის დანგრევაც, დროებითი მთავრობა „უმრავლესობის“ დახმარებით, მუშებს ჩააჩუმებს ან ნებით ან და ძალით, როგორც ეს იმავე საფრანგეთში იყო“.[11]).

ცოტა ქვევით ავტორი სწერს:—„ჩვენი საჭირბოროტო კითხვაა არა პარტიის კარის გაღება, ის უკვე საკმაოდ ღიაა, არამედ პარტიის გამრავლება, სოციალისტური შეგნების გაფართოება, ჩვენი პროგრამა - მაქსიმუმის წინ წამოყენება და ასე პროლეტარიატის პარტიის წმინდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიად გადაქცევა“[12]).

ასე „მარცხნიდან“ აკრიტიკებდა ნ. ჟორდანია ბოლშევიკების პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურას და პლატფორმას. არსებითად კი მან თავისი წვრილბურჟუაზიული ბუნება გვიჩვენა. შეადარეთ ნ. ჟორდანიას 1905 წლის სიტყვიერი პლატფორმა მის მიერ 1898—1901 წლებში წამოყენებულ პროგრამას, 1917—1921 წლებში მის საქმიანობას და თქვენ დაინახავთ სრულ კონტრასტს მათ შორის. ნ. ჟორდანიამ არა მარტო პოლიტიკური კავშირი დაიჭირა ს[illegible]-ფედერალისტებთან, ესერებთან, ნაციონალ-დემოკრატებთან, არამედ პრემიერობის პოსტიც მიიღო 3-4 წლის განმავლობაში. დღეს, როდესაც ნ. ჟორდანიას პოლიტიკური სიჭაღარე შემოეპარა, პირზე ღიმილით წაიკითხავს ალბად თავის მემარცხენეობის ვარჯიშობას.

ამრიგად რევოლიუციონური ენტუზიაზმის პერიოდში წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგიამ საკმაოდ შეითვისა რევოლიუციონური ფრაზა, რევოლიუციონური პოზა; მოქმედებით კი მაინც ბურჟუაზიული დარჩა.

მაგრამ არა მარტო მენშევიკები ამტყველდენ მემარცხენეობის ენით 1905 წელში; საილიუსტრაციოდ მკითხველს გავახსენებთ შემდეგ ფაქტებს 1905—6 წლიდან: სოციალისტ - ფედერალისტთა პარტია გაიყო ორ ფრაქციათ და არჩ. ჯორჯაძის მეთაურობით ჩამოყალიბდა **ანარქო - სინდიკალისტური** მიმდინარეობა[13]) (1905—7 წ.), განვითარდა **ანარქისტული მიმდინარეობა** (ვ. ჩერქეზიშვილი, მ. წერეთელი, კ. ორგიანი, შ. გოგელია), თავი იჩინა **მაქსიმალისტურმა პარტიამაც,** (რამდენადაც ვიცით, ამ უკანასკნელს არავითარი ლიტერატურული მემკვიდრეობა არ დაუტოვებია). პატარა საქართველო და ამდენი მაქსიმალისტური პარტიები. მაგრამ ეს აიხსნება წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის მრყეობით, ფრაზებით, გატაცებით. რევოლიუცია დამარცხდა, მაქსიმალიზმმაც აღმოიფხვრა საქართველოს სინამდვილიდან (არჩ. ჯორჯაძე 1908 წლიდან დაუბრუნდა თავის ძველ პოზიციებს, ნ. ჟორდანია ამ საერთო გატაცების ფერხულში მოხვდა: ხოლო მისი ნამდვილი ფიზიონომია 1905 წელში იყო: სიტყვით რევოლიუციონიზმი, საქმით—ოპორტიუნიზმი. სიტყვა და საქმე ერთი მეორეს იყო დაცილებული.

მესამე პერიოდი 1906—14 წლებით განისაზღვრება. ეს არის რეაქციის ბატონობის ხანა. ჩვენი ინტელიგენცია კულტურულ და ყოველდღიური საქმიანობით გართო, პროლეტარიატი დარჩა განმარტოებული. მენშევიზმი რევოლიუციის აშკარა ლიკვიდაციის გზას დაადგა, ისიც ინტელიგენციის გზას გაჰყვა: რევოლიუციონური თვისება გაქრა და სამაგიეროდ წვრილი საქმეები აღიმართა მის ხნაში, ამ პერიოდში მენშევიკურ პოლიტიკას ახასიათებს დაუსრულებელი მერყეობა, გაურკვევლობა და გზაარეულობა ეროვნულ საკითხში. მენშევიზმის გავლენა წვრილ ბურჟუაზიის მასზე არამც თუ მცირდება, არამედ თანდათან ძლიერდება.[14])

[14]) ნ. ჟორდანიამ 1906 წელს სახ. სათათბიროში არჩევის დროს თბილისში მიიღო 8078 ხმა, მოწინააღმდეგე პარტიებმა ერთად კი 4173 ხმა. ლ. მარტოვი თავის ისტორიაში აღნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატია გაბატონებული იყო გლეხობასა და წვრილ-ბურჟუაზიულ წრეში (იხ. „Общественное движение в начале 20-го века ტ. III. მარტოვის წერილი: „Социал-демократия 1905—7 г. г.“). ეს ელემენტები შეადგენდენ მენშევიკების დასაყრდენ ძალასა მათი საშუალებით ამარცხებდენ ისინი ბოლშევიკებს, როგორც პარტიის შიგნით, ისე გარედ.

მეოთხე პერიოდი მსოფლიო ომის ხანას წარმოადგენს (1914—17 წლები). ეს არის სოც.-დემოკრატიულ რიგებში სოციალ-შოვინიზმის გამეფების პერიოდი. წვრილბურჟუაზიული ინტელიგენცია ჩვენში ნაციონალიზმის ციებ-ცხელებამ შეიპყრო. მან ვერც თავი გაუგო ომს, ვერც ბოლო: მისთვის გაუგებარი დარჩა ძირითადი ეკონომიური მიზეზები და მისი მიზანი. ამ გაურკვევლობაში ინტელიგენცია დაიბნა, გზა აერია, ერთი ნაწილი [illegible]ენი ინტელიგენციისა რაღაც „აჯანყებ[illegible]“ მზგავს გეგმას თხზავდა ცარიზმის წინააღმდეგ იმ პირობებში, თუ ამიერ-კავკასიაში ოსმალეთი შემოვიდოდა (ესენი იყვნენ, ასე ვსთქვათ, ოსმალეთ-გერმანიის ორიენტაციის მიმდევარნი), ხოლო მეორე ნაწილი ქება-დიდებას უძღვნიდა რუსეთის სახელოვან არმიას. არევ-დარევა მოხდა ქართველ მენშევიკების ბანაკშიაც: ნ. ჟორდანიამ გარკვევით გაიზიარა პლეხანოვის ომის პლატფორმა. (იხ. მისი წერილები „ომი და ზავი“). ი. რუსული სოციალ-შოვინისტური პროგრამა, ხოლო მეორე ნაწილი (ს. დდარიანი, კ. ჩხეიძე და სხ.) არ იზიარებდა ნ. ჟორდანიას პოზიციას, მაგრამ ვერ პროლეტარიატის პლატფორმაზე (ლენინის პლატფორმაზე) ახერხებ-

---

*) იხ. „კომუნისტი“ 145, 146, 147.

[1]) Ленин—ტ. 5, გვ. 135.

[2]) ნ. ჟორდანია—„დემოკრატია და სოციალ-დემოკრატია“ გვ. 15.

[3]) ნ. ჟორდანია—იგივე გვ. 21—22.

[4]) ნ. ჟორდანია ტ I გვ 2[illegible]1.

[5]) იქვე. გვ. 2.

[6]) იხ. „ქართული პრესა“ 1900 წ. და „[illegible]“ გვ. 160—61.

[7]) ფ. მახარაძე: „1905 წელი ამიერ-კავკასიაში“ გვ. 62, 79, 80.

[8]) В. Каландадзе и В. Мхеидзе „Очерки революционного движения в Гурии“ გვ. 10. 1906 წ.

[9]) [illegible] „საქართველო“ № 22, 1905 წ. პარიზი.

[10]) იხ. ფ. მახარაძე „1905 წ. ამიერ-კავკასიაში“ გვ. 122.

[11]) ნ. ჟორდანია—„დემოკრატია და სოციალ-დემოკრატია“ გვ. 25.

[12]) იქვე გვ. 34—35.

[13]) იხ. არჩ. ჯორჯაძე—„ძველი და ახალი“ (1906 წ.) და „სოციალ-ფედერალიზმი საქართველოში“ (1907 წ.).

პარტიული ცხოვრება

ს. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმი

გუშინ, საღამოს 7 საათზე ქალაქის აღმასკომის დარბაზში შესდგა ს. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმი, რომლის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) თბილისის განათლების განყოფილების მოხსენება და 2) მოხსენება მე-XIV პარტყრილობის შედეგებზე კომპანიის ჩატარების შესახებ.

თბილისის განათლების განყოფილების მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ქაცარავამ. თბილისის განათლების განყოფილება განაგებს 93 შკოლას, რომელშიაც არის 32,798 მოსწავლე ახალგაზრდა. ეროვნების მიხედვით მოსწავლეთა შემადგენლობა შემდეგია: ქართველი 36 პროც., სომეხი 40 პროც., რუსი 12 პროც., მუსულმანი 2 პროც., დანარჩენი სხვა ეროვნების. სოციალური მდგომარეობის მიხედვით: მუშის (ფიზიკური მომუშავე) შვილებია 26 პროც., გლეხის შვილები 7 პროც., თვითშრომელთა 11 პროც., წითელ-არმიელების 1,6 პროც., მოსამსახურეთა 36 პროც., არა შრომელთა (не трудовое) 8 პროც., და დანარჩენი 5 პროცენტი.

4 წლედის შკოლები არის 17 პროც., 7-დის შკოლები 43 პროც., და 9 წლედის 39 პროც..

მასწავლებელთა რიცხვი უდრის სულ 1.445-ს. ამათგან ქართველებია 600 კაცი, რუსი 309 კაცი სომეხი 411 კაცი და სხვა ეროვნების 125 კაცი. მაზრაში არის სულ 167 შკოლა, რომლებშიაც სწავლობს 14.307 ბავშვი. 1920 წელს, მენშევიკების დროს კი მოსწავლეთა რაოდენობა მაზრაში იყო სულ 3.000. მასწავლებელთა რაოდენობა მაზრაში არის 497 კაცი. მომხსენებელი აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ შრომის შკოლებმა ვერ გაამართლეს მათზე დაკისრებული ამოცანები. ისინი ვერ უშვებენ უმაღლეს შკოლისათვის მომზადებულ ახალგაზრდობას, ამ მუშაობას განათლების განყოფილებამ მიაქცია ჯეროვანი ყურადღება. შკოლებში შეტანილ იქნა ზოგიერთი განხრები მოსწავლეთა სპეციალიზაციისათვის განხრები იყო, პედაგოგიური, პოლიტ-განმანათლებ., სტატისტიკური და სხვა. საქ. ტეხნიკუმების გამგეთა თათბირმა აღნიშნა ამ განხრათა დადებითი ნიშნები, მომხსენებელმა აღნიშნა აგრეთვე, რომ შკოლებისათვის არ არის საკმაო შენობა, რაც აბრკოლებს მეცადინეობას, ამ მხრივ სწარმოებს მუშაობა, მაგრამ მომავალში ამ გარემოებას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

შკოლებისათვის სახელმძღვანელოების მხრივ ვერ სდგას საქმე კარგად. შკოლებში ემჩნევა სახელმძღვანელოების უქონლობა, რასაც განათლების კომისარიატი აქცევს ჯეროვან ყურადღებას.

დასასრულს მომხსენებელმა გამოსთქვა სურვილი, რათა გამოცემული იქნეს შკოლებისათვის საჭირო სახელმძღვანელოები, უნდა გადიდებულ იქნეს საშკოლო მოედანი (შენობები) და აგრეთვე შკოლებში გაძლიერდეს უნდა რუსული ენის სწავლა.

პლენუმმა აღნიშნა განათლების განყოფილების მუშაობის, როგორც მიღწევები ისე ნაკლოვანებანი და მის მომავალ მუშაობისათვის აღნიშნულ დეფექტების გამოსასწორებლად გამოიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკულ წინადადებათა.

მე-XIV პარტყრილობის შედეგებზე კომპანიის ჩატარების შესახებ თბილისის ორგანიზაციაში—საინფორმაციო მოხსენება გააკეთა ამხ. ახრიბეკოვმა.

ილი.

სამაზრო პარტიული თათბირი ქუთაისში

ქუთაისი, 1 ივლისი. 3 ივლისისთვის დანიშნულია გაფართოებული პარტიული თათბირი სამაზრო მასშტაბით.

დღის წესრიგშია: მოხსენებები ადგილებიდან, ახალი გადარჩევა საბჭოებში, ახალ. კომკავშ. მუშაობის ამოცანები, სასოფლო სამეურნეო გადასახადი, გლეხკომების მუშაობა, მიწა-ტყის კავშირის შესახებ, მომჭირნეობის რეჟიმი და ჩვენი ამოცანა, სახალხო განათლება, რას გვიკარნახებს ს. კ. პ. (ბ)-ის უკანასკნელი პლენუმი, ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის, საქართველოს ცეკას და ამიერ კავკასიის საოლქო კომიტეტის პარტიულ თათბირის უკანასკნელი დადგენილებანი, მიმდინარე საკითხები.

რაიონულ ცენტრებში უკვე შეუდგენ სარაიონო პარტიული თათბირების ჩატარებას.

ზუგდიდის მაზრის რაიკომების და მოზრდილ უჯრედების პასუხისმგებელ მდივნების თათბირი

ამას წინად შესდგა ზუგდიდის მაზრის რაიკომების და მოზრდილ უჯრედების პ/მ. მდივნების თათბირი. თათბირს დაესწრნენ უჯრედების 14 პ/მ. მდივანი. თათბირის დღის წესრიგში იდვა 1. მაზრაში თემკომების ჩამოყალიბება.

2. თემების ერთეულების შეჯგუფება.

გაეცნო რა დაწვრილებით მაზრაში არსებულ კომუჯრედების და წევრების რიცხვს, აგრეთვე საერთო მდგომარეობას თათბირმა დაადგინა, უჯრედებზე პარტხელმძღვანელობის გაძლიერების და ხელმძღვანელ ორგანოებთან მათი დაახლოების მიზნით, აგრეთვე მტკიცე კავშირის გასაბმელად უღარიბეს და საშუალო გლეხობასთან და მათში მუშაობის გასაჩაღებლად ჩამოყალიბდეს მაზრაში თემკომები—შემდეგ რაიონებში: ლიის რაიონში—ლიის თემკომი რომელშიც შევა 8 კომუჯრედი და რამდენიმე საკანდიდატო ჯგუფი.

წალენჯიხის რაიონში—წალენჯიხის თემკომი რომელშიც შევა 2 უჯრედი. ობუჯის თემკომი—ობუჯის და ჯადრის კომუჯრედით. წალენჯიხის რაიონში დანარჩენი კომუჯრედები და საკანდიდატო ჯგუფები დარჩება თემებში. დარჩელის რაიონში—ჩამოყალიბდეს ანაკლიის თემკომი—ორი კომუჯრედით, ერგეტის თემკომი 4 კომუჯრედით. ზუგდიდის რაიონში—კახათის თემკომი 2 უჯრედით, ნიკოსიის თემკომი 2 უჯრედით. კორცხელის თემი 2 უჯრედით, ცაიშის თემკომი 2 კომუჯრედით, და საკანდიდატო ჯგუფებით.

ხობის რაიონში დარჩელის თემკომი—7 საკანდიდატო ჯგუფით.

ჩხოროწყუს რაიონში—ჩხოროწყუს თემკომი 3 უჯრედით.

ლესიჭინეს თემკომი 2 უჯრედით.

ლეწურწუმის—3 უჯრედით.

ხაბუმის— 3 უჯრედით.

ახალსენაკის რაიონში—ჭაქვინჯის თემკომი 2 უჯრედით, კირცხის თემკომი 3 უჯრედით

თათბირმა დაავალა რაიკომებს მდივნებს ერთი კვირის განმავლობაში ჩამოაყალიბონ აღნიშნული თემკომები. უფრო მეტ ნაყოფიერ მუშაობისათვის თათბირმა მიზანშეწონილად სცნო თემების შეჯგუფება-შემოკლება. თათბირმა დაადგინა, ეს უკანასკნელი საკითხი გადაეცეს სამაზრო აღმასკომს შესასწავლად და პროექტის შესადგენად.

ი. ჯ.

შეღავათები ღარიბ გლეხებისათვის

(სიღნაღის მაზრა).

ამჟამად სოფლის მეურნეობის აღორძინებასთან დაკავშირებით, კომპარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ამოცანას შეადგენს, სოფლის მოსახლეობის, განსაკუთრებით ღარიბი გლეხების ჩაბმა კოოპერატიულ ორგანიზაციებში. ამ ამოცანას ხელს უშლის ერთის მხრივ კოოპერატიული შეკავშირების სარგებლიანობის და მნიშვნელობის არ ცოდნა გლეხების მიერ, და მეორეს მხრივ ღარიბების ნივთიერი ხელმოკლეობა.

ღარიბ გლეხების კოოპერატივებში გაერთიანების საკითხი პარტიის უმაღლეს ორგანოების დადგენილების თანახმად განიხილა ს. კ. პ. (ბ) სიღნაღის მაზრკომის პრეზიდიუმმა და სიღნაღის მაზრის კოოპერატიულ მუშაკების უკანასკნელმა თათბირმა, რის შემდეგაც დადგენილი იქმნა.

კოოპერატიული ორგანიზაციების წმინდა მოგებიდან ათი პროცენტის გადადებით შეიქნეს სპეციალური ფონდი ღარიბების კოოპერატივებში შესვლისთვის ხელის შესაწყობად. კოოპერატიული შეღავათები ღარიბებზე შემდეგნაირად ვრცელდება: კოოპერატივებში, ზემოხსენებული პროცენტის გადიდებით, იქმნება ფონდი; სათანადო ორგანოების მიერ აღრიცხვაზე აყვანილი ღარიბების სახელზე ამ ფონდიდან კოოპერატივის სალაროში შეაქვთ საწევრო პაის ნაწილი და კოოპერატივის საწევრო წიგნაკები ურიგდებათ ღარიბებს.

ყველა ამას წინ უსწრებს ღარიბების სპეციალური კრებები, განმარტებით იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ღარიბების გაერთიანებას კოოპერაციაზე.

ზემოხსენებული ფონდის შექმნის სახით ღარიბების მიმართ კოოპერატიული შეღავათი მდგომარეობს იმაში, რომ კოპერატიულ ფონდიდან ღარიბებს აძლევენ საწევრო წიგნაკებს, ხდიან კოოპერატივების წევრებად. რასაკვირველია გძელი ვადის განმავლობაში ღარიბებმა კოოპერატივის საწევრო წიგნაკის გამოსყიდვით უნდა აუნაზღაურონ გაწეული ხარჯი კოოპერატივების სალაროებს.

ავ. ჭოჭუა.

ქალთა შორის

ორგანიზატორ ქალთა კურსების გამოშვება

26 ივნისს, ა.-კ. კომუნისტურ უნივერსიტეტში მოხდა ქალთა ორგანიზატორების გადასამზადებელი კურსების საზეიმო გამოშვება, რომელსაც დაესწრო ამიერ-კავკასიის ქალთა განყოფილებიდან ს. შავერდოვა და ინსტრუქტორი გიორგაძე, ცეკას ქალთა განყოფილების გამგე ამხ. ჯაფარიძე, თბილისის კომიტ. ქალთა განყოფილებიდან კიდიაში და ესაიანი. დღის 1-ლ საათზე საერთო კრება გახსნა ამხ. ჯაფარიძემ, რომელმაც გაუკეთა ზოგადი მიმოხილვა ამ კურსიების მიერ ჩატარებულ მუშაობას. ორატორი შეეხო, როგორც მიღწევებს, ისე იმ სიძნელეებს, რომლის გადალახვა უხდებოდა როგორც კურსების კოლეგიას, ისე ცეკას ქალთა განყოფილებას კურსების ყოველდღიურ მუშაობაში. ოთხი თვის განმავლობაში წარმოებულმა მუშაობამ სათანადო ნაყოფი გამოიღო და ორატორს მომავალშიაც სასურველად მიაჩნია ასეთი ტიპის კურსების არსებობა.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვით გამოდის ს. შავერდოვა, რომელიც ეხება იმ მორიგ ამოცანებს, რომელიც სდგას როგორც ქალთა განყ., ისე ორგანიზატორების წინაშე. მან ხაზგასმით აღნიშნა თვითეული ახლად კურსდამთავრებულის მოვალეობა, რაც მისი აზრით, უნდა გამოიხატოს ქალთა განყოფილებასთან როგორც ცოცხალი, ისე წერილობითი კავშირის დამტკიცებაში. ამხ. ჩერდება ცეკას ქალთა განყ. ყოველთვიურ ჟურნალ „მშრომელი ქალი"-ს ამოცანებზე, რომელშიაც მისი აზრით, თვითეული სოფლად დაბრუნებული ორგანიზატორი უნდა ღებულობდეს აქტიურ მონაწილეობას. შემდეგ შავერდოვას მოჰყავს საინტერესო ცნობები ასეთი კურსების მუშაობაზე, როგორც სომხეთში, ისე აზერბეიჯანში. მას დამაკმაყოფილებლათ მიაჩნია კურსების ჩატარებისათვის გაწეული მუშაობა. ამხ. შავერდოვას სიტყვის შემდეგ, გამოდიან კურსების მსმენელები, რომლებიც კმაყოფილებით აღნიშნავენ კურსების მიღწევებს. მათ სიტყვებში აშკარათ იყო გამოხატული ერთი მთავარი აზრი, რომ ისინი ადგილებზე დაბრუნების შემდეგ იქნებიან ურყევი გამტარებელი, როგორც პარტიის, ისე ცეკას ქალთა განყ. საერთო დირექტივებისა.

სხდომის დასასრულ ამხ. ჯაფარიძემ მოაგონა ორგანიზატორებს ის განსაკუთრებული ამოცანები, რომელიც ეკისრება მათ სოფლად ქალ. შორის მუშაობის გაღრმავების საქმეში და მოუწოდა მათ, რათა თავიანთი ფრთხილი დაკვირვებული მიდგომით გახდენ სამაგალითო მუშაკებათ.

ქ. პ—ია.

პარტქრონიკა

— **ზედმეტი ხარჯები.** ზედმეტი ხარჯების შესამცირებლად დუშეთის მაზრკომმა გამოყო კომისია.

— **სადელეგატო კრებები.** ქალთა სამაგალითო სადელეგატო კრებების აღსარიცხავად ქუთაისის მაზრკომმა გამოყო კომისია.

— **ა. კ. კ. კლუბი ქუთაისში.** პოლიტგანმანათლებელი მუშაობის გაღრმავების და პარტხელმძღვანელობის გაძლიერების მიზნით ა. კ. კავშირზე, ქუთაისის მაზრკომმა დაადგინა კომკავშირის კლუბი ქუთაისში გააერთიანოს პარტიულ კლუბთან.

— **ერთიან პარტიულ დღის შეცვლა.** სიღნაღის მაზრკომმა მიიღო მხედველობაში, რომ ზაფხულობით სოფლის უჯრედის წევრები ჩაბმული არიან სოფლის მუშაობაში, ერთიანი პარტიულ დღეთ დაინიშნოს კვირა.

— **პარტამხანაგების მიმაგრება.** რაჭის მაზრკომმა უჯრედებში პარტმუშაობის გაძლიერების მიზნით მიამაგრა 11 პასუხისმგებელ ამხანაგები, ხოლოთ საკანდიდატო უჯრედებზე კი 10.

— **მარნის უჯრედის შესახებ.** პარტ მუშაობის გაძლიერების მიზნით სენაკის მაზრკომმა დაადგინა: ყველა უჯრედი მარნის თემში გაერთიანდეს ერთ სათემო კომუჯრედში.

— **რელიგიის წინააღმდეგ.** სენაკის მაზრკომ-

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

მანუფაქტურის გამტაცებლების საქმე

ქუთაისი, 1 ივლისი. გაირჩა საქმე გიორგი ოჩიგავასი, არჩილ ჩხაბერიძისა და მიხეილ ასლანიძისა, რომელთაც ბრალდებოდათ 1,284 მან. 93 კაპეიკათ ღირებული მანუფაქტურის გატაცება სვირის ღვინის ამხანაგობის მაღაზიიდან.

სოლქო სასამართლომ ასლანიძეს მიუსაჯა ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა, ჩხაბერიძეს—ორი წლით და ოჩიგავას—ერთი წლით.

ამას გარდა დავით მონაშაროვს, რომელსაც ბრალი ედებოდა ამ მანუფაქტურის ყიდვაში, მიესაჯა ორი თვით თავისუფლების აღკვეთა.

ბრალდებულებს სასჯელში ჩაეთვლება წინასწარი დაპატიმრება.

სეტყვა

თელავი, 1 ივლისი. 27 ივნისს, საღამოთი, წინანდლის რაიონში მოვიდა სეტყვა. სახალხო მამულის სამზხალო პუნქტმა შესძლო სეტყვის გაფანტვა, მაგრამ სამზხალო რაიონის იქით მდებარე სოფლების—ქვემო-ხოდაშენისა და გძმინდორის ვენახები დააზარალა სეტყვამ.

მატყლის დამზადება

თელავი, 1 ივლისი. მატყლის გაზაფხულის სეზონში დამზადება მალე დამთავრდება. „მწყემსის" თელავის განყოფილებამ თავის წევრებისაგან (1.200 მეცხვარესგან) მიიღო 6.000 ფუთი მატყლი.

აბრეშუმის პარკი

თელავი, 1 ივლისი. კამპანია „აბრეშუმმა" მოაწყო აბრეშუმის პარკის მისაღები პუნქტები თვითონ თელავში და მაზრის ყველა უმთავრეს აბრეშუმის რაიონებში.

პარკის ადგილობრივ დამზადება მთლიანი მომხმარებელთა საზოგადოების მიერ სწარმოებს.

ექსკურსანტები

ახალქალაქი. 30 ივნისი. ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გაემგზავრენ ახალ-ქალაქის მაზრის გლეხები სულ 34 კაცი, სამაზრო აგრონომის მეთაურობით.

წერილები

„დოლი საჩხერეში"

ალბათ თქვენც გყავდათ მოხუცი ბებია, ისევე, როგორც მე. ხშირათ თქვენთვისაც გადაუცემია ალბათ ცნობილს ხელი ხუჭუჭა თმაზე და როდესაც ზარის რეკა შემოსძახა ეკლესიიდან, სასოებით გადაუწერია პირჯვარი.

ცნობილულ ბებიებს კიდევ ასეთი ჩვეულება ჰქონდა. ზარის რეკა რომ შემოესმებოდა პირჯვარს გადაიწერდა, ზეცისკენ ხელს აღაპყრობდა და შეჰღაღადებდა:

— ნუ გასწირავ, დედაო მარიამ, შენს ხვედრ საქართველოს, ნუ მოიძულებ ცოდვილ ხალხს, ვითარცა არ იციან რასა იქმან!

მე, პაწია ბავშვს, აბა რაში მაინტერესებდა რომელ წმინდანს რომელი კერძი ხვდა ამ ცოდვილ მიწაზე, მაგრამ როდესაც წამოვიზარდე დამაინტერესა და ვკითხე:

— ბებილო, ვინ მისცა დედა მარიამს ჩვენი საქართველო ხვედრათ, მეთქი.

— ღმერთმა შვილო, ღმერთმა, ვენაცვალე იმის მადლს, მიპასუხა და თან პირჯვარი გადისახა.

— დედაღვთისამ იხვეწრა ჩვენი ქვეყანა და ამიტომ არის, რომ ძე ღვთისამ ასე უხვად დააბერტყა მას თავის მადლიანი კალთა.

მართლაც რომ მადლიანი ყოფილა იმ დალოცვილის კალთა. მაგრამ როდესაც საქართველომდე მოუღწევია ამ მადლიანს ეკლესიებისა და თავად-აზნაურობის მეტი აღარაფერი ჰქონია კალთაში და ამიტომ არის ალბათ, რომ ჩვენი კურთხეული ქვეყანა ეგზომ ავარჭყებულია „წმინდა" ეკლესიებით და მოქარგულ თავად აზნაურობით.

სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ეს საქონელი შავ ქვასავით საექსპორტოთ არ გამოდგება. (ასეთი ბარაქა ვის რათ უნდა ეხლანდელ დროში) თორემ ჩვენს ბედს მართლაც რომ ძაღლი არ დაჰყეფდა.

ყოველ შემთხვევაში მაინცა და მაინც უმადური არც ეხლა ვართ.

თუმცა სიმართლე გამხელილი სჯობს, ეკლესია და წმინდა მამები არც თუ ისე კმაყოფილი არის ჩვენით.

მას შემდეგ, რაც „გადარჯულებულმა" ხალხმა დაჰკარგა რწმენა და პატივისცემა, როგორც დედაღვთისადმი ისე თვით მამა ღმერთის მიმართ, ამ ცოდვილ მიწაზე ანაფორიან ხალხს რაღაც აღარ ახარებთ ცხოვრება.

თქვენ ალბათ მოთმინება დაკარგეთ და გიკვირთ: სად ბებია, სად ეკლესია და სად დოლი საჩხერეში.

მეც ასევე გამიკვირდა, როდესაც ეს ამბავი გავიგონე.

ჰაი, ჰაი, რომ ეხლანდელ დროში დოლი თურმე უმჭიდროეს კავშირში ყოფილა წმინდა ეკლესიასთან და განსვენებულ კნეინებთან!

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა!

13 ივნისს დაბა საჩხერეში გამართული იყო დოლი.

მე პირადათ დოლი არ მიყვარს, მაგრამ საჩხერეში უსათუოდ წავიდოდი, რომ მცოდნოდა, რომ იქ ასეთი საინტერესო ამბავი მოხდებოდა.

ამ დაბაში ისევე, როგორც ყველა „ქრისტიან" სოფელს შეეფერება, არის ეკლესია, რომელიც „წმინდა ნინოს" სახელს ატარებს.

(გთხოვთ იცნობდეთ! ეს ის ნინო გახლავთ, რომელმაც ოდესღაც საქართველო გაქრისტიანა. მისი თმებ-შემოხვეული ვაზის ჯვარი, მგონი ეხლაც ინახება რომელიღაც მონასტერში, თუ „დემოკრატიულმა" მთავრობამ არ გაანაღდა საზღვარ გარეთ.) უკანასკნელ ათეულ წლის განმავლობაში როგორც ეს ეკლესია, ისე მისი მოძღვარიც ძალიან დამჭლევდა.

ხალხი აღარ მოდიოდა სალოცავად. წმინდა სახლი დაზიანდა, სახურავი გაცვდა, ხატებს წვიმის წვეთები ცრემლებათ დასდიოდა.

ქარი უსინდისოთ დაგრიალებდა კედლის ნაპრალებში, ხოლო სამრეკლოზე ჩამოკიდული ზარი ფომფო კბილსავით ექანება, ხოლმე და სადაც არის ჩამოვარდება.

საყდრის მოძღვარი შეაფიქრიანა ამ გარემოებამ. შეფიქრიანდა მრევლიც: საჩხერეს ყოფილი წარჩინებული წოდება,—კნეინები, ტახტისა და უბრალო აზნაურები.

ისინი, გაქექილი ჩოხებით, გახუნებული ფაფანაკებით და ჩიხტი-კოპებით მუდამ კვირით დადიან სალოცავად (ღვთის იმედით სცხოვრობს ხალხი ქვეყანაზე!), უკვდებოდათ გული, შეწუხებოდენ როცა საყდარს და მის მოძღვარს ესოდენ სავალალო მდგომარეობაში იხილავდენ და შეაწევდენ ხოლმე თითო ოხვრას.

სხვა არაფერი გაიხნიათ, მას შემდეგ, რაც „ურჯულოებმა" წაართვა ქონებასთან ერთად წარჩინებული მდგომარეობა და წოდებაც კი. ასეთ „მსუქანი" მრევლის იმედით შორს ვერ წავიდოდა წმინდა ნინოს ეკლესია. ეს ცხადი იყო.

მთავრობის ნებართვის შემდეგ, მოძღვარმა შეადგინა სია, დაიარა სოფელი და შეეცადა უფრო სარფიანი მრევლის შეძენას, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ზოგან ზრდილობიანათ უთხრეს უარი გლეხებმა, ხოლო ზოგან „კომსომოლებს" ძლივს გამოასწრო ხოლმე ხმელი კანჯები.

აი აქ იწყება სწორედ ამბავი.

მოძღვარი და მრევლი რომ ჩაფიქრებული იყო, ამ დროს საჩხერეს ბედაურები დოღისათვის ემზადებოდენ. ვიღაცამ (უთუოდ ცხონდება ის მადლიანი!) მოძღვარსა და მრევლს ჩინებული აზრი მიაწოდა:

— ბატონო! დოლი იმართება, იმდენი ხალხი იქნება, რომ სამ დღეს ვერ დასთვლი. ვისარგებლოთ ამ მდგომარეობით. გაუშვათ ჩვენი კნეინები ყულაბებით და ერთხელ თუ ღმერთმა დაიბერტყა თავისი მადლიანი კალთა ამ ხალხის სასარგებლოთ, ეხლა მათ დავაბერტყვინოთ ცოტაოდენი ღვთის სახლის სასარგებლოთ.

მოძღვარი ოდნავ გაჯიუტდა (სად გაგონილა ეშმაკის მიერ მოგონილ საცდუნებელ სანახაობაზე ეკლესიის ფულის შეგროვება!) მაგრამ ის ჩქარა დაარწმუნეს,—უნდა მისცეთ, მამაო, წაწყმენდილ ხალხს ცოდვის გამოსყიდვის საშუალება. სწორედ ის არის მადლი, რომ ეშმაკის საცდუნებელზე მისულ ხალხს მოაგონო წმინდა ეკლესია და სულის საცხონებელი საქმე ჩაადენინო.

მცირეოდენი მსჯელობის შემდეგ, მრევლმა გამოჰყო საპატიო მანდილოსნები—ყოფილი კნეინები და დიდი გვარის ხალხი, აღჭურვა ისინი ყულაბებით და გაგზავნა დოღზე წმინდა ეკლესიის სასარგებლოთ შემოწირულების შესაგროვებლათ.

და აი, როდესაც, ცხენები—საჩხერის ბედაურები წელებზე ფეხებს იდგამდენ და ოფლში გაღვრილი დაჯირითობდენ მოედანზე, წარჩინებული კნეინებს ხალხში გამართათ ჯირითი ეკლესიის სასარგებლოთ.

ამბობენ, რომ სულის საცხონებლათ (ვინ იცის რა არის იმ ქვეყნად!) ბევრმა ჩააგდო წვლილი მანდილოსნების ყულაბში და „წმინდა ნინო" კმაყოფილი უნდა იყოს.

ამ რიგათ იხსნა საჩხერის დოლმა წმინდა ეკლესია და მისი მოძღვარი. მოდი ეხლა და სთქვი: საქართველოში ეკლესიას მზრუნველი არა ჰყავსო!

ეს წერილი დაწერილი იყო, როდესაც რედაქციაში შემოვიდა საჩხერის დოლის მონაწილე ცხენების საჩივარი.

მოკლედ ის შემდეგში მდგომარეობს.

ბედაურები სასტიკ პროტესტს აცხადებენ კნეინების მონაწილეობის წინააღმდეგ ჯირითში. ისინი ამტკიცებენ, რომ დოლში მონაწილეობის უფლება მხოლოდ სუფთა ჯიშის ცხენებს აქვთ და არა ყველა ჯურის კნეინებს.

გარდა ამისა, რადგან საჩხერეში ხალხი ცხენების დოღზე იყო მისული და არა კნეინების ჯირითის საცქერად, ცხენები მოითხოვენ შეგროვილ ფულების ჩამორთმევას „წმინდა ნინოსათვის" და უპატრონო ბავშვებისათვის გადაცემას. (ვაშა ცხენებო!).

ცხენები კატეგორიულად ამტკიცებენ, რომ კნეინებისათვის ხელისუფლების არც ერთ ადგილობრივ ორგანოს არ მიუცია ჯირითში მონაწილეობის უფლება.

მათ ჰქონდათ მხოლოდ „წმინდა ნინოს" ნებართვა და ისიც არა წერილობით.

ვფიქრობთ, რომ ცხენების მოთხოვნილება კანონიერია.

მაწ.

ყაჩაღის მოკვლა

სენაკი და ზუგდიდის მაზრებში, დარჩენილი იყო ერთად-ერთი ყაჩაღი, ცნობილი კაკო ქაჯაია. 24 ივნისს საღამოს ის მოკლულ იქნა, სოფელ ხურჩის მცხოვრებ 75 წლის მოხუცი დუტუ გვაზალიას მიერ, სამწუხაროდ, მოხუცი გვასალიაც გახდა ქაჯაიას ნასროლი ტყვიის მსხვერპლი.

ბეგლარ იოსავა

წითელ ჯარში

საბანაკო ცხოვრება

საბანაკო ცხოვრების საორგანიზაციო პერიოდი დასრულდა და ნაწილები შეუდგენ საზაფხულო პროგრამის განხორციელებას.

ბანაკები სათანადოთ არის მოწყობილი. ყველა ნაწილები დაკმაყოფილებულია კარავთა საჭირო რიცხვით. თვით საცხოვრებელი ადგილებიც ისე არის შერჩეული, რომ ყველა სახეობის ნაწილს აქვს საშუალება დაუბრკოლებლივ აწარმოოს მეცადინეობა.

ზაფხულობით მეცადინეობა ატარებს პრაქტიკულ ხასიათს.

სწავლება, გარდა პოლიტსაათისა, სწარმოებს ველად. მთელ დღის და ღამეს წითელარმიელები ატარებენ გარედ, აწარმოებენ სროლას, სანგრების თხრას და სხვა.

ყურადღება აქვს მიქცეული ტოპოგრაფიას და ადგილ-მდებარეობის შესწავლას.

დროგამოშვებით სწარმოებს ნაწილობრივი მანევრების ჩატარება. რის შემწეობით ნაწილი ეჩვევა ბრძოლის წარმოებას სხვადასხვა პირობებში—მთიან ადგილას, ველად, ტყეში და სხვა.

ზაფხულში გააფართოვეს მუშაობა აგრეთვე სამხედრო-სამეცნიერო წრეებმა. მათ მუშაობისათვის საბანაკო პერიოდი წარმოადგენს ნაყოფიერ ნიადაგს, ვინაიდან აქ არის შესაძლებლობა მიეცეს მუშაობას პრაქტიკული ხასიათი.

საკმაო უნარი გამოიჩინეს საკავშირო კომისიებმა.

საბანაკოდ გასულმა ყველა ნაწილმა დაიჭირა კავშირი სოფელთან. მუშაობა სოფლად მიმდინარეობს ორი ხაზით; პოლიტიკური და კულტურულით.

ნაწილის პარტორგანიზაციების მიერ მიმაგრებული არიან გამოცდილი ამხანაგები პარტიის და კომკავშირის უჯრედებზე და სასოფლო საბჭოებზე. იმართება ხშირად სოფლის და ნაწილების უჯრედების გაერთიანებული კრებები.

კულტურული მუშაობა სოფლად მტკიცე ნიადაგზეა დაყენებული. ყოველ კვირაობით სოფლად ეწყობა საღამო-წარმოდგენები, იმართება ლექციები ისეთ თემებზე, რომელიც აინტერესებს გლეხობას. ტარდება კამპანიები.

ჯარის ნაწილების შემწეობით ზოგიერთ სოფელში ჩაეყარა საძირკველი კედლის გაზეთს.

საკავშირო კომისიების მიერ შეტანილია საზაფხულო მუშაობის გეგმაში ექსკურსიების მოწყობა ბანაკის მიდამოების გასაცნობად და შესასწავლად. წითელარმიელები ხალისიანად იღებენ მონაწილეობას ექსკურსიებში და ადგილობრივ ნაწილის პრესაში ათავსებენ თავის შთაბეჭდილებებს.

მიმდინარეობს გაცხოველებული მუშაობა აგრეთვე მოსახლეობის გასამხედროების ფრონტზე. ეყრება საძირკველი მრავალ სამხედრო კუთხეს, იქმნება კუთხეებთან სამხედრო საქმის შემსწავლი და სასპორტო წრეები.

ე. ხ.

ახალი წიგნი

დაიბეჭდა და ამ დღეებში დაეგზავნება ნაწილებს „ქრესტომატია პოლიტხელმძღვანელთათვის", სადაც დაგროვილია მრავალი მეთოდიური და მხატვრული მასალა, საჭირო წითელარმიელებთან სამეცადინოთ.

ე. ხ.

პედაგ. ტეხნ. გამგეთა კონფერენცია

კამათი უცხო ენების შესახებ

კონფერენციაზე დიდი კამათი გამოიწვია ტეხნიკუმებში უცხო ენების შემოღების საკითხმა.

ამხ. სალარაძის აზრით, ტეხნიკუმში უცხო ენების შემოღება არ იქნება პედაგოგიურათ მიზანშეწონილი, ვინაიდან 9-წლედებში მათი სწავლება უკვე აღარ სწარმოებს და ტეხნიკუმებში საჭირო გახდებოდა კურსის თავიდან დაწყება, რაც მიზანს მაინც ვერ მიგვაღწევინებდა, ხოლო დროს კი წაგვართმევდა.

ამხ. კვამტრეცი აზიარებს ამ აზრს და მომხრეა უცხო ენის სწავლება არ იქნეს სავალდებულოთ ცნობილი.

ამავე საკითხზე თავიანთ აზრს გამოსთქვამენ ამხ. მესაბიშვილი, ხუჭუა და სხვანი.

ამხ. კვანტრეცი იზიარებს ამ აზრს და ჭირო იყო უცხო ენების პროგრამაში შეტანა, რადგანაც უკანასკნელათ აქეთკენა კურსი აღებული.

დასასრულ, კონფერენციამ დაადგინა უცხო ენები არ იქნას შემოღებული ტეხნიკუმებში, როგორც სავალდებულო საგანი დროებით, და შემდეგ თუ ამას გარემოება მოითხოვს, შემოიღონ.

მეხუთე სხდომა

ამხ. მარ. ორახელაშვილის მოხსენება

კონფერენციაზე მოხსენებით გამოდის ამხ. მ. ორახელაშვილი მთლიანი პედაგოგიური განათლების სისტემის შესახებ.

თავის მოხსენებაში იგი ყოფს მთელ სასწავლო სისტემას რამოდენიმე კატეგორიებათ და აღნიშნავს, რომ ჩვენ სასწავლო სისტემაში შედის 7-წლედები, 9-წლედები, გლეხურ ახალგაზრდობის სკოლები, საფაბრიკო-საქარხნო სკოლები და სხვა დარგები.

ყველა ამ სკოლებისათვის ჩვენ გვეჭირვებიან ერთნაირი ხარისხის მასწავლებლები, რომელთაც შეეძლებათ მარქსისტული სულის მტკიცეთ დაცვა თავიანთ პედაგოგიურ მოღვაწეობაში. ამ მასწავლებელთა შორის შეიძლება იყოს განსხვავება მხოლოთ ცოდნის რაოდენობის მხრივ, ხოლო ხარისხით, ანუ ცოდნის სიმტკიცით ისინი ერთ სიმაღლეზე უნდა იდგენ.

გარდა ამისა პედაგოგ. ტეხნიკუმებს დაკისრებული აქვთ უდიდესი საქმე—მოამზადონ თანამედროვე მასწავლებლები, რომლებითაც ჩვენ უნდა შევსცვალოთ გამოუცდელი და შეუფერებელი მასწავლებლობა.

ხშირია ამჟამად შემთხვევა, რომ ერთი მასწავლებელი ხელმძღვანელობს 3—4 ჯგუფს, საჭიროა, რომ თითო ჯგუფს თითო მასწავლებელი ყავდეს. ამისათვის ჩვენ დაგვეჭირდება პირველ ხანშივე 1700 მასწავლებელი.

შემდეგ ბევრი მასწავლებელი ბუნებრივი მიზეზებით გვაკლდებიან (სიკვდილიანობა და სხვა). უახლოესი ათი წლისათვის ამ მიზეზით ჩვენ დაგვეჭირდება 3.500-მდე მასწავლებელი. საერთო-სავალდებულო სწავლების შემოღებასთან ერთად მოთხოვნილება იქნება დაახლოებით 4.300 მასწავლებელზე და სხვა.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მასწავლებლობა უნდა იყოს მომზადებული აგრეთვე სკოლის გარეშე მუშაობისათვისაც, ეხება თვითგანვითარების ინსტიტუტის შემოღებას, მეთოდიური ბიუროების დაარსებას, მასწავლებელთა კონფერენციებს და სხვა.

კამათი

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ამხ. მესაბიშვილმა, გ. ნათაძემ, გოგუაძემ და ხუჭუამ.

მოხსენებაზე რეზოლიუციის შესამუშავებლად არჩეულ იქნა 5 კაცისაგან შემდგარი კომისია.

ამხ. მეზურიშვილის მოხსენება

სამეცნიერო საბჭოს პედაგოგიური სექციის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოდის ამხ. თ. მეზურიშვილი.

მომხსენებელი დაწვრილებით ჩერდება პედაგოგიური სექციის დაარსების ისტორიაზე და იმაზე თუ რა გააკეთა მან დღიდან დაარსებისა ანუ წლინახევრის განმავლობაში.

მომხსენებელს დასასრულ მოყავს ციფრობრივი ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი პედაგოგიური ხასიათის წიგნი იქნა გამოცემული და ან მომავალში როგორი გეგმა აქვთ დასახული.

შეკითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ სხდომა დაიხურა.

მუშათა ცხოვრება

ავსწიოთ წარმოება!

(სურათი საწარმოო თათბირების სინამდვილიდან)

პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში საწარმოო თათბირია.

საღამოს 5 საათზე. დარბაზი გაჭედილია ხალხით: სულ რკინისგზის მთავარ სახელოსნოს მუშებს მოუყრიათ თავი.

არავინ არ აკლია. ყველა თავის ალაგას არის.

საწარმოო საუბრებს ბეჯითად ესწრებიან.

დღეს მოხსენება უნდა გააკეთოს სახელოსნოს უფროსმა.

უნდა ანგარიში ჩააბაროს მუშებს, თუ როგორ მიდის წარმოების საქმე. რა გაკეთდა, რის იმედია ახლო მომავალში.

თავმჯდომარე ხსნის კრებას.

სიტყვა ეძლევა მომხსენებელს.

პატარა ტანის, გამხდარი, მაგრამ სანდომიანი შეხედულების, ინჟინერი მასიუროვი აცნობს კრებას სახელოსნოს მუშაობის ანგარიშს და აღნიშნავს, რომ ქარხნის წარმოება დღითიდღე იზრდება, მატულობს, რომ ჩვენ უკვე მივაღწიეთ ომის წინა დროის წარმოების რაოდენობის დონეს და იმედია ჩქარა კიდევაც გავასწრებთ.—ამისათვის საჭიროა, ამხანაგებო აცნობს მომხსენებელი შეერთებული ენერგიით მუშაობა საჭიროა მთელი სამუშაო რვა საათის საქმეზე გამოყენება. ჩვენში კი სამწუხაროდ, გახშირდა სიმულიაცია-ზარმაცობა. გახშირდა გაუმართლებელი ავადმყოფობაც არის ქურდობაც. ხმარობენ ათას გვარ ხრიკებს, რომ გაიტანონ სახელოსნოდან რაიმე ნივთი. ჩვენს წარმოებაში სამი ათასს კაცზე მეტი მუშა-მოსამსახურეა. თითოეულმა რომ თითო შაურის ვაიტანოს დღეში, წარმოიდგინეთ სად წავა. „ზღვა კოვზით დაილევაო". უნდა თქვენ თითონ მიიღოთ ზომები. მარტო ადმინისტრაცია ვერას გახდება. აი ამიტომ ვართ ამ თათბირზე. გამოსთქვით თქვენი აზრი მიგვითითე ადმინისტრაციის ნაკლულევანებებზე. თქვენ ჩვენზე უფრო ხედავთ თუ სად რა ნაკლია, სად რა კეთდება, დავეხმაროთ ერთმანეთს, ავსწიოთ წარმოება!.

სამი მომხსენებელი ლაპარაკობდა. ორმოცზე მეტი ამხანაგი ჩაეწერა სალაპარაკოდ. კიდევ ბევრია მსურველი, მაგრამ მოლაპარაკეთა სია იხურება.

— დრო დავინიშნოთ! რეგლამენტი...

— ხუთი წუთი ორატორს!—ისმის ხმები.

— ათი! ხუთმეტი ხუთი.

კენჭის ყრით დაკანონდა ათი წუთი. გამოდის სალაპარაკოთ ერთი სამქროს მუშა ზეინკალი და ასე იწყებს თავის სიტყვას:

— ამხანაგებო! აქ სახელოსნოს უფროსმა საათნახევარი ილაპარაკა. ჩვენ-კი ათი წუთით შეგვბორკეს. ეს ძალიან ცოტაა, მაგრამ რაც მე ვერ მოვასწრო სხვებმა დაუმატეთ.

— წარმოება უნდა ავსწიოთო სთქვა მომხსენებელმა. ეს ყველამ ვიცით. ყველა ვგრძნობთ ყველა ვცდილობთ, მაგრამ ნება მომეცით დავეკითხო სახელოსნოს უფროსს: რა მიზეზია, რომ წინათ ჩვენ ცეხში იყო 40 მუშა—,ხოლო ამავე ცეხის კანტორაში მაშინ საქმეს უძღვებოდნენ 5 მოხელე (ჩინოვნიკი) დღეს ჩვენ მუშები იმდენივე (40) დავრჩით, ხოლო კანტორის მოხელეთა რიცხვი გაიზარდა 16-ამდის.

რად მოხდა ეს? თუ წინეთ 5 კაცი საკმარისი იყო, რა საჭიროა დღეს 16 კაცი. 11 კაცის ჯამაგირი რად გვაწვება ჩვენ კისერზე? ჩვენ ამაზე გული გვტკივა, რადგანაც ეს გარემოება წარმოებისთვის საზარალოა. მიაქციეთ ამას ყურადღება...

— ამხანაგო! ათი წუთი გავიდა.

— მე კიდევ მაქვს სალაპარაკო.

— დაიცავით რეგლამენტი!.. გაუდიდოთ დრო!

— მართალს ამბობს!.. ისმის ხმები და ამ ხმაურობაში მოლაპარაკე ჩამოდის ტრიბუნიდან.

მის ალაგს იჭერს სახარატო დარგიდან ხარატი კოსტა.

— ამხანაგებო! რაც ჩემ წინ მოლაპარაკემ სთქვა სრული სიმართლეა. ჩვენ საამქროშიც ისეთივე მდგომარეობაა. მაგრამ მარტო იმ ზედმეტი მოხელეების ჯამაგირზე რომ იყოს საქმე კიდევ გაუძლებდით. საქმე ამით არ თავდება. მოხელეთა რიცხვის გადიდებამ გამოიწვია საქმის წარმოების გართულება.

მაგალითად გინდათ გაიტანოთ საწყობ. სალაროდან რაიმე იარაღი, ან ნივთი მთელი დღე (ხან მეტიც) უნდებით ამ საქმეს. ერთი მოხელე გამოგიწერს, მეორე არაა თავის ალაგას უნდა უცადო. არც მესამე. მეოთხე [illegible] როცა მისვალ საწყობში გეუბნებიან: შეცდომაა ქაღალდშიო. ისევ თავიდან უნდა დაიწყო.

— ასე მეკარგება მე პირადად მთელი დღეები იქ სამუშაოზე მიცდის 30—40 მუშა ხელი.

განა ასე წარმოება აიწევს?.

გამოდის სალაპარაკოთ ამწყობი საამქროს უფროსი ზეინკალი.

— ამხანაგებო! ვადასტურებ ორი ამხანაგების უკვე ნალაპარაკევს და დაუმატებ შემდეგსაც: ხშიროად საწყობში არაა ესა, თუ ის მასალა-იარაღი. დავრბივარ და ვცდები მე. ცდებიან ჩემი მუშებიც.

უნდა აქ გამოვასწოროთ საქმე. საჭიროა მოვაწყოთ სახელოსნოში ცენტრალური სალარო, აქ უნდა ინახებოდეს ყველაფერი, რაც ჩვენ გვჭირდება.

უნდა გაადვილდეს სალაროდან საჭირო მასალა-იარაღის გამოტანა.

ლაპარაკობს მეოთხე ამხანაგი სარონოდო საამქროდან.

— ამხანაგებო! აქ იყო ლაპარაკი ქურდობა-სიმულიანტობის შესახებ, ჩვენდა სამარცხვინოდ, ეს მართალია. ჩვენს დარგში ხშირად ნახავთ მუშაობის დროს უსაქმოდ მსხდომ და მოსაუბრე ამხანაგებს. ზოგნიც რონოდების შუა რაიმე ნივთებს მალავენ, ამაგრებენ, რომ ამ რონოდის გასვლისას ის ნივთი გააპაროს... ეს დიდრონი ქურდობაა. ხოლო ჯიბით სხვა და პატარა რამეების გატანა ჩვეულებრივი მოვლენაა. საერთოდ შემარცხვენელი ჩვეულებაა. ამას უნდა ბოლო მოეღოს.

ილაპარაკეს კიდევ რამდენიმე მუშებმა, რომლებმაც აღნიშნეს ბევრი კიდევ სხვა ნაკლი სახელოსნოში.

დასასრულ საბოლოო სიტყვა მიეცა სახელოსნოს უფროსს, რომელმაც განაცხადა, რომ ადმინისტრაცია ეცდება ანგარიში გაუწიოს მუშების მიერ აქ წარმოთქმულ მოსაზრებებს.

— ვნახოთ!.. ვნახოთ მიაძახეს მუშებმა.

კრება დაიხურა. მაგრამ გამოსავალ კარებთან ისევ შეჯგუფდენ ამხანაგები და ახლა აქ გაიმართა კამათი.

— ასე გვპირდებიან: თქვენ შენიშვნებს ყურადღების მივაპყრობთო, მაგრამ ვინ აქცევს ჩვენ ხმას აქ სახელოსნოში ყურადღებას.

მოგვიწვევენ, გვალაპარაკებენ და საქმე კი ისევ „ჩვენებურად" ძველებურად მიდის.

მუშა ს. დოლიძე.

„კომუნისტი"-ს მუშკორებში

ა. წ. 30 ივნისს, მუშკორთა მორიგ საზოგადო კრებაზე მუშკორები გაეცნენ კომპარტ. თბილ. კომიტ. საგ.-საპ. განყოფილების მომართვას წარმოება დაწესებულებებში მუშკორთა წრეების დაარსების შესახებ. მუშკორთა კრება მეტად მიზანშეწონილად და დროულად სცნობს ასეთი წრეების დაარსებას და ერთ ხმად ადგენს:

„კომუნისტი"-ს რედაქციის და მუშკორთა ხელმძღვანელობით წარმოება - დაწესებულებებში დაარსებულ იქნას მუშკორთა წრეები, სადაც შევლენ აგრეთვე ადგილობრივ კედლის გაზეთების რედკოლეგიების სრული შემადგენლობანი და ყველა მსურველი მუშებიც. წრეების მიზანს შეადგენს ფართო მასსების უშუალოდ ჩაბმა საგაზეთო მუშაობასა და მუშკორთა მოძრაობაში.

წრეების ადგილობრივად ხელმძღვანელებად კრება ირჩევს შემდეგ ძველ და მომზადებულ ამხანაგებს: ამხ. დოლიძეს საღირაშვილს, ჯაში კალანდაძეს, ბაჯიაშვილს, ხებრილაშვილს, მთვრალაშვილს, ჩხიკვაძეს, ასლამაზიშვილს, ნიკოლაიშვილს, ხეჩუაშვილს, ქაიავას, ნავთლუღელს და ახალკაცს?

7 ივლისს შემდეგ მორიგ კრებაზე მოწვეულ უნდა იქნეს მუშკორთა და ყველა წრეების სრული შემადგენლობათა თათბირი.

მუშკორებმა აგრეთვე იმსჯელეს იმის შესახებ, რომ გაზეთზე ხელისმოწერა ხდებოდეს ნაღდ ფულზე, როგორც ეს ხდება ყველა სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში, ვინაიდან გაზეთის ნისიად გამოწერა მეტად საზიანოა ჩვენი საგაზეთო მუშაობისათვის და აუტანელ მდგომარეობაში აყენებს ჩვენ ისედაც ხელმოკლე რედაქციას.

მუშკორთა კრება ერთხმად ადგენს ადგილებზედ, ჩვენ მუშებს შორის, ჩაატარონ სათანადო კომპანია ამის შესახებ და მოითხოვს რედაქციისგან ამ პრინციპის სრულად დაცვას.

მუშკორი ალ ნიკოლაიშვილი.

საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმი

გუშინ საღამოს 7 საათზე პროფკავშირთა დიდ დარბაზში გაიხსნა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მეორე პლენუმი. პირველ სხდომაზე პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. გ. ყურულაშვილმა გააკეთა მოხსენება.

სრ. საკავშირო პროფკავშირთა ცენტ. საბჭოს პლენუმის შედეგების შესახებ

ინგლისის მუშათა გაფიცვა

პირველ ყოვლისა,—ამბობს მომხსენებელი, სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ცენტ. საბჭოს პლენუმმა მსჯელობა იქონია ინგლისის მუშათა გაფიცვის შესახებ. უკანასკნელ ხანებში,—განაგრძობს მომხსენებელი, არავინ არ უარყოფს ინგლისის ამბების უდიდეს მნიშვნელობას მთელი საერთაშორისო მუშათა მოძრაობისათვის. ამ ამბებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში ეკონომიურმა ბრძოლამ არ შეიძლება პოლიტიკური ბრძოლის ხასიათი არ მიიღოს. მიუხედავათ ინგლისის პროფკავშირთა ხელმძღვანელ ბელადების ცდისა, რომ გაფიცვა ეკონომიურ ბრძოლის ფარგლებს არ გაშორებოდა, გაფიცვა მაინც კლასიურმა უკანასკნელი თავიანთი მოქმედებით. პოლიტიკურ ბრძოლად გადაიქცა. ამ შეტაკების პოლიტიკური ხასიათი აშკარა შეიქნა განსაკუთრებით უკანასკნელ დღეებში, მას შემდეგ, როცა მიღებულ იქნა მაღაროებში 8 საათის სამუშაო დღის შემოღების პროექტი. თუ წინად ბრძოლა სწარმოებდა მაღაროების მეპატრონეთა და მაღაროს მუშებს შორის, **ეხლა უკვე ბრძოლა სწარმოებს მთავრობის კანონების წინააღმდეგ. ამგვარად ბრძოლამ მიიღო აშკარა პოლიტიკური ხასიათი.**

ინგლისის პროფმოძრაობის ბელადებმა უკანასკნელი თავიანთი მოქმედებით გაფიცვის დროს, საბოლოოდ გაიტეხეს სახელი ინგლისის მუშებს შორის. როდესაც საყოველთაო გაფიცვა სტიქიურად მოედვა ინგლისის მრეწველობის მსხვილ დარგებს, ინგლისის მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელებმა ტომასის, მაკდონალდის და სხვების სახით, დაიწყეს მთავრობასთან და მაღაროების მფლობელებთან უკანა კარებით სიარული და გააბეს მათთან საიდუმლო მოლაპარაკება: ამ გზით ჩაშალეს გაფიცვა — სწორედ იმ მომენტში, როცა იგი მთავრობისათვის საშიშ ხასიათს ღებულობდა.

ინგლისის პროფმოძრაობის ხელმძღვანელ ბელადების ასეთი სამარცხვინო საქციელის გამო, პლენუმზე დაისვა კითხვა — ინგლის-საბჭოთა მთლიანობის კომიტეტის არსებობის შესახებ. პლენუმმა საჭიროდ სცნო კომიტეტის დატოვება, რადგან პლენუმის აზრით ინგლისის საბჭოთა მთლიანობის კომიტეტი შექმნილია როგორც საბჭოთა კავშირის, ისე ინგლისის მუშათა კლასის ხანგრძლივი ბრძოლით, მით უმეტეს, რომ ამ კომიტეტის შექმნას მხარი დაუჭირა არა ცალკე ბელადებმა, არამედ ინგლისის ტრედ-იუნიონების კონგრესმა, რომელმაც მსჯავრი უნდა დასდოს ბელადების საქციელს და გამოარკვიოს თავის შეხედულება ინგლისის საბჭოთა მთლიანობის კომიტეტზე არსებობის შესახებ.

სრ. საკავშირო პროფკავშირთა საბჭოს პლენუმმა დაადგინა ყოველ ღონისძიებით დაეხმაროს მაღაროს მუშების გაფიცვას და გააგრძელოს შემოწირულების შეგროვება მათს სასარგებლოდ.

პლენუმის დღის წესრიგში იდგა სოციალური დაზღვევის. უმუშევრობის, შრომის დაცვის, საბინაო მშენებლობის საკითხები — და აგრეთვე საკითხი საწარმოო თათბირების შესახებ.

სოციალური დაზღვევის საკითხები

განსაკუთრებული სიცხოველე და აზრთა გაცვლა გამოცვლა გამოიწვია სოციალური დაზღვევის და უმუშევრობის საკითხებმა. ხაზგასმით აღნიშნულ იქნა, რომ სოციალური დაზღვევის ორგანოები განიცდიან ფინანსიურ სივიწროვეს, რაც შედეგია სიმულიაციის ზრდის, მრავალ წარმოებისათვის შეღავათიანი ტარიფების შემოღების და სხვა. პლენუმმა დაადგინა სასტიკი ბრძოლა გამოეცხადოს სიმულიაციას, შემცირებულ იქნეს საორგანიზაციო ხარჯები და შეჩერებულ იქნეს სოცდაზღვევის შეღავათიანი ტარიფების გავრცელება წარმოება-დაწესებულებებზე. ამასთან ერთად პლენუმმა დაადგინა — გადიდებულ იქნეს პენსიების ნორმები და დახმარება ინვალიდობისა, სიბერისა და უმუშევრობისათვის.

უმუშევრობა

უმუშევრობის საკითხის შესახებ გამოირკვა, რომ მიუხედავათ წარმოებებში დასაქმებულ მუშა ხელის თანდათანობითი ზრდისა, უმუშევრობა მაინც არ კლებულობს. პლენუმზე გამოქვეყნებული გამოკვლევები მოწმობენ, რომ კვალიფიციურ უმუშევართა რიცხვი დღითი-დღე მცირდება, სამაგიეროდ იზრდება არაკვალიფიციურ მუშა ხელის რაოდენობა, რომელიც იზრდება უმთავრესად სოფლიდან სამუშევრის საძებნად ჩამოსული გლეხებით. პლენუმმა მიიღო მთელი რიგი ღონისძიებები უმუშევრობის საწინააღმდეგო ბრძოლის საწარმოებლად. სხვათა შორის პლენუმმა მიუთითა, რომ **საჭიროა შრომის და პროფორგანოების მხრივ ზრუნვა უმუშევრობის მოსასპობად არა მარტო პროფკავშირის წევრებს შორის, არამედ პროფკავშირის გარეთ დარჩენილ უმუშევრებს შორისაც. ყოველ ცალკე შემთხვევაში ყურადღება უნდა ექცეოდეს უმუშევრის ნივთიერს და სოციალურ მდგომარეობას.**

როგორც პლენუმზე გამოირკვა, საბინაო კრიზისს განსაკუთრებით მწვავეთ განიცდიან ცენტრალური სამრეწველო რაიონები. პლენუმმა დაადგინა მიიღოს ყოველგვარი ღონისძიებანი ამ კრიზისის შესანელებლად.

საწარმოო თათბირები

პლენუმმა განიხილა აგრეთვე საკითხი საწარმოო თათბირების შესახებ. ხაზგასმით იქნა აღნიშნული, რომ ამ უკანასკნელ ხანებში საწარმოო თათბირების მუშაობა შესუსტდა. სამეურნეო მუშაკებმა ყურადღების ცენტრი გადაიტანეს მომჭირნეობის კომისიების მუშაობაზე და ნაკლებ უგდებენ ყურს საწარმოო თათბირებს. პლენუმმა ხაზი გაუსვა, რომ მომჭირნეობის რეჟიმის კამპანია უნდა ჩატარდეს სწორედ საწარმოო თათბირების, და არა დროებითი კომისიების საშუალებით. ამ მიზნით დადგენილ იქნა, —რაც შეიძლება გაცხოველებულ იქნეს საწარმოო თათბირების მუშაობა.

ამხ. ყურულაშვილის მოხსენების მოსმენის შემდეგ, პლენუმის სხდომა დაიხურა.

საქარ. უმაღლეს სასწავლებლებში 1926 წ. მიღების წესები

§ 1. საქ. უმ. სასწავლებლებში მიმდინარე 1926 წელში მიღების ჩასატარებლად განათლების სახალხო კომისარიატის პროფგანათლების მთავარმართველობასთან ეწყობა ცენტრალური მიმღები კომისია, ხოლო თვითეულ უმ. სასწავლებელთან—ადგილობრივი მიმღები კომისია.

§ 2. ახლად მისაღებ სტუდენტთა ადგილების საერთო რიცხვი განისაზღვრება:

ა) სახ. უნივერსიტეტში 500: ამ რაოდენობიდან პედაგოგიურ ფაკულტეტზე მიიღება 200, სოც. ეკონომიურზე—75, სამკურნალოზე—50, აგრონომიულზე—100 და პოლიტეხნიკ.—75. ადგილების საერთო რიცხვიდან (500) ეთმობა:

ა) მუშფაკებში კურსდამთავრებულებს—110.
ბ) 9 წლედში „ —290 (ავტონ. რესპ. გარეშე).
გ) სპეცტეხნიკუმებში „ —40
დ) წითელ ლაშქარს და ფლოტს 10
ე) ავტონომიურ რესპუბლიკებს—50 (აჭარისტანს—30, აფხაზეთს—15, სამხრეთ-ოსეთს—5).

ბ) ლენინის სახელობის პოლიტინსტიტუტში მიიღება სულ 150 კაცი, აქედან: სასოფ.-სამეურნეო ფაკულტეტზე—75 და საინჟინეროზე—75. ადგილების საერთო რიცხვიდან (150) ეთმობა:

ა) მუშფაკელებს—80;
ბ) 9 წლედში კურსდამთავრებულებს—30 (ავტონომ. რესპუბლიკების გარეშე).
გ) სპეცტეხნიკუმებს—5.
დ) წითელ ლაშქარს და ფლოტს—5.
ე) ავტონომიურ რესპუბლიკებს—30 (აჭარისტანს 10, აფხაზეთს 15, სამხრეთ-ოსეთს 5).

შენიშვნა: მუშფაკებში კურსდამთავრებულები უმ. სასწავლებლებში მიიღებიან უგამოცდელოთ და კლასიური გადარჩევის გარეშე.

§ 3. ყველა უმ. სასწავლებლებში შესვლის მსურველნი ჩაირიცხებიან მხოლოდ კლასობრივი გადარჩევის შემდეგ, რომელსაც აწარმოებს უმ. სასწავლ. მიმღები კომისია, და გამოცდების ჩაბარების შემდეგ იმ საგნებსა და პროგრამების ფარგლებში, რომელიც გამომუშავებულია პროფგანათლების მთავარმართველობის მიერ.

§ 4. განცხადებები (განცხადებაში უნდა აღინიშნოს ფაკულტეტი და დარგი, რომელზედაც მთხოვნელი შესვლას აპირებს) უნდა შეტანილ იქნას (შეიძლება გადაგზავნა ფოსტით, ხოლო დაზღვეული პაკეტით) უშუალოდ უმ. სასწავლებლის მიმღებ კომისიის სახელზე. განცხადებას თან დაერთვის დედანი და ორ-ორი პირი შემდეგი საბუთებისა:

ა(წლოვანების (შემსვლელი უნდა იყოს არა ნაკლები 17 წლისა),
ბ) განათლების;
გ) სოციალურ მდგომარეობის ადგილობრივ აღმასკომიდან (ქალაქში მცხოვრებთათვის სამაზრო აღმასკომიდან, სოფლებში—თემაღმასკომიდან), კავშირის წევრთათვის პროფკავშირთა საბჭოებისაგან.
დ) სწავლის ფულის რაოდენობის განსაზღვრისათვის (შემომსვლელის ან მისი მშობლების ჯამაგირის, გადასახადის რაოდენობის და სხვ. მოწმობა),
ე) ორი სათანადოთ შემოწმებული ფოტოგრაფიული სურათი.
ვ) ანკეტა (მიღებული ფორმით) სათანადოთ შემოწმებული.
თ) სამხ. ბეგარათან დამოკიდებულების მოწმობა.

§ 5. განცხადებები შეტანილ უნდა იქმნეს უმ. სასწავლებლის მიმღებ კომისიაში 1926 წ. 1-ლ აგვისტოდან იმავე აგვისტოს 25-დე. 25 აგვისტოს შემდეგ შემოსული განცხადება არ განიხილება.

§ 6. გამოცდები დაიწყება 1-ლ სექტემბერს და დამთავრდება 15 სექტემბერს. სტუდენტთა ჩარიცხვა მიმღებ კომისიის მიერ უნდა დამთავრდეს 20 სექტემბერს. სტუდენტთა პირობითი ჩარიცხვა, გამოცდების გადადება, ან განმეორებითი გამოცდა არავითარ შემთხვევაში არ დაიშვება.

§ 7. ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს ნორმას და იმ პროცენტს, რომელიც მიკუთვნილი აქვს ამა თუ იმ უმაღლეს სასწავლებელს და მის ფაკულტეტს. უკეთუ უმ. სასწავლებელში მისაღებ კანდიდატთა შორის სათანადოთ მომზადებულთა საკმაო რიცხვი არ აღმოჩნდა იმ შემთხვევაში შეიძლება მისაღებ სტუდენტთა ნორმის შემცირება.

§ 8. უმ. სასწავლებლებში ჩარიცხვასთან ერთად მუშაობას აწარმოებს საგადასახადო კომისია, რომელმაც უნდა განსაზღვროს არა უგვიანეს 1-ლ ოქტომბრისა სწავლის ფულის რაოდენობა იმ პირთათვის, რომლებსაც ეს გადასახადი უნდა შეეწეროს.

§ 9. სასწავლო წლის 1-ლ ნახევრის სწავლის ფული ახლად მიღებულ სტუდენტმა უნდა შეიტანოს 15 ოქტომბრამდე; ვინც ვადაზე არ შეიტანს სწავლის ფულს, იგი გამორიცხული იქნება უმ. სასწავლებლიდან და მის ნაცვლად მიიღება მორიგი კანდიდატი.

§ 10. ის პირნი, რომელნიც წარმატებით ჩააბარებენ გამოცდებს, ხოლო ადგილების სიმცირის გამო ვერ მოხვდებიან უმ. სასწავლებელში, შეიძლება გადარჩევით შეტანილ იქნენ მიმღებ კომისიის მიერ განსაკუთრებულ კანდიდატთა სიაში (ფაკულტეტებად), მხოლოდ ასეთ კანდიდატების საერთო რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს უმ. სასწავლებელში მისაღებ ნორმის (ფაკულ.) 10%-ს.

კანდიდატების სტუდენტებად გადარიცხვას აწარმოებს უმ. სასწავლებლის გამგეობა 15 ოქტომბრამდე ადგილების განთავისუფლების მიხედვით, (თუ ვინმე გავიდა, ან დროზე არ გამოცხადდა და ან სწავლის ფული ვადაზე არ შეიტანა), მიმღებ კომისიის მიერ შედგენილ საკანდიდატო სიაში ახალ კანდიდატის ჩამატება აკრძალულია. 15 ოქტომბრის შემდეგ კანდიდატთა სია უქმდება.

შენიშვნა: ის პირი, რომელიც კანდიდატთა სიაში არის შეტანილი, სტუდენტის არც ერთი უფლებით არ სარგებლობს, არავითარ საბუთებს უმ. სასწავლებელი მას არ აძლევს და არც არავითარი უპირატესობა ეძლევა მას უმ. სასწავლებელში შესასვლელად შემდეგ წელში. სტუდენტად გადარიცხული კანდიდატი მოვალეა დაუყოვნებლივ გადაიხადოს სწავლის ფული, თუ მას იგი შეწერილი აქვს.

§ 11. ის პირი, რომელიც ჩარიცხულია სტუდენტთა უმაღ. სასწავლებელში და 15 ოქტომბრამდე არ შეუდგება მეცადინეობას, ავტომატიურად გამორიცხება სასწავლებლიდან, და მის ადგილას მიიღება მორიგი კანდიდატი.

განათლ. სახ. კომისარის მოადგილე მ. ორახელაშვილი
პროფ. განათლ. მთავარმ. გამგე მ. მეძმარიაშვილი.
საქმეთა მმართველი ალ. მიქაბერიძე.
30 ივნისი, თბილისი.

:—:

გამოცდები უმაღ. სასწ. ყველა ფაკულტეტებზე შემსვლელთათვის იქნება მათემატიკაში (ალგებრა, გეომეტრია და ტრიგონომეტრია), ფიზიკა, საზოგადოებათა მეცნიერებაში, ქართულ წერაში, (უნივ.) და რუსულ წერაში (პოლიტეხნიკ.) პროგრამების მიღება შეიძლება უმაღლეს სასწ. კანცელარიაში. გამოცდები დაიწყება პირველს და დამთავრდება 15 სექტემბერს. განცხადებები შეტანილ ან დაზღვეულ პაკეტით გადაგზავნილ უნდა იქნეს უშუალოდ უმაღლეს სასწ. მიმღებ კომისიის სახელზე 1—25 აგვისტომდე.

და გადასვლას. მას არც შამფური სურდა დაეწვა და არც წვადი, არსებითად კი ერთიც დასწვა და მეორეც.

მეხუთე პერიოდი (1917-21 წლები). ამ პერიოდში მენშევიზმი მოექცა სახელმწიფოს სათავეში. იგი გაბატონებული პარტიაა. რას ემსახურება ამ პერიოდში მენშევიზმი? როგორი არის მისი სამოღვაწეო პროგრამა? თავისი თხზულების წინასიტყვაობაში ნ. ჟორდანია სწერს: „ვინც პირველ ტომის პირველ საპროგრამო წერილს (1894 წ.) შეადარებს უკანასკნელ ტომს (ე. ი. 1917-20 წლების ნაწერს), ის **აშკარად დაინახავს მათ შორის მჭიდრო კავშირს, დაინახავს 27 წლის წინედ დაწერილ გეგმის დღეს გამოცოცხლებას**"15). ჩვენ უკვე დავინახეთ, თუ როგორ პრინციპებზე იყო აგებული ეს პირველი საპროგრამო წერილი: მის საფუძვლებს შეადგენდა დემოკრატიზმი და ნაციონალიზმი, ეს პროგრამა პროგრესიული და სასარგებლო იყო 20 წლების ჩვენი სინამდვილისათვის, ხოლო გამოუსადეგარი დიდი რევოლიუციის პერიოდისათვის, ამიტომ მოხდა ის, რასაც მენშევიზმი არ მოელოდა: **მათი სამოღვაწეო პლატფორმა და სავალი გზა აშკარა კონტრ-რევოლიუციონური შინაარსით აივსო** (ს. დევდარიანის სიტყვები). ცხოვრების მოთხოვნილება და მენშევიკების სამოღვაწეო გეგმები ერთი მეორეს დაშორდენ. ცხოვრება წინ წავიდა. მისი სოციალური სტრუქტურა და ეკონომიური პირობები შეიცვალა. ახალი მოთხოვნილებები და ახალი მომენტები წარმოიშვენ. ძნელია გადაწყვეტა და მოწესრიგება, შესაძლებელი იყო მხოლოდ ახალი გზა, ახალი პლატფორმა. მენშევიკებმა ამ ცხოვრებას 27 წლის წინედ გაკეთებულ სათვალეებით შეხედეს და ახალი მოვლენების ძველ ფორმებში გამოხვევა მოინდომეს. მაგრამ ცხოვრებამ არ მიიღო ეს ფორმები, იგი უკუ აგდო და თავისი გზით იწყო დენა: მენშევიზმი დამარცხდა პოლიტიკურად, გაკოტრდა იდეოლოგიურად: წვრილი ბურჟუაზიული პროგრამა უკვე მიუღებელი შეიქნა ჩვენი ცხოვრებისათვის და მანაც (ცხოვრებამ) ახალი გზები მოსძებნა.

ეს პერიოდი ხასიათდება მენშევიზმის, წვრილი ბურჟუაზიის ლეგალურ კონტრ-რევოლიუციონურ მოღვაწეობით: როგორც საშინაო პოლიტიკაში, ისე საგარეო ორიენტაციაში მენშევიკები რევოლიუციის საწინააღმდეგო საქმეებს აკეთებდენ16).

მეექვსე პერიოდი. ეს ხანა იწყება 1921 წლიდან. ამ პერიოდში **მენშევიზმი ხასიათდება არალეგალური კონტრ-რევოლიუციონური მოღვაწეობით,** ამავე პერიოდში (განსაკუთრებით 1923 წლიდან) იწყება მათი რიგების დაშლის პროცესი: როგორც წვრილი ბურჟუაზია, ისე პროლეტარული ელემენტები სტოვებენ მათ ორგანიზაციას და საბჭოთა პლატფორმაზე გადმოდიან. ერთ დროს მთავარი პარტია, დღეს ერთობ ვიწრო კონტინგენტის არმიას განაგებს. ამ პერიოდში იწყება მენშევიკების იდეოლოგიის აღმოფხვრა წვრილბურჟუაზიულ მასსებში. არა მარტო მენშევიკების მთავრობა განიდევნა საქართველოდან, არამედ მენშევიკების იდეოლოგიაც იდევნება ჩვენი ქვეყნიდან. პროლეტარულმა პარტიამ მენშევიზმი დაამარცხა პოლიტიკურ ბრძოლაში: დღის მის უმთავრეს ამოცანას შეადგენს მენშევიზმი იდეოლოგიურადაც დაამარცხოს—ფართო დემოკრატიული მასის თვალში. ეს ჩვენ ნაწილობრივ შევძელით. დანარჩენი ნაწილი კი თავის განხორციელებას მოითხოვს.

დასკვნისათვის

მარქსიზმი გვასწავლის: ყოველი მოვლენა ისტორიულ ფარგლებში უნდა იქნეს ჩაყენებული, ყოველი საზოგადოებრივი ფაქტი ისტორიულ-კონკრეტიულ საზომით უნდა იქნას განხილული. თუ ამ საზომით მიუდგებით მენშევიკურ, ე. ი. წვრილბურჟუაზიულ მოძრაობას ჩვენში, მაშინ უნდა აღინიშნოს ორი დიდი ხანა მათ მოღვაწეობაში: 1917 წლის რევოლიუციამდე და ამ რევოლიუციის შემდეგ. პირველ ხანაში წვრილბურჟუაზიული მოძრაობა ჩვენში პროგრესიული და ჩვენი ცხოვრების წინ წამწევი ფაქტორი იყო. რაკი ჩვენი სამოქალაქო ცხოვრება მე-19 საუკუნის სამოციან წლებამდე ვერ განვითარდა საკმაოდ, ხოლო შემდეგში ბურჟუაზიული კლასი შესაფერისად ვერ ჩამოყალიბდა, ამიტომ ჩვენი ცხოვრების თავად-აზნაურულ-ფეოდალურ ურთიერთობის დარღვევა წილად ხვდა უმეტესად ქალაქის წვრილ ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს. ჩვენში ბურჟუაზიული კლასი კი არ დაუპირისპირდა ფეოდალურ არისტოკრატიას, არამედ ქალაქის წვრილი ბურჟუაზია და პროლეტარიატი. აქ იმალება ჩვენი ცხოვრების **ერთ-ერთი თავისებურობა.** ეს ელემენტები დაეჯახენ თავად-აზნაურულ წოდებას, ხოლო ბურჟუაზიისა და თავად-აზნაურობის შორის რადიკალური კონფლიქტისათვის ჩვენში ნიადაგი არ მომწიფებულა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ნაციონალ-დემოკრატიული პარტია ჩვენში არსებითად აერთებდა ამ ორივე კლასის სოციალურ ინტერესებს. ისტორიულ კონკრეტიულ პირობების გამო წვრილ ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს დასჭირდათ წოდებრივ ურთიერთობის დარღვევა და ჩვენი ცხოვრების ფორმების დემოკრატიულ შინაარსით ავსება. ამით აიხსნება ჩვენი წვრილი ბურჟუაზიის რადიკალიზმი და მისი აქტივობა, ამითვე აიხსნება ამ კლასის მოძრაობის პროგრესიულობა. ჩვენმა წვრილმა ბურჟუაზიამ ჩვენში საზოგადოებრივი ცხოვრების **დემოკრატიზაციის საქმე** ასე თუ ისე პირნათლად შეასრულა 1917 წლამდე: იგი ხან პროლეტარიატთან ერთად, ხან მარჯვნივ გადახრით, ხან მარცხნით,—მუდმივი მერყეობით და ქანაობით არღვევდა ჩვენი ცხოვრების ძველ ფონს და უდიდეს ისტორიულ მისიას ასრულებდა, ამიტომ იყო, რომ ქართველ პროლეტარიატს დასჭირდა მასთან თანამშრომლობა ერთ პარტიულ ჭერ ქვეშ. რასაკვირველია, ამ ისტორიულ მისიის აღსრულებაში პროლეტარიატის არსებობა და მისი რევოლიუციონური მოღვაწეობა გადამჭრელ როლს თამაშობდა.

1917 წლიდან სრულიად ახალი პერიოდი იწყება ჩვენი ხალხისა და საერთოდ მთელი მსოფლიოს ცხოვრებაში. დემოკრატიზმი უკვე მოძველდა, ცხოვრება ახალ ფორმებს ითხოვდა, ხოლო წვრილი ბურჟუაზია კი ძველი ხერხით და საშუალებით ცდილობდა მის მოწესრიგებას; მაგრამ ის, რაც პროგრესიული და წინ წამწევ ფაქტორს წარმოადგენდა გან საზღვრული პერიოდისათვის სრულიად მიუღებელი შეიქნა მეორე სოციალური პირობებისათვის. ჩვენი ცხოვრების ფორმები ითხოვენ არა დემოკრატიული შინაარსით, არამედ სოციალისტური პრინციპებით ავსებას. წვრილი დემოკრატიის სამოღვაწეო პროგრამა გაკოტრდა, მენშევიზმი დამარცხდა, იგი ლეგალურად და არალეგალურად კონტრ-რევოლიუციის საქმეს უწყობდა და უწყობს ხელს. მენშევიზმს სტოვებს ორი სოციალური ფენა: 1) პროლეტარული, 2) წვრილბურჟუაზიული. პირველი ჩვენს პარტიაში შემოდის, ხოლო მეორე ჩვენს პლატფორმაზე სდგება.

რა გარემოება იწვევს წვრილ ბურჟუაზიის ჩვენს მხარეზე გადმოსვლას? ფაქტია, რომ ეს ფენა მენშევიკების ბურჟუაზიულ ეკონომიურ პროგრამას უჭერდა მხარს. **ჩვენმა სამეურნეო აღმშენებლობამ, ჩვენმა კულტურულმა და საზოგადოებრივმა დაწინაურებამ სავსებით დაარწმუნა წვრილი ბურჟუაზია ბურჟუაზიული ეკონომიკის უვარგისობასა და საბჭოთა სისტემის ეკონომიკის სარგებლიანობაში.** ჩვენი პრაქტიკით, ჩვენი სამეურნეო კულტურულ და საზოგადოებრივი შემოქმედებით დავიპყარით ეს მასა. რამდენადაც მძლავრად ვსცემთ ჩვენს წერაქვს, ვამუშავებთ მანქანებს, წინ ვსწევთ ეკონომიურად ჩვენს ცხოვრებას, შეგვაქვს სწავლა-განათლება ხალხში, ვიბრძვით კულტურულ ფრონტზე — იმდენად ვანთავისუფლებთ წვრილ ბურჟუაზიულ მასას მენშევიზმი გავლენისაგან.

სიმონ ხუნდაძე.

---

15) ნ. ჟორდანია—ტ. I. გვ. 4.

16) ფ. მახარაძე „მენშევიკების დიქტატურა საქართველოში" და მ. ავალ „Путь грузинской Жиронды".

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაუდის ფაბრიკები

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიის უკანასკნელ სხდომაზე სხვა საკითხებთან ერთად მოსმენილი იქნა მოხსენება ქუთაისის და განჯის მაუდის ფაბრიკების გამოკვლევის შესახებ.

დამტკიცებულია, რომ გამოკვლეული ფაბრიკების მოწყობილობა გაცვეთილია 40—50 პროც-ით. მოწყობილობის ნაწილი მოითხოვს აუცილებელ რემონტს და რეკონსტრუქციას, ნაწილი კი სრულებით არ არის. მექანიკური საფეიქრო დაზგები მოძველებული კონსტრუქციისაა. მუშების უმეტესობა დაბალი კვალიფიკაციისაა და სწავლობს მოწაფეებთან ერთად. ტექნიკური ხელმძღვანელობა არ არის საკმარისი. საპასუხისმგებლო მუშაობა განყოფილებებში სწარმოებს მეთვალყურეობის გარეშე. არ არის აგრეთვე სპეციალური ტექნიკური ხელმძღვანელობა.

ქუთაისის ფაბრიკაში პირველი ხუთი თვის განმავლობაში დიდი მუშაობა იქნა შესრულებული განყოფილებების მოსაწყობად და დამაკმაყოფილებელი პროდუქციის გამოსაშვებად. ფაბრიკაში მუშაობა სწარმოებს ორ წყებად.

ფაბრიკის ადმინისტრაციის და საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ მიღებული ზომები დამყარებულია ფაბრიკის მიმდინარე მუშაობის გამოცდილებაზე.

ტრესტის მიერ ფაბრიკისათვის ნედლეული მასალის დამზადებას შემთხვევითი ხასიათი აქვს.

მასალას ყიდულობენ კერძო პირებისაგან. შესყიდული მატყლი ყოველთვის არ შეეფერება ფაბრიკის მოთხოვნილებას და უარყოფით გავლენას ახდენს პროდუქციის ღირსებაზე.

განჯის ფაბრიკა ვერ არის კარგ მდგომარეობაში, რადგან აქამდე გადაწყვეტილი არ არის წყლის მიწოდების საკითხი.

აზერბეიჯანის მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ წამოყენებული ღონისძიებები ეხება ფაბრიკის სხვადასხვაგვარ საჭიროებას, მაგრამ მათში საკმაო ნათლად არ არის აღნიშნული წარმოების ფინანსიური საჭიროებანი, რომლებიც პირველ რიგში უნდა იქნეს დაკმაყოფილებული.

ფაბრიკაში ადგილი ჰქონდა უყაირათობას, რომელიც გამოიხატა შემდეგ ორ ფაქტში: მოწესრიგებული არ არის მატერიალური და ფინანსიური ანგარიშწარმოება, როგორც საერთოდ მთელ ფაბრიკაში, ისე ცალკე განყოფილებებში; ფაბრიკა აშენებულია უგეგმოთ, აგებული შენობა არ აკმაყოფილებს მაუდის წარმოების ძირითად მოთხოვნილებებს.

ბუხჰალტერია ფაბრიკაში აწეწილ-დაწეწილია.

შეუძლებელია წარმოების მოგების ან ზარალის გამორკვევა.

აზერბეიჯანის საფეიქრო ტრესტმა გულგრილობა გამოიჩინა ფაბრიკის აშენების დროს; მან არ მიიღო სათანადო ზომები ფაბრიკისათვის ნედლი მასალის თავის დროზე მისაწოდებლათ.

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიის მიერ შემუშავებულია მთელი რიგი კონკრეტიული ღონისძიებანი, რომელთა გატარება ხელს შეუწყობს ყველა შენიშნული დეფექტების აღმოფხვრას.

ქუთაისის საბრეშუმო სადგური

1921 წლიდან ქუთაისის საბრეშუმო სადგური, როგორც საცდელ-საჩვენებელი დაწესებულება, გარდა თავისი პირდაპირი ამოცანების შესრულებისა, იძულებული იყო მონაწილეობა მიეღო აბრეშუმის პარკის დამზადებასა და რეალიზაციაში.

რაც შეეხება სადგურისათვის ფინანსების მიწოდებას, უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში ის იმყოფება სამეურნეო ანგარიშზე; უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში კი სადგური აღარ იღებს პროცენტულ ანარიცხებს აბრეშუმის პარკის ოპერაციებიდან, რის გამო იგი დიდ ფინანსიურ დაბრკოლებას განიცდის.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოახდინა აღნიშნული სადგურის მუშაობის გამოკვლევა. გამოირკვა, რომ უკანასკნელ დროის განმავლობაში მთელ რიგ მიზეზების გამო სადგური იძულებულია გადაუხვიოს თავის პირდაპირ დანიშნულებას.

თანხების გამონახვის აუცილებლობამ ქუთაისის და თბილისის საბრეშუმო სადგური ჩააყენა ისეთ მდგომარეობაში, რომ ისინი მოწყვეტილი აღმოჩნდენ ერთიმეორისგან და ეხლა მათ შორის არ არის კავშირი.

თბილისის საბრეშუმო სადგური, როგორც ცენტრალური სამეცნიერო დაწესებულება, უნდა ახდენდეს გამოკვლევებს და ცდებს ახალი მიღწევებისათვის მეაბრეშუმეობის სფეროში, რაც მეტად ესაჭიროება საქართველოს.

ქუთაისის სადგური კი, როგორც თბილისის სადგურის საცდელ-საჩვენებელი განყოფილება, უნდა ასრულებდეს ამ უკანასკნელის დავალებებს და მოსახლეობაში უნდა შექონდეს მიღწეული შედეგები. იგი კი, ვინაიდან მას არ ჰქონდა საკმაო თანხები და იძულებული იყო მიეღო ზომები ასეთის გამოსანახავად, შეუდგა აბრეშუმის თესლის დამზადებას უფრო მეტის რაოდენობით, ვიდრე ეს შეეფერება საცდელ-საჩვენებელ დაწესებულებას. ყველა ქვეყნებში, სადაც მეაბრეშუმეობას აქვს ეკონომიური მნიშვნელობა, საბრეშუმო სადგურებს ინახავს მთლიანად სახელმწიფო, რაც საშუალებას აძლევს მათ დამშვიდებით იმუშაონ და თვალსაჩინო დახმარება გაუწიონ მეაბრეშუმეობას.

საჭიროა, რომ ჩვენი საბრეშუმო სადგურებიც სახელმწიფო კმაყოფაზე იქნეს გადაყვანილი და მათ დროზე მიეცეს საჭირო თანხები. იმ დრომდე, სანამ ეს ასე არ მოხდება, სადგურებს საშუალება არ ექნებათ საკმარისად გაამართლონ თავისი დანიშნულება და იძულებული იქნებიან იმუშაონ შეძლებისდაგვარად, რასაც ჩვენ ვამჩნევთ ამჟამად.

საქართველოს საბრეშუმო სადგურების მუშაობის გაცხოველების მიზნით, მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ დაადგინა, რომ აუცილებლად იქნეს ცნობილი ორივე სადგურის სახელმწიფო კმაყოფაზე გადაყვანა 126—27 საბიუჯეტო წლიდან.

საბინაო აღმშენებლობა

ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე ახლო მომავალში დამთავრდება 10 ორსართულიანი და ერთი ოთხსართულიანი სახლის აგება. სახლები დაეთმობათ უბინაოდ მყოფ რკინისგზელებს. თვითეულ ორსართულიან სახლში იქნება 8 ბინა, ხოლო ოთხსართულიანში 32 ბინა.

თბილისში შენდება 3 სახლი. განჯაში—2, ბათომში, ბალაჯარაში, ბაქოში და ლენინკანში—თითო სახლი. ოთხსართულიანი სახლი შენდება ბაქოში.

ოქტომბერში 500 რკინისგზელის ოჯახს საშუალება ექნება დასახლდეს მათთვის სპეციალურად აგებულ ბინებში.

გლეხკომების ქონება

საქართველოს გლეხთა დამხმარე კომიტეტების ცეკას ცნობებით, გლეხკომთა ფონდში მათი არსებობის დღიდან უკანასკნელ დრომდე შემოსულა 362 მანეთი ფულად და 144.172 მანეთის მარცვლეული პროდუქტების სახით. გარდა ამისა ფონდში შესულა 4.069 ფუთი თივა, 9,869 ვედრო ღვინო და სხვა.

სულ საქართველოს გლეხკომთა ფონდის შემოსავალი უკანასკნელ დრომდე უდრის—645.720 მანეთს, გლეხკომების ფონდები შესდგა საწევრო ანაბარებისა, კონფისკაციაქმნილი და უმემკვიდროდ გადასული პირების ქონებიდგან, მიწის საზოგადოებრივი დამუშავებიდგან და გლეხკომის აწარმოებათა და შემოსავლიდგან. შემოსავლიან წარმოებათა რიცხვი, რომელიც გლეხკომის განკარგულებაში იმყოფებოდა, უდრიდა—250.

ამ ჟამად გლეხკომების სავაჭრო წარმოებათა ლიკვიდაციის შემდეგ, მათი რიცხვი 150 არ აღემატება.

საზოგადო დამუშავებისათვის გლეხკომებს გადაცემული ჰქონდათ 2.000 დესეტინა საზოგადო მიწა. ამ ჟამად გლეხკომების მიწის სივრცე უდრის—200 დესეტ.

გლეხკომების განკარგულებაში არის შემდეგი სასოფლო-სამეურნეო იარაღები: სათესი სანაივებელი, საცეხვი, მარცვლის საწმენდი იარაღები და აგრეთვე 3 ტრაქტორი. გლეხთა კომიტეტის ცეკას ცნობით ამ ჟამად საბჭოშია 1705 გლეხკომი. აქედან სასოფლო 1.255, ათემო 334, სამაზრო 15 და 1 ცენტრალური.

აფხაზეთში მოწყობილია 25 სარაიონო გლეხკომი, 5 სამაზრო და 1 ცენტრალური. აჭარისტანში 18 სარაიონო, 5 სამაზრო და1 ცენტრალური.

კოოპერაციის დღისათვის

ქუთაისის მუშკოოპმა კოოპერაციის საერთაშორისო დღისათვის მოიწვია მომღერლები—დები თარხნიშვილები თავის გუნდით.

ქუთაისის მუშკოოპი 3 ივლისს ქალაქის თეატრში მართავს უფასო კონცერტს თავის წევრებისათვის.

საგარეო ვაჭრობა

ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობას 8 თვის განმავლობაში გაუზიდავს უცხოეთის ბაზარზე (ევროპასა და ამერიკაში) 3.800.000 საქონელი 1924—25 წლის განმავლობაში კი გაზიდული ყოფილა ორივე კვარტალში სულ 4.090.000 მანეთის საქონელი. საექსპორტო გეგმა საქონლის მეტი წილის მიმართ წარმატებით სრულდება. 8 თვის განმავლობაში შესრულებულია წლიური საექსპორტო პროგრამის 60,3% საექსპორტოდ დარჩენილი საქონელი განზრახულია გაზიდულ იქნეს საბიუჯეტო წლის დამლევამდე. გასული 8 თვის განმავლობაში ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობისაგან დამზადებულია 480.300.000 მანეთის საექსპორტო საქონელი.

ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის სავაჭრო ოპერაციები ოსმალეთთან ხმელეთის საზღვრებზე, საგრძნობლად გაიზარდენ, მიუხედავად მრავალ დაბრკოლებებისა, რომელიც საიმპორტო ოპერაციებს ხდევს. ხმელეთის საზღვრით ოსმალეთიდან შემოტანილი ყოფილა 8 თვის განმავლობაში 480.300 მანეთის საქონელი. 6 თვის განმავლობაში გატანილია 607.300 მანეთის საქონელი. შემოტანილი იყო 70.600 მან. საქონელი.

რკინისგზებზე

შავი ზღვის რკინის გზა

შუა ივნისში გაიხსნა სამგზავრო და საქონლის მატარებლების რეგულიარული მიმოსვლა შავი ზღვის რკინის გზის სამხრეთ ხაზზე ახალ-სენაკიდან — ზუგდიდამდე. მიმოსვლის დაწყებამ მთელი რაიონი გამოაცოცხლა.

მატარებლის დაზიანება

29 ივნისს ყიზილ-ბურან-სიაზანის შორის (აზერბეიჯანის ხაზზეა) დაზიანდა მატ. № 222-ს ერთი ვაგონი, რომელიც გადავარდა ლიანდაგიდან. ამ შემთხვევის გამო—დაიკეტა 15 საათით, რამაც გამოიწვია მთელ რიგ მატარებლების დაკავება სხვადასხვა სადგურებზე.

მაგალითად, 30 ივნისს ამ მიზეზის გამო, დაკავებულ იქნა საფოსტო მატ. № 4 ყიზილ-ბურანში 1 სათ. და 5 წუთ., მატ. № 7—7საათით და 30 წუთით და მატ. № 222—14 საათით და 30 წუთით. სად. დივიჩში მატ. № 10 1 საათით და 30 წუთით და მატ. № 22—2 საათით და 40 წუთით, სად. ზარატში— მატ. № 229—4 საათით და სად. სიაზანში მატ. № 11 7 საათით და აგრეთვე მატ. № 225-ს

ნაშუადღევის 5 საათზე და 50 წუთზე ბალაჯარიდან შემთხვევის ადგილზე გაიგზავნა დამხმარე მატარებელი და მოძრაობა აღდგენილ იქნა.

ემიგრანტების დაბრუნება

საქართველოს ცაკის დადგენილებით, საქართველოში დაბრუნების უფლება მიეცა შემდეგ პირებს:

1. **ანდრონიკაშვილი ადონიკ** (დაამთავრა პრაღის უნივერსიტეტი), 2. **მომცემლიძე რაფიელ** (დაამთავრა პრაღის უნივერსიტეტი), 3. **გვილავა ევსიხი** (ეკონომისტი, დაამთავრა პრაღის უნივ.),4. **ხაბურძანია ალექსანდრე** (აგრონომი, დაამთავრა პრაღის უნივერსიტეტი), 5. **გაბუნია იოსებ** (დაამთავრა პრაღის უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტი), 6) **ლოლუა ვახტანგ** (ეკონომისტი, დაამთავრა ერლანგენის უნივერსიტეტი), 7. **ქადაგიძე ნიკოლოზ** (ეკონომისტი, დაამთავრა ერლანგენის უნივერსიტეტი), 8. **ნინუა სიმონ** (აგრონომი, დაამთავრა გეტინგენის უნივერსიტეტი), 9. **ურუშაძე ირაკლი** (ეკონომისტი, დაამთავრა ბერლინის უნივერსიტეტი), 10. **იმნაიშვილი მოსე** (ეკონომისტი, დაამთავრა ბერლინის უნივერსიტეტი), 11. **იმნაიშვილი ტერეზა** (დაამთავრა ბერლინის უნივერსიტეტი), 12. **აროშიძე რაჟდენ** (დაამთავრა ბერლინის უნივერსიტეტი) და 13. **ჯაფარიძე შალვა** (დაამთავრა ბერლინის უნივერსიტეტი).

ქრონიკა

მისალოცი დეპეშა

ა.-კ. ცაკმა შემდეგი მისალოცი დეპეშა მიიღო ცალკე საკავალერიო ბრიგადის კონფერენციისაგან: № ცხენოსან ჯართან ნაწილების მეორე კონფერენცია მხურვალე სალამს უძღვნის ამ.-კავკ. სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის ცაკს.

მებრძოლი ცხენოსნები დარწმუნებულნი არიან, რომ ამ.-კავკ. ცაკის ხელმძღვანელობით კიდევ უფრო განმტკიცდება ეროვნული მშვიდობიანობა, რომელიც საფუძველია ამ.-კავკასიის ხალხთა ეკონომიურ, კულტურულ და პოლიტიკურ ზრდისა.

თავის მხრით წითელი ცხენოსანნი აცხადებენ, რომ მათ გადაწყვეტილი აქვთ მტკიცედ იდგენ ამიერ-კავკასიის ერთა მშვიდობიან შრომის დაცვის სადარაჯოზე.

გაუმარჯოს ამიერ კავკასიის ხალხთა ერთობას.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკას.

ქალაქის კომენდანტისაგან

ქალაქის კომენდანტი აცხადებს თბ. მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ 5—20 ივლისამდე მლაშე ტბების რაიონში (მეორე ტბის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილი), სოფელ სლვანსკოეს მიდამოებში ყოველ დღე ააფეთქებენ უვარგის ყუმბარებს.

თბ. აღმასკომში

— **ლომბარდის მაღაზიები** № 1 და 2, აღმასკომის განკარგულებით იხურება.

— **ახლო მომავალში** შეუდგებიან ჯვარის მონასტრის აღდგენას მცხეთის ახლოს.

— **საბურთალოს ჭაობების ამოშრობას**, აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილება შეუდგება ახლო მომავალში.

სამეურნეო დაწესებულებებში

— **ბამბის დამზადება.** მიმდინარე წელში საქართველოში დამზადდა 14.925 ფუთი ბამბა.

— **თამბაქო.** წელს განზრახულია ბამბის მეურნეობის რაიონებში დამზადდეს 532 ათასი ფუთი თამბაქო.

— **შაქრის ტრესტის** თბ. განყოფილება წელს შემოიტანს 68 პროცენტით მეტ შაქარს, შარშანდელთან შედარებით.

— **მომხმარებელ კოოპერაციის** წევრთა რიცხვი (აფხაზეთის გამოკლებით) ამ ბოლო 2 წელში 70 ათასიდან გაიზარდა 170 ათასამდე.

კრებები და მოხსენებები

— **მოხსენება ჭლექის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.** მოსკოვიდან ახლად დაბრუნებული ჯანსაღკომის ტუბსექციის გამგე ექ. ყორჩიბაში ახლო ხანში წაიკითხავს მოხსენებას რუსეთში ჭლექის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

შემთხვევები

თვითდაჭრა

სად. ავჭალაში, ადგილობრივ თემის მილიციის საქმის მწარმოებელს გიორგი ბუდურს, როდესაც ვაზნებს იღებდა, თოფი მოულოდნელად გაუვარდა,—ტყვია ფეხში მოხვდა და მძიმედ დაიჭრა.

მუშკოოპის ცენტრალურ საწყობის გაქურდვა

გუშინ დილით სამუშაოზე მისულმა მუშკოოპის ცენტრალურ საწყობის თანამშრომლებმა აღმოაჩინეს დიდი რაოდენობის, მეტად ფასიან კაკაო-ზეთის დაკარგვა. ეს საწყობი კამოს და ყორესის ქუჩის კუთხეში იმყოფება.

სისხლის სამართლის მილიციის ცნობით, საწყობისათვის ბოროტგამზრახველებს გამოუნგრევიათ კედლები შემდეგ ნაირად: ჯერ ისინი შესულან საბჭოთა მუშაკების კლუბის ახლოს მდებარე ამერიკულ სასადილოს ეზოში და რიგ-რიგობით გამოუნგრევიათ ორი კედელი; მეორე კედლის გამონგრეულ არეს დიამეტრი უდრის არშინ ნახევარს.

ბოროტგამზრახველებს გამოუტანიათ საწყობიდან შვიდნახევარი ფუთი კაკაო-ზეთი, რომლის ღირებულება 7.500 მან. უდრის.

ბოროტმოქმედნი მიიმალენ.

— **დაჭრა.** ლორის ქ. № 3, იოსებ კუზმინმა ცულით დასჭრა თავში ნიკუტა კოვალენკო. დამნაშავე დაპატიმრებულია.

— **ქურდი სტუმარი.** 30 ივ. რიყის ქ. № 40 ვასილ ვართანოვს მასთან სტუმრათ მოსულმა ანნა აბციანმა მოპარა 9 მან.

— **გამოტყუება.** 30 ივ. უეზლიარის ქ. № 3 ტანტეჟიანცის ბავშვებს უფროსების შინ არ ყოფნის დროს უცნობმა პირმა გამოტყუა ხელთსაკერავი მანქანა და მიიმალა.

— **ქურდობა.** მადათოვის ქ. № 7 გაქურდეს ექიმ ოგანეზ მელიქ ნუმაროვის ბინა.

— ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში გაქურდეს ნინა კაჭარავას ოთახი.

—ობსერვატორიის ქ. № 8 გაქურდეს სტეფანე ვართანოვის ბინა.

— თუმანოვის შესახვევი № 22, გაქურდეს ელენა ყვავილაშვილის ბინა.

—ანდრიევის ქ. № 110 გაქურდეს მირზა ბაღდასაროვის ბინა.

ხელოვნება

წლიური გამოცდა სახელმწიფო კონსერვატორიაში

სახელმწიფო კონსერვატორიაში დამთავრდა გამოსაშვები გამოცდები. კურსი დაამთავრეს ფორტეპიანოს, სიმღერის და კომპოზიციის კლასის მოწაფეებმა. ფორტეპიანოს კლასით პროფესორ ტრუსკოვსკისთან კურსი დაამთავრა ზომერმა, პროფესორ ტერ-სტეპანოვსთან—კაზარიანმა, ტარ-სარქისოვმა და პიანისტ-ქალმა ვაჩნაძემ. დიდ ნიჭი და დამთავრებული მომზადება აღმოაჩნდათ ზომერს, ტერ-სარქისოვს და კაზარიანს, გამოცდის პროგრამაში შედიოდა ბახის, მოცარტის, ბეთჰოვენის, შუმანის, შოპენის და ლისტის ნაწარმოებნი და გარდა ამისა თვითეულმა კურსდამთავრებულმა შეასრულა სპეციალური საფორტეპიანო კონცერტი. სუსტად არის წარმოდგენილი სკრიპკის კლასი (პროფესორ ვილშაუს და ლედნიკის). დაამთავრა ფიდელმანმა, ვახტანგ ნეიმანმა და შიუკაშვილმა. ყველა სკრიპკაზე დამკვრელებს აღმოაჩნდათ კარგი მუსიკალური ნიჭი სკრიპკის ლიტერატურის სერიოზული შესრულების დროს.

პროფესორ ზელენოს და სიმღერის მასწავლებლის მიხალსკაიას ვოკალური კლასი დაამთავრეს—მირზაშვილმა. მურთაზაშვილმა, ნიკიტინამ, ჩირკოვამ, ალექსანდროვამ, მანდინოვამ, გრიგორიანმა, რომელთაც კარგი ვოკალური ნიჭი აღმოაჩნდათ. სცენაზე მუშაობისათვის სავსებით მომზადებული არიან მომღერლები: ოგანბეკოვი, შეინმანი, გედალინი და ვოინერი. ექსტერნათ დაამთავრეს: ფორტეპიანოს კლასით—დიორმანმა (ცატუროვას კლასი) და სიმღერის კლასით გოგლიჩიძემ და ქრელაშვილმა; ორივეს ახასიათებს ლამაზი ხმა და მუსიკალობა. კომპოზიციის კლასით დაამთავრეს ბალანჩივაძემ, სულხანიშვილმა, ჩიგოგიძემ და კარტოზიამ. უკანასკნელი კარგი ლირიული ტენორია.

აქტის დროს კონსერვატორიის რექტორმა არაყიშვილმა აუდიტორიის წინაშე წაიკითხა ანგარიში კონსერვატორიის წლიურ მუშაობის შესახებ; შემდეგ შესდგა კონცერტი, რომელზედაც გამოვიდნენ განსაკუთრებით დაწინაურებული მოწაფეები, რომელთაც მიღებული აქვთ თავისუფალ მომღერლის სახელწოდება. ვეტანის სკრიპკის კონცერტი შეასრულა შიუკაშვილმა, რომელმაც კონცერტის მშვენიერი შესრულებით ცხადჰყო, რომ ის დიდი მუსიკალური ნიჭის პატრონია.

პ. ბ.

ხელოვნების ქრონიკა

„მნათობი“ № 5—6

გამოვიდა სალიტერ. ჟურნ. „მნათობი“-ს № 5—6. (მაისი - ივნისი).

ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი ნაწარმოებნი: **ვასო გორგაძე**—„ძირულის პირას“, **ი. მოსაშვილი**—„საუკუნის გადასახადზე“, **ვ. გაბესკირია**—„სიტყვა გემიდან“, **კ. ლორთქიფანიძე**—„მე ისევ ვდგევარ სადარაჯოზე“. პროზა: **გრიგოლ რობაქიძე**: „გველის პერანგი“ (დასასრული). **ნ. შიუკაშვილი**: „მთის ზღაპარი“ (პიესა 3 მოქმ.) **მალაქიაშვილი** —„სამნი“ (გაგრძელება) **უ. სინკლერი** „მეფე ნახშირი“—თარგ. კ. ჭიჭინაძის; **ყარიბი**—„რევოლიუცია და ხელოვნება“, **პროფ. ფარმაკოვსკი**: „თანამედროვე ქართველი მხატვარი“. **ს. გორგაძე**: „ახალი სალიტერატურო ქართულის ისტორიიდან“. **ს. ხუნდაძე**—„ეროვნული პრობლემის გარშემო“ და ბიბლიოგრაფია. ჟურნალი სუფთადაა გამოცემული

— **საზღვარგარეთ გაგზავნა.** სახ. კონსერვატორია საზღვარგარეთ თავის ხარჯზე აგზავნის კონსერვატორიის ახლად კურს დამთავრებულებს ვახტანგ ნეიმანს და ლევან შიუკაშვილს.

— **ანდრეევის სახელობის** სახალხო საკრავებზე დამკვრელთა კონცერტი გაიმართება ახლო ხანში.

— **„შუქი სიბნელეში“.** კინო „ეთერში“ დაიწყო სურათის „შუქი სიბნელეში“ ჩვენება. მონაწილეობს მერი პიკფორდი.

სასამართლო

სასამართლოს სესიის მუშაობა

დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესია 3 ივლისს მიემგზავრება სენაკის და შორაპნის მაზრაში. სესიის მიერ გასარჩევად დანიშნულია 11 საქმე. უმეტესი ნაწილი საქმეებისა გაფლანგვა და მკვლელობაა.

5 ივლისს სესია გაემგზავრება აგრეთვე სვანეთში, სადაც გასარჩევად დანიშნულია 19 საქმე.

ზ. ორჯონიკიძის და სხვათა საქმე

დღეს, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **ბერიშვილის** თავმჯდომარეობით დაიწყება ზაქარია **ორჯონიკიძის**, თადეოზ **ქამალოვის** და გასპარ **იაროვის** საქმის გარჩევა. ორჯონიკიძეს სხვათა შორის ბრალდება მთელი რიგი ყალბი საბუთების შედგენა. ბრალდებულის მიერ მითვისებულია 2.221 მან. და 50 კაპ.

ქამალოვს და იაროვს ბრალდებათ ზ. ორჯონიკიძის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებაში მონაწილეობის მიღება.

კუციძის საქმე

მსჯავრდადებულმა კონსტანტინე **კუციძემ**, რომელსაც აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს მიერ 10.296 მან. გაფლანგვისათვის და თამბაქოს ტრესტისათვის 10.250 მან. ზარალის მიყენებისათვის მისჯილი აქვს დახვრეტა, საკასაციო საჩივარი შეიტანა უზენაეს სასამართლოში.

გამფლანგველი

ალექსანდრე **გაჩეჩილაძემ**, რომელსაც აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ 1570 მან. გაფლანგვისათვის მიუსაჯა რვა წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით, საკასაციო საჩივარი შეიტანა უზენაეს სასამართლოში.

საქმე გაირჩევა 5 ივლისს.

ხულიგნობისათვის

სახალხო სასამართლოს მორიგმა კამერამ მიხეილ ნიკოლოზის ძე **კობესაშვილს** მიუსაჯა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

კობესაშვილს ბრალათ ედებოდა სიმთვრალის დროს მოქალაქის შეურაცხყოფა და მილიციელისათვის წინააღმდეგობის გაწევა.

სიცხე თბილისში

რესპუბლიკის ობსერვატორიის ცნობით მთელ საქართველოში ამჟამად დიდი სიცხეებია. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ სამხრეთიდან ჰაერის დაბალი წოლაა და ვითარდება ტროპიკული ქარები. რუსეთისა და ევროპის შესახებ ობსერვატორიას ეს რამოდენიმე დღეა არ მიუღია ცნობები, ვინაიდან სხვადასხვა მიზეზთა გამო ობსერვატორიის რადიო ველარ მუშაობს საჭირო სიძლიერით.

თბილისში გუშინ, დღის პირველ საათზე ჩრდილში იყო—29,6 გრადუსი სიცხე ცელსიუსით.

მიწის მოშიშვლებულ ზედაპირზე სიცხის რაოდენობა აღწევდა გუშინ—62 გრადუსს ცელსიუსით.

აგრილებას არ უნდა ველოდოთ, ხანამ სამხრეთის ცხელი ციკლონი არ გადაივლის, რასაც, ყოველშემთხვევაში, ამ დღეებში ადგილი არ ექნება.

შინამრეწველობა

საქართველოს უმაღლეს ეკონომიურმა საბჭომ მიიღო დებულება ეკონომიურ საბჭოსთან შინამრეწველობის საბჭოს დაარსების შესახებ.

საბჭოს მიზანია იზრუნოს, ხელმძღვანელობა გაუწიოს და დახმარება აღმოუჩინოს შინამრეწველობის და ხელოსნობის საქმეს ჩვენში.

საბჭომ უნდა მოაწესრიგოს სახელმწიფო ვაჭრობა-მრეწველობის და შინამრეწველობის ურთიერთ დამოკიდებულების საკითხი;

მიაწოდოს ნედლი მასალა და ხელსაწყოები შინამრეწველებს და აგრეთვე იზრუნოს შინამრეწველთა ნაწარმოებების გასასაღებლად. მანვე უნდა გამოიმუშაოს პრაქტიკული ღონისძიებები შინამრეწველობის დარგში და შეუთანხმოს იგი დაინტერესებულ ორგანიზაციებს; მოიწვევს თათბირებს შინამრეწველობის საკითხების გასარჩევად. სახელმწიფო წარმოებებთან საბჭოს ექნება უშუალო დამოკიდებულება.

საბჭოს შემადგენლობაში შედიან წარმომადგენლები საქ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოდან, საგეგმო კომისიიდან. მიწათმოქმედების კომისარიატიდან, ცეკავშირიდან, სამრეწველო კოოპერაციის საორგანიზაციო ბიუროდან, კოოპერაციიდან, შინამრეწველთა და ხელოსანთა კავშირიდან, სახელმწიფო ბანკიდან, სასოფლო-სამეურნეო ბანკიდან, სახელმწიფო ტრესტიდან, სამთო-ქიმიურ კომბინატიდან და აგრეთვე ავტონომიურ რესპუბლიკების დაინტერესებულ ორგანიზაციებიდან.

ახალი აპარატი

შრომის პირობების სამეცნიერო გამოკვლევების მოსახდენად, საქ. შრ. სახ. კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილების სანიტარულმა სექციამ მიიღო ახალი აპარატი, რომელიც გამოგონებულია ინგლისელ ფიზიოლოგიის პროფ. **ხილლის** მიერ.

ამ აპარატს ეწოდება კატატერმომეტრი. იგი იხმარება: ჰაერის ტემპერატურის, ნამიანობის და ჰაერის მოძრაობის შეერთებულ გავლენის გამოსაკვლევად.

შრომის კომისარიატის ცნობით, ამ აპარატს უდიდესი მნიშვნელობა აქვს შრომის პირობების გამოკვლევების და შესწავლის დარგში.

შრომის კომისარიატი ამ აპარატს გამოიყენებს ლითონის მრეწველობაში ცხელ სამუშაო ადგილების და ჭიათურის მაღაროების შრომის პირობების გამოსაკვლევად.

წყლის ანალიზი

სანიტარულ-ჰიგიენური ინსტიტუტის ბაქტერიოლოგიური განყოფილება აწარმოებს თბილისის წყალსადენის წყალის ყოველდღიურ ანალიზს.

ანალიზისათვის წყალის ნიმუშებს იღებენ სხვადასხვა ადგილას და შედეგები ეგზავნება წყალსადენის სამმართველოს. თუ წყალში შემჩნეულ იქნა რაიმე მავნე ნივთიერებანი, წყალსადენი არკვევს ამის მიზეზს ნიმუშის ამოღების ადგილის მიხედვით და ღებულობს ზომებს წყლის გასაჯანსაღებლად.

ჯერ-ჯერობით არც წყალსადენისა და არც მტკვრის წყალში არაა შემჩნეული ეპიდემიების გამავრცელებელი რაიმე მიკრობები; მათი აღმოჩენისთანავე მოქალაქეებს ეცნობებათ გაზეთების საშუალებით.

საქონლის ჭირი

შორაპნის მაზრიდან დაბრუნდა მიწათმოქმედების კომისარიატის მიერ იქ გაგზავნილი ბეითალი ამხ. მირიანაშვილი, რომელსაც დავალებული ჰქონდა დასახელებულ მაზრაში საქონლის ჭირის მდგომარეობის გამოკვლევა და ჭირთან ბრძოლის საქმის ადგილობრივ ხელმძღვანელობა. მისი განცხადებით, შორაპნის მაზრაში საქონლის ჭირი შეუტანია საქონლის კერძო ვაჭარს მოქ. ჯიხაძეს ადერბეიჯანიდან შემორეკილი საქონლით, რომელიც მას მიუყიდია წირქვლის თემის სოფ. ჯაჯანიძეანთ-კარის და ლიჩის თემის სოფ. ჩალუნის მცხოვრებლებზე.

ადგილობრივ სავეტერინარო ზედამხედველობის მიერ თავიდანვე მიღებულ ენერგიულ ზომების და ცენტრიდან გაგზავნილ ინსტრუქტორის ხელმძღვანელობის შედეგად, საქონლის ჭირის გავრცელება შეჩერდა, ეპიზოოტია შენელდა.

ამჟამად შორაპნის მაზრაში სულ ითვლება ოთხი დაჭირიანებული პუნქტი: ლიჩის თემში—სოფელი ჩალუნი და ზემო-ლიჩი, წირქვლის თემში—სოფ. ჯაჯანიძეანთ-კარი და კორბოულის თემში—სოფ. ნიგვზარა. საქონელი ყველგან აიცრა ჭირის საწინააღმდეგო შრატით.

მიწათმოწყობა

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიწათმოწყობის განყოფილების მიერ გაგზავნილმა რევიზორებმა დაამთავრეს მიწათმომწყობ პარტიების რევიზია გორის, სიღნაღის და თელავის მაზრებში.

მიწათმოწყობ განყოფილებას უკვე წარმოედგინა სარევიზიო მოხსენებები გორის და სიღნაღის მაზრების შესახებ.

მოხსენებების თანახმად, დასახელებულ მაზრებში გეგმით გათვალისწინებული სამუშაო სრულდება.

სარევიზიო აქტები ადასტურებენ მიწისმზომელთა დიდს მუყაითობას; არც ადგილობრივ ხელისუფლებას, არც მოსახლეობას არსად არ განუცხადებიათ რაიმე საჩივარი მიწისმზომელთა საქმიანობაზე.

დოლოაურის ველი

წყალთა მეურნეობის სამმართველო ამ დღეებში აგზავნის ტექნიკოსების პარტიას დოლოაურის ველის მოსარწყავათ.

დოლოაურის ველი მდებარეობს გორის მაზრაში სად. ახალ-დაბას რაიონში; მორწყვის შემდეგ სათესი მოედანი იქ იქნება რამოდენიმე ათეული ათასი დესეტინა.

მუშაობის მწარმოებლათ დაინიშნა ინჟ. გეგეჭკორი.

მეცნიერება და ტექნიკა

1925 წ. სამეცნიერო მიღწევები

ფიზიკა

1925 წ. ფიზიკისათვის არ მოუტანია არაფერი ახალი რამ, რითაც შეიძლებოდა ამ წელიწადის აღნიშვნა კულტურის მსოფლიო ისტორიაში. ასეთი აღმოჩენები იშვიათია, მომავალში მათი რიცხვი კიდევ უფრო შემცირდება, მაგრამ სამაგიეროთ ყოველწლიურათ იზრდება რიცხვი და უმჯობესდება ღირსება იმ სამეცნიერო შრომების, რომლებიც ასეთ—„ეპოქის შემქნელ“ აღმოჩენებიდან გამომდინარეობენ.

1925 წ. ყველაზე საინტერესო მოვლენას ფიზიკის დარგში წარმოადგენდენ **მაიკელზონის** და **გელის** ცდები, რომლებმაც დაამტკიცეს, რომ დედამიწის ბრუნვა შესამჩნევის სიმძლავრით არ იტაცებს ეთერს, როგორც ეს ეინშტეინის თეორიიდან გამომდინარეობს. მაგრამ იმავე წელს **მილლერმა**, რომელმაც იგივე ცდები მოახდინა არა მარტო დაბლობში, როგორც მაიკელზონმა და გელმა, არამედ მთის მწვერვალზეც, დაადასტურა მათი ცდის შედეგები დაბლობში და სრულიად საწინააღმდეგო შედეგები მიიღო მთის მწვერვალზე დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული სხვადასხვა გამოსხივებათა შესწავლას.

ამ დარგში უნდა აღინიშნოს **გლაგოლევა-არკადიევას** მიღწევები. ეს მეცნიერი წარმატებით განაგრძობდა ცდებს მცირე სიგრძის მქონე ელექტრო-ტალღების თეთრ სინათლეზე. მცირე სიგრძის ტალღებით წარმატებით სარგებლობს რადიო-ტელეგრაფია და რადიო-ტელეფონია ამ მხრივ განსაცვიფრებელი შედეგებია.

პროფ. მაქსიმოვის აღმოჩენა

ლენინგრადიდან ამერიკაში გაემგზავრა. გამოყენებითი ბოტანიკის საკავშირო ინსტიტუტის პროფესორი **ნ. ა. მაქსიმოვი**, პროფესორი მაქსიმოვი მიწვეულია საერთაშორისო ბოტანიკურ კონგრესზე ნიუ-იორკში, სადაც უნდა გააკეთოს მოხსენება თავისი დაკვირვებების შესახებ მცენარეთა გამძლეობაზე გვალვებისა და სიცივეების მიმართ. 10 წლის მუშაობის შემდეგ მეცნიერმა გამოარკვია, რომ გვალვებისადმი გამძლეობის უნარი იმალება თვით მცენარეში, ქიმიურ-ბიოლოგიურ თვისებებში. გამორკვეულია, რომ მცენარის დაღლობის პროცესი ნათელყოფს, თუ რამდენათ გაუძლებს იგი გვალვებს. შემდეგ გამორკვეულია კავშირი, რომელიც არსებობს ერთის მხრივ გვალვების დროს მცენარის მიერ სიცოცხლის შენარჩუნების უნარსა და მეორეს მხრივ დაბალი ტემპერატურის პირობებში ამავე მცენარის აღმოცენების უნარს შორის.

პროფ. მაქსიმოვის აღმოჩენა შესაძლებლათ ხდის ხორბლეულის ახალი ჯიშების გამოცდას იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად გაუძლებენ ისინი ხანგრძლივ გვალვას. წინედ ამის გამორკვევა შეიძლებოდა მხოლოდ მრავალი წლის დაკვირვებების შემდეგ. პროფ. მაქსიმოვი გამოსაცდელ თესლს თესავს თავის ლაბორატორიაში, აღმოცენების შემდეგ ხელოვნურად იწვევს მათ დაღლობას და ამ პროცესზე დაკვირვებით გამოჰყავს დასკვნა, თუ რამდენად შეეგუება მცენარე ამა თუ იმ რაიონის ჰავას.

ნ. ა. მაქსიმოვი ცნობილია თავისი ცდებით მცენარეების აღმოცენებაზე ელექტრონის სინათლის საშუალებით. ზამთარში პროფ. მაქსიმოვი თავის ლაბორატორიაში ახერხებდა მცენარის აღმოცენებას 2000 სანთლიანი ლამპით განათების პირობებში; მცენარე ჰყვაოდა და იძლეოდა ნაყოფს. ამ აღმოჩენის წყალობით შესაძლებელი გახდა ახალი კულტურების გამოცდის შეუწყვეტლად წარმოება.

კონგრესზე მოხსენების გაკეთების შემდეგ, პროფეს. სამეცნიერო მიზნით მიემგზავრება კალიფორნიაში და არიზონის უდაბნოში, მექსიკის საზღვარზე, სადაც იმუშავებს იქაურ ლაბორატორიაში. იქიდან კი პროფ. მაქსიმოვი გაემგზავრება ჩიკაგოში, სადაც წაიკითხავს მოხსენებას თავის გამოგონების შესახებ.

იურიდიული დახმარება

ბინის ქირის შესახებ

კითხვა

მე ვცხოვრობ მე-5 უბანში კრწანისის ქუჩაზე, № 16, მოიჯარადრე მიხეილ ჯიქიას სახლში. ოთახის სივრცე უდრის 40 კვადრატიულ არშინს. მოიჯარადრე მემუქრება გამოსახლებით, თითონ მეორე სართულში უჭირავს 3-მი ოთახი, ერთი კუხნა, პირველ სართულზე 2 ოთახი, რომელშიაც მას ჰყავს მდგმური. ამას გარდა აქვს 3 „სარაია“.

გთხოვთ მომცეთ განმარტება, აქვს თუ არა უფლება, რომ გამომასახლოს. რამდენი უნდა გადავიხადო კვადრატიულ არშინზე, ძირითად ჯამაგირს მე ვიღებ 5 თანრიგით. 37 მან. 70 კაპ. მთელი ჩემი ჯამაგირი საშუალოდ უდრის 70 მ.

თბილისის ტრამ. ელ-სადგურის მუშა **გიორგი ქაჯაია.**

პასუხი

თუ ბინის კანონიერ ქირას იხდით დროზე, დაუგვიანებლად; არ არღვევთ სახლში წესრიგს და მყუდროებას და სახლსაც არ აყენებთ არავითარ ზიანს, სახლის პატრონს ან მოიჯარადრეს არა აქვს თქვენი გამოსახლების უფლება. ბინის ქირად კი თითოეულ კვად. არშინზე გადაიხდით ძირითად ხელფასის მიხედვით ორი კაპეიკის რაოდენობით.

როგორ უნდა გამისწორდეს დამქირავებელი

კითხვა

მე ვმსახურობ ერთ-ერთ დაწესებულებაში მდივნად დილის 8 საათიდან—ნაშუადღევის 2½ საათამდე და თვიურ ხელფასს ვღებულობ 60 მანეთს. ამავე დროს, სისტემატიურად, ნაშუადღევის 4 საათიდან კი ვმსახურობ მეორე დაწესებულებაში დროებით მდივნის თანამდებობაზე, სადაც მდივნის თვიური ხელფასია 37 მანეთი და 80 კაპ.

მეორე დაწესებულებას უნდა გამისწორდეს იქ მუშაობისათვის ჩემი შრომის ჯილდოთ თვიურათ 37 მანეთის და 80 კაპეიკის 50%-ით და არა ჩემი ძირითადი ჯამაგირით პირველ დაწესებულებაში თვიური ხელფასის 60 მანეთის 50%-ის.

ვთხოვთ განმიმარტოთ, მეორე დაწესებულებაში ჩემი სამსახურის ჯილდოთ, ჩემი ძირითადი ჯამაგირის 60 მანეთის 50% მერგება,—თუ იქ არსებული მდივნის ჯამაგირის 37 მანეთის და 80 კაპეიკის 50%?

პასუხი

თქვენ მიერ მოყვანილ შემთხვევაში ადგილი აქვს სამსახურთა შეთავსებას. თქვენი ძირითადი ადგილიდან თქვენ მიიღებთ სრულ ხელფასს, თანახმად არსებული განაკვეთისა, რაც შეეხება მეორე (სალამოს) სამსახურს, ამისათვის ჯილდო თქვენ მოგეცემათ იმ განაკვეთის ფარგლებში რომელიც დაწესებულია იქ, სადაც თქვენ საღამოს მუშაობთ (თქვენ პირველ ხელთასიდან სრულიად დამოუკიდებლად). აი უკანასკნელის რაოდენობა დამოკიდებულია თქვენი და ადმინისტრაციის შეთანხმებაზე, ამიტომ შესაძლოებელია მოგეცეთ იგი 37 მან. და 80 კ. რაოდენობით ან და ნაკლებ.

მთავრობის დადგენილებანი და განკარგულებანი

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსა სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონების გამოყენების წესისა, პირობებისა და ვადებისათვის წესების დამტკიცების შესახებ

(დასასრული)

თავი III

საშემოსავლო ქონება

11. საშემოსავლო (საიჯარო) ქონება არის სახელმწიფო საადგილმამულო ქონებიდან გამოყოფილი ისეთი სამეურნეო ერთეული, რომელსაც სახელმწიფო გამოიყენებს მით, რომ თავისთვის რაც შეიძლება ხელსაყრელ პირობებით გადასცემს ხელშეკრულების საფუძველზე განსაზღვრული ვადით საადგილ-მამულო საზოგადოებას, საწარმოს, ორგანიზაციას, დაწესებულებას, და სხ., და აგრეთვე კერძო პირსაც.

შენიშვნა: საშემოსავლო ქონების იჯარის ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს იმ პირობებს, რაც განისაზღვრება საშემოსავლო ქონების ხასიათით და დანიშნულებით; ხელშეკრულება შედგენილ უნდა იქნეს სათანადო ტიპიური ხელშეკრულების მიხედვით.

12. საშემოსავლო (საიჯარო) ქონებანი განიყოფებიან:

ა) იმ ქონებად, რომელსაც შეადგენს სასოფლო-მეურნეობისათვის უშუალოდ გამოსაყენებელი მიწის ნაკვეთები და

ბ) იმ ქონებათ, რომელიც წარმოადგენს სამრეწველო და სასარეწაო დანიშნულების სამეურნეო ერთეულს, აგრეთვე, საალაგოდ გამოსაყენებელ ნაკვეთებს.

13. საშემოსავლო ქონება მიეცემა საიჯარო სარგებლობისათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციას, დაწესებულებას და საწარმოს ხელშეკრულების საფუძველზე; კერძო პირს იგი მიეცემა საჯარო ვაჭრობით; ხოლო თანასწორ პირობებში უპირატესობა შეჯიბრების სხვა მონაწილეებთან შედარებით მიეცეს მშრომელ ელემენტებს.

შენიშვნა: იჯარით გაცემა ისეთი საშემოსავლო ქონებისა, რომლის წიაღშიაც მოიპოვება რაიმე მადნეულობა, შეიძლება მხოლოდ მიწის წიაღის შესახებ მომქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

14. საშემოსავლო ქონების საიჯარო სარგებლობისათვის გაცემის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 წელს; ხოლო იმ შემთხვევაში, უკეთუ აშენებული იქნება ღირებული სამეურნეო შენობა, რთული ნაგებობა ან უკეთუ გაწეულ იქნება სხვა კაპიტალური სამელიორაციო ხარჯი, ეს ქონება შეიძლება საიჯაროდ გაიცეს ვადით არა უმეტეს 24 წლისა.

15. ამა წესების მე-8 მუხლი გავრცელდება საშემოსავლო ქონების იჯარით გაცემაზედაც.

16. საშემოსავლო (საიჯარო) ქონება, რომელიც საჯარო ვაჭრობით ვერ გაიცა, ხელახალი ვაჭრობის შემდეგ, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. მიწათმოქმედების სახკომის სამეურნეო გამგებლობაში. ან და კომისარიატი საჯარო ვაჭრობის გარეშე გასცემს მას საიჯაროდ ვადით არა უმეტეს 3 წლისა.

17. საიჯარო სასყიდლისა და საურავის გადახდევინება მოხდება უდავო წესებისამებრ, ა. ქ. ს. ფ. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის ნოემბრის 18-ს თარიღისა და 60 №-რი დადგენილებისა და ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წ. ოქტომბრის 26-ს დადგენილების მე-8 მუხლის თანახმად.

თავი 4.

თავისუფალი სათადარიგო მიწა

18. სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონება, რომელიც არ გადაეცა სათანადო წესისამებრ ვისიმე სამუდამო ან დროებით სარგებლობაში, ჩაითვლება თავისუფალი სათადარიგო მიწად.

19. თავისუფალი სათადარიგო მიწა მოიხმარება:

ა) უმიწაწყლო და მცირე მიწაწყლიან მოქალაქეთათვის მიწის საშრომი სარგებლობისათვის მისაცემად;

ბ) ახალი საბჭოთა მეურნეობის და საშემოსავლო ქონების მოსაწყობად;

გ) გადასახლებისა და დასახლებისათვის;

დ) საკონცესიო წესისამებრ გასაცემად;

ე) უწყებათა და დაწესებულებათათვის სპეციალური დანიშნულების ნაკვეთების მისაცემად;

ვ) შემოსავლისათვის არაპირდაპირი სარგებლობის უფლების ბილეთებით (საქონლის ძოვება და გატარება, ხრეშის, ქვიშის ამოღება და სხვ.).

20. საზაფხულო და საზამთრო საძოვრები იჯარით გაიცემა იმ ვადით და განსაკუთრებული პირობებით, რომელსაც განსაზღვრავს საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატი.

თავი 5.

21. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს უფლება აქვს საქ. ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ერთად და აგრეთვე სათანადო შემთხვევაში, დაინტერესებულ უწყებასთან შეთანხმებით, გამოსცეს ინსტრუქცია და ცირკულიარი სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონების სარგებლობის წესის დაწვრილებით განსაზღვრისათვის.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. პ. ჯუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1926 წ. ივნისის 23.
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კ. პ. (ბ) **თბილისის კომიტეტის საარიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება** წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს სამი დღის განმავლობაში გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის საარიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. ჩარკვიანთან.

მამალძე აფრასიონ, ბაიაჯიანი აკოფ, ჯირჯანიძე პლატონ, ტურაშვილი ალექსანდრე, მაისურაძე მიხეილ მიხეილისძე, მათევოსოვი არიანი, ტოროსიანი ბაგრატი.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი პარასკევს, 2 ივლისს იწვევს **უჯრედების ჯგუფურ ღია კრებებს** შემდეგი წესით:

1) მ. ცხაკაიას სახელობის კლუბი — (შესავლელი ვერის დაღმართიდან) მომხსენებელი ამხ. **ვირაპი**—საღამოს 6 საათზე.

იკრიბება უჯრედები: 1, 2, 3, 4, 5, 6; 11; 13, 26, 52.

2) კლუბი „კატორ“ (ერმოლოვის ქუჩ.) მომხსენებელი ამხ. **კარკლინი** — საღამოს 6 საათზე უჯრედები: 7, 8, 10, 12, 14, 15; 16; 21; 31; 43; 54; 56; 61; 63.

3) „მედსანშრომის“ კლუბი (წყნეთის—16) მომხსენებელი **კვიცარიძე** — საღამოს 6 საათზე (ქართულ ენაზე).

უჯრედები: 28, 29, 32, 36, 44, 47; 60; 23; 34; 58; 39.

4) საბჭოთა მუშაკების კლუბი (ყორესის ქუჩა, ყოფ. კირკის).

მომხსენებელი — ამხ. **სუტირინი** — საღამოს 6 საათზე. უჯრედები: 17, 22, 24, 25, 27, 30; 31; 32; 33; 35, 37, 40, 41, 42, 45; 46; 50; 51; 55, 57; 59; 62 და 64.

დღის წესრიგში სდგას მოხსენება **საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.**

ღრმად დამწუხრებული მეუღლე **მიხეილ** დედა **ეკატერინე**, ძმები: **გიგო, ნიკო** და **ილიკო** მეუღლეებით: **თამარა** და **მარუსიათი** აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, ოთხშაბათს, 30 ივნისს გარდაიცვალა მათი უძვირფასესი

ანა ბესარიონის ასული
პიკნაძისა

გამოსვენება მოხდება პარასკევს, 2 ივლისს, ნაშუადღევის 4 საათზე, (პუშკინის ქ., № 11) ვერის სასაფლაოზე. ნ. 2—2

მწუხარებაში მყოფნი მშობლები ლეონიდე სამუელისძე და შუშანა პროკოპის ასული, მამიდა სეფორა სამუილის ასული თოხაძეები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხუთშაბათს 1 ივლისს დაბა ჩხარში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი მათთვის უსაყვარლესი

ნოშიკოს

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის აღსანიშნავად 3006

უბედური მეუღლე ვარლამ (კოლია) ჯიბლაძე ძმებით და დედით აუწყებენ ნათესავ, ნაცნობ-მეგობრებს, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ სოფ. (გურია) გარდაიცვალა

ელენე ათანასეს ასული
ნინიძე-ჯიბლაძისა

დასაფლავება მოხდება სოფ. ასკანაში 2998

დამწუხრებული მშობლები ანნა გიორგის ასული და ათანასე ბეჟანისძე ნინიძე, ძმა ვიქტორ ათანასესძე ნინიძე შვილებით კარლო და ვიქტორი, რძალი ელენე სიმონის ასული, დები კატო, მარიამი, მინადორა და დარიკო, სიძეები ვასილ კოპლატაძე, ნიკო დოლიძე შვილებით, გრიგოლ ალავიძე და ილია ჟღენტი აუწყებენ ნაცნობთ ნათესავთ და მეგობართ, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ სოფ. ასკანაში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი

ელენე ათანასეს ასული
ნინიძე-ჯიბლაძისა

დასაფლავება მოხდება სოფ. ასკანაში (გურია) 2998

საზაფხულო
აპოლო
(ბაღი „არტო“, პლეხ. № 105).
საზაფხულო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
ზოლეი
ნ. 1466 0—1

მსოფლიო შედევრი 4 სერიათ
ნიბელუნგები
1 და 2 სერია ერთად
კინოს ბილეთის შემძენი ბაღში უფასოდ შედის კინოს შენობა გადახურულია
შეუდარებელი მერი პიკფორდი პრემიერაში
„სინათლე სიბნელეში“
თუ ცუდი ამინდი იქნა სეანსი გაგრძელდება არფასტოში
საუკეთესო სურათი
„ამერიკელი ქალის თავგადასავალი“
რუკ როლანის მონაწილეობით. არაჩვეულებრივი ტრიუკები, მიმზიდველი სიუჟეტი.

მოქალაქეთა საყურადღებოდ!
ყოფილ „ნოეს“ (ყოფ. ქსენიევის) სასტუმროს გვერდზე
გაიხსნა საუცხოვოდ მოწყობილი
რესტორანი-ბაღი „ამირანი“
ბაღში ყოველდღე საღამოობით დაუკრას **აზიური** სიმებიანი მუსიკა გამოჩენილი **მეჭიანურე ლეო კარახანოვის** მეთაურობით.
ყოველდღე—საღამოობით 11 ნახ. საათიდან **კაბარე თამარა მაჩაბელის** მეთაურობით. სამზარეულოში მზადდება ყოველდღე გემრიელი საჭმელები—როგორც ევროპიული, აგრეთვე აზიური. ფასები ნორმალურია. სხვადასხვა ფირმების მაგარი სასმელები დაკლებულ ფასებში. მთელი ბაღი მოფენილია სხვადასხვა გვარი მცენარე-ხეებით, სადაც შეიძლება სიცხისგან თავის დაღწევა. ბაღი ღიაა დილის 10 ს. ღამის 3 ს.
ნ. 1504 2—1. პატივისცემით **არჩილ კერესელიძე.**

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34
0—1

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 50—3

პროფესორი
ძ. წინამძღვრიშვილი
საზაფხულოდ გაემგზავრა ქალ. ბორჯომში 13—1

სახმედვაჭრობა აცხადებს
საჯარო ვაჭრობას
აფთიაქისათვის სახლის აშენებაზე ქ. ჭიათურაში.
ვაჭრობა დანიშნულია 18 ივლისისთვის ჭიათურის საბჭოთა აფთიაქის შენობაში დღის 12 საათზე; შენობა უნდა იყოს 15 ოთახიანი, სამზარეულოთი და სარდაფით.
ხარჯთ-აღრიცხვა გათვალისწინებულია—21,339—69. ტექნიკური პირობების გაგება შეიძლება სახმედვაჭრობის შორაპნის მაზრის რწმუნებულ უზნაძესთან ქ. ზესტაფონში. განცხადებები მიიღება დახურულ ბარათებში ხაზინის ქვითარით 5 პროც. საწინდარის შეტანის შესახებ.
3002. სახმედვაჭრობის მმართველი—**მ. საბაშვილი.**

ვაჩნაძიანის მთლიანი მომხმარებელი საზოგადოების
სალიკვიდაციო კომისია
ამით აცხადებს ყველა მის კრედიტორების საყურადღებოდ რომ, თანახმად „ეპოს“ წევრთა დადგენილებისა ამა წლის 27 ივნისიდან, იგი ახდენს „ეპოს“ ლიკვიდაციას და სთხოვს ამა წლის 20 ივლისამდე წარმოუდგინონ ვაჩნაძიანის „ეპოს“ სალიკვიდაციო კომისიას მთელი საბუთები ყოველგვარ პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად.
3004. სალიკვიდაციო კომისია.

გარე-უბნის სასამართ. აღმასრულ. კ. ოდიშარია
აცხადებს, რომ 3 ივლისს 1926 წ. 9 საათზე თელეთში და სალანლუღში საჯარო ვაჭრობით გაყიდის თელეთის კოოპერატივის მოძრავ ქონებას საგალანტერეიო, საბაკალეიო და სამანუფაქტურო საქონელს და სხვ. შეფასებულს 902 მან. 96 კ. დასაკმაყოფილებლად სხვადასხვა დაწესებულებების. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. 3000

ექ. ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 12—2 საათ, დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთვ. პროსპ. № 18 შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან.

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—4-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—63. 25—1

სურამი
ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
მიიღებს ავადმყოფებს შინაგან (ბავშვებს და დიდებს) და ქალთა სნეულებით.
ყოველდღე: დილით 2 საათამდის საღამოზედ 5 საათიდამ—7 საათამდის
მისამართ.: აგარაკი მეიერისა. 25—1

ქუთაისში დაბრუნდა ექიმი
დ. ა. ჩიჩელაშვილი
და განაახლა შინაგან ავადმყოფების მიღება. სპეციალ.-ფილტვების სნეულებანი მიღება დილის 8—9 საათ. საღამოს 4—7 საათ. ქავჭავაძის ქ. № 9. 12—1 2858

ექიმი **მ. ა. ლუკოვეცკი**
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე.
საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—1

ექიმი გ. მ. ფხალაძე
კანის და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606“—„914“)
ავადმყოფების მიღება: კაცების— დილით 8—9 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ქალების საღამოთი 5—6 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ., № 4 ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემელის აფთიაქის პირდაპირ). 25—18

ექიმი **ჯალალოვი**
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.
შეშხაპუნება „914“. ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—8 საათ., საღამოს 5-დან—9 საათამდე. ქალები 12—2 საათ. დღის.
მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად. 25—1

ექიმი **ი. ი. გერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—2

ექიმი **ა. ს. ფონ-ირტელი**
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი“).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 13—1

ექიმი
გ. ნ. ონიანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3.

ექიმი ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
მიღება დილის 8—11, საღ. 6—8. პლეხანოვის პროსპექტი, № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. 537 25—12. ჩ. გ.

კბილის სნეულებათა
კლინიკაში
(პლეხანოვის პროსპ. № 126)
დაიწყო მუშაობა
რენტგენის კაბინეტმა
შეიძლება კბილების და პირისახის ძვლების გაშუქება და მათი სურათის გადაღება. 2799. 25—1

დავკარგე საბჭოთა მუშაკების პროფკავშირის წევრობის წიგნაკი № 193, აპოლონ ზაქარიას-ძე ზალდასტანიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2999

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 2291, სერგო თაბაგრის სახელზე, ჩ. გ. 2996

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 6604 | 1307, ივანე ჯიორგის-ძე ლორთქიფანიძის სახელზე, ჩ. გ, 3001

დავკარგე მოწმობა, გაცემული ქუთაისის მაზრის გოდოგნის თემის აღმასკომის მიერ მამის გარდაცვალების შესახებ. შალვა ფ. მარგველაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2997

დავკარგე თამასუქი 270 მან., გაცემული თედო ქელდიშვილის მიერ პეტრე სიმონის-ძე დოჭვირის სახელზე, 3005

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა,